იპოვეთ თქვენი www.versia.ge

ვერსია

№137 (744) 30 ნოემბერი - 1 დეკემბერი, 2012 წელი ფასი 60 თეთრი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სიების კომისია დეკემბრის ბოლოს საკუთარი მუშაობის შემაჯამებელ 150-გვერდიან დოკუმენტს გაასაჯაროებს

გვ. 8

„სასამართლომ და პროკურატურამ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა იმოქმედოს, რათა საზოგადოებას არ გაუჩნდეს სურვილი, განაჩენი თვითონ გამოიტანოს!“

ახალი ხელისუფლების რა შეცდომებს აღიარებს ნუკრი ქანთარია და რა ეწერება კანონში თეატრის შესახებ

გვ. 5

ბიძინა ივანიშვილის კომპანია „ატუს“ დირექტორის მეუღლე და კერძო სკოლა „მილენიუმის“ დამფუძნებელი სისტემაში დარჩენილ „შაშკინის კადრებს“ ასახელებს



გვ. 7

რას ედავება გამოძიება ზესტაფონის გამგებელს და ზესტაფონის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი კახა გენაძე დააკავეს!

თენგიზ გუნავა დაკავებულია

შს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი თენგიზ გუნავა პროკურატურამ დაკითხვის შემდეგ დააკავა. როგორც მისმა ადვოკატმა გიორგი ონიანმა განაცხადა, გამოძიება გუნავას ამჯერად 3 ათასი ლიტრი ბენზინის მითვისებას ედავება. „საქმე აღძრულია 333-ე და 182-ე მუხლებით. პირველი გულისხმობს უფლებამოსილების გადამეტებას, მეორე - მითვისებას. საუბარია გენერალურ ინსპექციაში მისი მუშაობის პერიოდზე. ეს არის სასაცილო ბრალდება”, — აღნიშნა ონიანმა.

ვასილ მაღლაფერიძემ „კონსილიუმი“ დახურა და მეცხრე არხი დატოვა!

„მეცხრე არხის“ გენერალურ დირექტორად ლუბა ელიაშვილის დანიშვნის შემდეგ, დირექტორის მოადგილემ ვასილ მაღლაფერიძემ არხი დატოვა. საინფორმაციო სამსახურის უფროსი და ჟურნალისტები, არხის რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე, პროფესიული მოვალეობის შესრულებას აგრძელებენ.

„თუ ვინმეს ჰგონია, სხვისი გათელვით ავტორიტეტს აიმაღლებს, დაფიქრდეს – დრო მოვა და მას გათელავენ!“

რა სამხედრო საფრთხეებს ხედავს სააკაშვილი-ივანიშვილის დაპირისპირებაში 20-წლიანი სამხედრო გამოცდილების მქონე ასპინძის მაჟორიტარი, პოლკოვნიკი ტარიელ ლონდარიძე

გვ. 3

„მზად ვართ თანამშრომლობისთვის, მაგრამ ეს უნდა იყოს ორმხრივი!“

ნინო ლურსმანაშვილი
რედაქტორი

29 ნოემბერს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა მედიის წარმომადგენლებს უმასპინძლა — ჯერ სასამართლოს საქმიანობის, 2012 წლის 10 თვის მონაცემები გააცნო, შემდეგ 2013 წლის პრიორიტეტების შესახებაც ესაუბრა და ბოლოს, მათ შეკითხვებსაც უპასუხა.

რას პასუხობს თეა წულუკიანს და მის წინაალმდეგ ამხედრებულ ყოფილ მოსამართლეებს კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს სასამართლოს მიერ გაწეული საქმეების „ციფრებში წარმოდგენამ“ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოკვეთა. მაგალითად ის, რომ მსჯავრდებულთა რაოდენობა, ბოლო 3 წლის განმავლობაში, იკლებს. მეტი თვალსაჩინოებისთვის — 2011 წლის 10 თვესთან შედარებით, მათმა რიცხვმა, 2012 წლის 10 თვეში, 33,5%-ით დაიკლო. მათ შორის კი, თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 33,5%-ით ნაკლებ მსჯავრდებულს. შემცირდა არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობაც და ჯარიმებიც. სამაგიეროდ, ძალიან გაიზარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება სასჯელის სახით. ამ უკანასკნელ ტენდენციას, კუბლაშვილმა უმნიშვნელოვანესი უწოდა და იმედიც გამოთქვა და პროგნოზიც გააკეთა, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. საერთო ჯამში, 2010 წელს, არასაპატიმრო სასჯელები იყო 54,2%, 2011 წელს თითქმის 59%-ს გაუთანაბრდა და წელსაც, იგივე მაჩვენებელია შენარჩუნებული.

რაც შეეხება გამამართლებელ განაჩენებს. კუბლაშვილის თქმით, არსებითად განხილულ საქმეებში მათი ხვედრითი წილი 9,3%-ს შეადგენს, რაც წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვანი სხვაობაა. ამღკვეთი ღონისძიების გამოყენებაზე, პატიმრობების გამოყენება კი, 2011 წელთან შედარებით, 6,2%-ით შემცირდა. ამ სტატისტიკის გაანალიზების შედეგად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ იწინასწარმეტყველა, რომ მომავალ წელს, აღმკვეთი ღონისძიების დროს პატიმრობის გამოყენება კიდევ უფრო შემცირდება და მოიმატებს გირაოს, ან პირადი თავდებობის გამოყენება.

საგულისხმოა გასაჩივრების სტატისტიკაც, სადაც კუბლაშვილის თქმით, ასევე „მნიშვნელოვანი ტენდენცია“ გამოიკვეთა: 8 თვის მონაცემებით, პირველ ინსტანციაში განხილული საქმეებიდან, საერთო ჯამში, სააპელაციო წესით გასაჩივრდა სისხლის სამართლის საქმეების მხოლოდ 6%, სამოქალაქო საქმეების — 8,5% და ადმინისტრაციული საქმეების მხოლოდ 17,9%.

კუბლაშვილმა სასამართლო სისტემაში უკვე დაწყებულ რეფორმაზეც ისაუბრა. მისი განმარტებით, სასამართლო უკვე მუშაობს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის სამართლებრივი საფუძვლის შექმნაზე და შესაბამისი კანონპროექტის მომზადებაზე. საქმე ეხება მოსამართლეების არა 10 წლით, როგორც დღესაა, არამედ უვადოდ, 65 წლის ასაკამდე დანიშვნის ინიციატივას. კუბლაშვილის თქმით, ამის შესაბამისი ნორმა უკვე არსებობს კონსტიტუციაში. ამისთვის საჭიროა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შევიდეს ცვლილება, რომელიც, აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მომავალი წლის ნოემბრამდე, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე. სასამართლოს პროექტში, რომელსაც მომავალი წლის დასაწყისში წარმოადგენენ, ასევე არ იქნება გათვალისწინებული ნორმა, რომელიც დღეს კონსტიტუციაში წერია — მოსამართლეთა უვადო დანიშვნამდე, შესაძლოა მოხდეს მათი წინასწარი, 3-წლიანი დანიშვნა. კუბლაშვილის განმარტებით, არსებობს კვალიფიკაციისა და პიროვნული მახასიათებლების შესამოწმებელი საფეხურები, რომელთა გავლის შემთხვევაშიც, მოსამართლის ე.წ. გამოსაცდელი ვადით დანიშვნა აღარ არის საჭირო.

კიდევ ორი სიახლე, უფრო ტექნიკური ხასიათისაა, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი. მაგალითად ის, რომ მაღე, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საქმეების მსგავსად, ყველა სისხლის სამართლის საქმის აუდიოოქმის წარმოება მოხდება და კომპაქტდისკის სახით მხარეებს გადაეცემა. ეს მხარეებსაც უადვილებს საქმეს და სხდომის მიმდინარეობასაც აჩქარებს, რადგან აღარ ხდება გამოსვლათა ხელით ჩაწერა. უკვე შეძენილია და ყველა შესაბამის დარბაზში დამონტაჟებულია სპეციალური მოწყობილობები. სატესტო სხდომებიც მიმდინარეობს.

სავარაუდოდ, 2013 წლის მარტში გაიმართება სასამართლოს კიდევ ერთი პროექტის პრეზენტაცია. ამჯერად, საქმის ელექტრონულ წარმოებას ვგულისხმობთ, რომლის ფარგლებშიც, ადვოკატებს, სახელმწიფო ორგანოების თუ დიდი კომპანიების წარმომადგენლებს... ექნებათ შესაძლებლობა, ოფისიდან გაუსვლელად, კომპიუტერში, შეავსონ სარჩელის ფორმა და ელექტრონული ფოსტით გადააგზავნონ სასამართლოში.

გაკეთებული თუ გასაკეთებული საქმეები, ერთი შეხედვით, საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. თუმცა, არსებობს მედლის მეორე მხარე — ბრალდებები, რომლებიც ბოლო დროს, სასამართლოს და კონკრეტულად, კონსტანტინე კუბლაშვილის მისამართით ხშირად ისმის. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ მას მოუწია პასუხი გაეცა მაგალითად იმაზე, მთავრობის დაუკითხავად რატომ გადაუგზავნა ვენეციის კომისიას, სასამართლოების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რის გამოც თეა წულუკიანის განრისხებაც დაიმსახურა. **„ვენეციის კომისიისთვის რაღაცის გადაგზავნა არ არის ისეთი საკითხი, რომ რომელიმე თანამდებობის პირის ასეთი გაღიზიანება და გაცხარება გამოიწვიოს. თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სასამართლო ხელისუფლება, გააკეთებს იმას, რასაც საჭიროდ ჩათვლის. ვენეციის კომისია არის ევროპის საბჭოში შემავალი ქვეყნებისთვის მთავარი საექსპერტო დაწესებულება, რომელიც უმნიშვნელოვანეს და კომპეტენტურ აზრს გვაწვდის ხოლმე. ჩვენ ვისარგებლეთ ამ საშუალებით“,** — განაცხადა კუბლაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ მის შენიშვნებს გაითვალისწინებენ. მან ასევე განმარტა, რომ იზიარებს იუსტიციის მინისტრის განცხადების იმ ნაწილს, რომელიც მათ თანამშრომლობას ეხება. **„ჩვენ მზად ვართ ამისთვის, მაგრამ თანამშრომლობა უნდა იყოს ორმხრივი. თანამშრომლობა არაა, როცა საბოლოო პროექტს მხოლოდ ჩვენი მოთხოვნის შემდეგ გვიგზავნიან. ევროსაბჭოს რეკომენდაციაა, ცვლილებები, რომელიც სასამართლო სისტემას ეხება, არ განიხილონ სასამართლო ხელისუფლების გარეშე“.**

თანამშრომლობა ალბათ არც გაჭირდება იმ ფონზე, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი 3 პროექტიდან, 2-ს კუბლაშვილიც ეთანხმება. აზრთა სხვადასხვაობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტებაში. პროექტის მიხედვით, მის შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნას სასამართლოების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარეები. **„მივიჩნევთ, რომ ეს ნორმა დისკრიმინაციულია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ახლა არიან ამ თანამდებობებზე. არ შეიძლება რომელიმე მოსამართლეს, თუნდაც ის იყოს თავმჯდომარე, შეეზღუდოს სასამართლო ხელისუფლების შიგნით რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში დანიშვნა ან არჩევა. ერთადერთი გამონაკლისია, მათი არჩევა სადისციპლინო კოლეგიის წევრებად“,** — განაცხადა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არ ეთანხმება ინიციატივას, დაუშვან კამერები სასამართლო პროცესებზე. მისი თქმით, რომელიმე ტელევიზიისთვის სხდომების სრულად გადაღების უფლების მინიჭება, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს და დიდ პრობლემებს შეუქმნის, პირველ რიგში, მხარეებს და რაც მთავარია, მონმეებს.

კონსტანტინე კუბლაშვილის განმარტებით, მოსალოდნელი ამნისტია და ნაკლებადმძიმე დანაშაულისთვის დაპატიმრებული დაახლოებით 3 ათასამდე პატიმრის გათავისუფლება, ნაკლებად სახიფათოა. თუმცა, არ უნდა დაწესდეს პატიმრების საქმეების გადახედვის ისეთი ვადა, რომელშიც სასამართლო ვერ შეძლებს მათ ობიექტურ გადახედვას.

ჟურნალისტების თხოვნით, კუბლაშვილი ვიცე-მერ ხიზანიშვილისთვის პატიმრობის შეფარდების შემდეგ, მერის იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, თითქოს სასამართლომ და მოსამართლემ ზეწოლას ვერ გაუძლეს. კუბლაშვილმა ამ შეფასებას არასწორი უწოდა და განაცხადა, რომ ნებისმიერი თანამდებობის პირის მხრიდან, მსგავსი განცხადებები სასამართლოს მიმართ ზემოქმედება და ზეწოლაა.

ბოლო დროს, ყოფილი მოსამართლეები, ინტენსიურად საუბრობენ იმაზე, რომ პირადად კონსტანტინე კუბლაშვილი ახდენდა მოსამართლეებზე ზეწოლას. მათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს გადადგომისკენაც მოუწოდეს, მისი იმპიჩმენტის საკითხის დაყენებაზეც ალაპარაკდნენ და გენპროკურორსაც მოსთხოვეს, დაინტერესდით მისი საქმიანობითო. აქვს თუ არა მოლოდინი, რომ კბილაშვილის უწყება მისი საქმიანობით მართლაც დაინტერესდება? „ვერსიის“ ამ კითხვას კუბლაშვილმა ამგვარად უპასუხა: **„ამაზე არ მიფიქრია. ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია სასამართლო სისტემაში, რომელზეც ვმუშაობთ და ვფიქრობთ. არ მგონია, ამ ნაბიჯზე ვინმე წავიდეს. მეორე მხარეს მოუწევს იმის დამტკიცება, რასაც აცხადებს. ეს კი შეუძლებელია. იმპიჩმენტი ძალიან რთული პროცედურაა. ასე რომ, საფუძვლიდან ბოლომდე, აბსოლუტურად ყველაფერი არის გამორიცხული და ამიტომ, მეტად სერიოზულად, ამ საკითხს ნამდვილად არ აღვიქვამ“.**

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი კახა გეწაძე დააკავეს!

კახა გეწაძე — საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც 2 ნოემბერს ზესტაფონის საკრებულომ ხმაურიან სხდომაზე რაიონის გამგებლად აირჩია — იმერეთის საოლქო პროკურატურაში მოწმედ დაკითხვის შემდეგ დააკავეს.

წინასწარი ინფორმაციით, მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით ედება. ერთ-ერთი მუხლი, რომლითაც გეწაძეს ბრალი წარედგინება, ეს არის სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილი, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს და, სავარაუდოდ, იმ კონკრეტულ ჩხუბს უკავშირდება, რომელიც წელიწადნახევრის წინ მოხდა.

გეწაძეს ბრალს სსკ 239-ე მუხლის მე-3 ნაწილითაც წაუყენებენ, ესაა ხულიგნობა ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღით, რაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, თავისუფლების 4-დან 7 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. ასევე, კახა გეწაძეს დაემატა კიდევ ერთი მუხლი — სსკ 184-ე მუხლის პირველი ნაწილი.

კახა გეწაძის დაკავების ფაქტზე საგანგებო ბრიფინგი გაიმართა ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისში, სადაც გიორგი გაბაშვილმა განაცხადა: „საქართველოს მთავრობამ დაგეგმა შეტევა ადგილობრივ თვითმმართველობებზე. ყველა თვითმმართველობაში, რომელსაც არ აკონტროლებს „ქართული ოცნება“, შევიდა ფინანსური შემოწმება. გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს პირდაპირ უყენებენ ულტიმატუმს — ან გადადექი ან დაგიჭერთ. ძალიან ბევრგან ეს ხორციელდება ფინანსური პოლიციის საშუალებით, ბევრგან ამოქმედებულია პოლიცია და პროკურატურა. დღეს, როგორც ჩანს, უკვე დაიწყო მოქმედება და პირველი გამგებელია დაჭერილი — კახა გეწაძე, ზესტაფონის გამგებელი, რომელსაც ასევე მოსთხოვეს გადადგომა, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთი თვის წინ იყო არჩეული საკრებულოს სხდომაზე. გაბაშვილის განცხადებით, გეწაძის დაჭერას ჰქონდა კიდევ ერთი მოტივაცია: ის არის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი და სპორტის სამინისტროს მხრიდანაც ჰქონდა ზეწოლა. მოგვიანებით, მთავარმა პროკურატურამ კახა გეწაძის დაკავებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ „2011 წლის 23 მაისს ზესტაფონის რაიონულ პროკურატურაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 052118005 საქმეზე, ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანში გ.კ.-ს ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ჩატარებული გამოძიებით დადგენილია შემდეგი: 2011 წლის 22 მაისს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში კლუბ „ზესტაფონის“ გამარჯვებასთან დაკავშირებით, ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანში, თ.კ.-ს ოჯახში გაიმართა ბანკეტი. წვეულებაზე იმყოფებოდა დაახლოებით 25-30 სტუმარი, მათ შორის იმჟამად პარლამენტის წევრი კახა გეწაძე, იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, აგრეთვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები. ბანკეტის მიმდინარეობისას ნასვამ მდგომარეობაში მყოფი კახა გეწაძე გამოირჩეოდა აგრესიითა და ქედმაღლობით, საუბრობდა ხმამაღლა, იყენებდა უცენზურო სიტყვებს და ზოგადად, ამჟღავნებდა აგდებულ და ცინიკურ დამოკიდებულებას სხვებისადმი. დაახლოებით, 22:30 საათზე სტუმრების ნაწილმა დატოვა სუფრა და გავიდა ეზოში. ჯერ კიდევ წვეულების მიმდინარეობისას გამოვლენილი ცინიკური განწყობის დემონსტრირების მიზნით, კახა გეწაძე გადავიდა აქტიურ მოქმედებებზე, კერძოდ, მან გ.შ. აიტაცა ხელში და აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, ხოლო როცა შ.-მ მოახერხა, გამოსცლოდა ხელიდან, კახა გეწაძემ ხელი ჰკრა შ-ს, დაუწყო დედის მისამართით გინება და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა მის მეგრულ წარმოშობაზე მითითებით.

გაშველების მიზნით კონფლიქტში ჩაერთვნენ მ.ფ., გ.ა., გ. კ., ა. დ. და გ. ა., რომლებმაც კახა გეწაძეს თხოვეს დამშვიდებულიყო, თუმცა ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა მათ თხოვნას და არაფრად ჩააგდო გარშემო მყოფი საზოგადოება, პირიქით გ.კ.-ს ხელი გაარტყა სახეში, წააქცია ეზოში არსებულ მანქანის სავალ ზოლზე, წაქცეულს ფეხში ჩაარტყა ფეხი და მიაყენა მარჯვენა კოჭ-წვივის სახსრის ორგოჯოვანი მოტეხილობა, ტერფის ქვეამოვარდნილობა, რაც მიეკუთვნება სხეულის დაზიანების ნაკლებად მძიმე ხარისხს ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით. ამასთან ა. დ.-ს რამდენჯერმე გაარტყა სახეში ხელი, რითაც მას მსუბუქი ხარისხის დაზიანებები მიაყენა სისხლნაჟღენთების სახით.

კახა გეწაძემ, რომელიც იქცეოდა უკიდურესად თავშეუკავებლად, ა. დ.-ს შემოახია პიჯაკი და პერანგი, ხოლო შემდეგ საკუთარი მანქანიდან ამოიღო მასზე განპიროვნებული **CZ**-ს მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ტარი რამდენჯერმე დაარტყა იმერეთის მხარის ადმინისტრაციის კუთვნილ **TOYOTA PRADO**-ს მოდელის ავტომობილის საქარე მინას, რომლის დაზიანებით სახელმწიფოს 1550 ლარის ზიანი მიადგა. გ.ა.-მ შეძლო კახა გეწაძისთვის იარაღის წართმევა, რის შემდეგაც კახა გეწაძე მივიდა ავტომანქანაში მოთავსებულ გ. კ.-თან და ფეხი კვლავ ჩაარტყა მოტეხილ ფეხში. კახა გეწაძის მიერ ზემოაღნიშნული ქმედებების გრძელდებოდა 20-30 წუთის განმავლობაში, რა დროსაც უხეშად დაირღვა მითითებულ წვეულებაზე შეკრებილი საზოგადოების სიმშვიდე. 2012 წლის 29 ნოემბერს კახა გეწაძეს წარედგინა საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის მესამე ნაწილით, 239-ე მუხლის მესამე ნაწილითა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება და იგი დაკავებული იქნა. წარდგენილ ბრალდებაში მან თავი დამნაშავედ არ სცნო და ისარგებლა მისთვის კანონით მინიჭებული დუმილის უფლებით. მას არ უსარგებლია ადვოკატის მომსახურებით“.

„თუ ვინმეს ჰგონია, სხვისი გათელვით ავტორიტეტს აიმაღლებს, დაფიქრდეს — დრო მოვა და მას გათელავენ!“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

სამხედრო სასწავლებელი უკრაინაში დაამთავრა, 1993 წელს აფხაზეთის ომის გამო, საქართველოში ჩამოვიდა და სამხედრო კარიერა სამშობლოში განაგრძო. ახალციხეში, სხვადასხვა თანამდებობებზე დაიწყო მუშაობა და მის სიმკაცრეზე ხმა მთელ ქვეყანაში გავარდა. იმსახურა ვაზიანში, შტაბის უფროსად, სადაც დღეს ცნობილი მეოთხე ბრიგადაა დისლოცირებული. იყო ეროვნული სამხედრო აკადემიის რექტორი და მის დროს დაიწყო ნატოს სტანდარტების დანერგვა სამხედრო სწავლებაში. თავდაცვის სამინისტროში იმუშავა ირაკლი ოქრუაშვილისა და ბაჩანა ახალაიას დროს და დღეს ამ ექსმინისტრების გარშემო მიმდინარე პროცესებზე საკუთარი აზრი აქვს. „ვერსია“ გთავაზობთ ვრცელ ინტერვიუს ასპინძის მაჟორიტარ და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — რეგიონების“ თავმჯდომარე ტარიელ ლონდარიძესთან, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე საფრთხისშემცველ პროცესებზე განმარტებებს აკეთებს:

რა სამხედრო საფრთხეებს ხედავს საკაშვილი-ივანიშვილის დაპირისპირებაში 20-წლიანი სამხედრო გამოცდილების მქონე ასპინძის მაჟორიტარი, პოლკოვნიკი ტარიელ ლონდარიძე

— ზოგადად, სამხედრო სამსახური დისციპლინაზეა დამყარებული, თუმცა რასაც წერდნენ, თითქოს, ახალციხის ბატალიონი უმკაცრესი რეჟიმისა იყო, გადაჭარბებულია. ძველი ტერმინი რომ ვიმხმარო, მას დისბატს, დისციპლინარულ ბატალიონს ეძახდნენ, მაგრამ ესეც გაბუქებული შეფასებაა. სხვათა შორის, როცა თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ვიყავი, ჩვენ დავიწყეთ ე.წ. საპრეზიდენტო პროგრამა განათლების სფეროში — ნატოს სტანდარტების რეფორმირება. თუმცა ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის პერიოდში, 4+1 პროგრამა, თურქეთთან თანამშრომლობის ფარგლებში, რატომღაც, გაჩერდა. უფრო სწორად, ოქრუაშვილმა შეაჩერა და ჩაშალა. არ ვიცი რატომ, მას თავისი მოსაზრებები ჰქონდა. ოქრუაშვილის დროს გაუქმდა ე.წ. კადეტთა კორპუსიც. ხოლო ოქრუაშვილთან დაკავშირებული ცნობილი ამბების მერე, 2007 წლის ბოლოს, აკადემია ფიზიკურად ფუნქციას კარგავდა და სასწრაფოდ დავინიშნე აკადემიის ხელმძღვანელად და დავიწყეთ ერთწლიანი საოფიცრე კურსების მომზადება სხვადასხვა სპეციალობების მიხედვით, ნატოელ პარტნიორებთან ერთად.

— მაშინ ქვეყანაში ოქრუაშვილის მრისხანების მითი არსებობდა — მერე ვნახეთ მისი აღიარებითი ჩვენება, დღეს იგი მთავარ მოწმედ მოიაზრება საკაშვილისა და მისი ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ — რას ნიშნავს მისი დაბრუნება საქართველოში და რა ფასეული ინფორმაცია შეიძლება ჰქონდეს გამოძიებისთვის?

— პიროვნულ შეფასებებს არ დავიწყებ, მისი ჩამოსვლის რეალური მიზანიც თავად ოქრუაშვილს უნდა ვკითხოთ, მაგრამ ჩემი აზრით, გარანტიისა და შეთანხმების გარეშე, იგი ამ ნაბიჯს არ გადადგამდა.

> **ოქრუაშვილისგან ამას გმირობის ტოლფასად ვერ შევაფასებ. ამდენი წლის მერე ადამიანი ჩამოვიდეს და გმირულად წარსდგეს ქართველი სამართალდამცავების წინაშე — ეს ცოტა გადაჭარბებულია. ზოგიერთები იმასაც ამბობენ, მოენატრა თავისი ქვეყანაო და ძალიან არ მომწონს ასეთი შეფასებები. ახალი ხელისუფლების პირობებში, ოქრუაშვილის განაჩენი გადაიხედება და მის ბრალს ხელახალი სამართლებრივი შეფასება მიეცემა. მე არც პროკურორი ვარ, არც მოსამართლე, არც მისი საქმით დაინტერესებული პირი, უბრალოდ — მე ის გმირად არ მიმაჩნია! სხვა დანარჩენზე პასუხი არ მაქვს.**

— 2008 წლის ომის დროს, როცა ეროვნული სამხედრო აკადემიის რექტორი იყავით, ქართული არმია ბრძოლის ველიდან გამოიქცა, საქართველო არ იყო მზად თავდაცვისთვის და ა.შ?

— ვისაც ხელში იარაღი არ სჭერია, ბრძოლის ველზე არ გასულა, იქ ჯარისკაცი არ შეუყვანია, მის თვალწინ მეგობარი და თანამებრძოლი არ დაცემულა, მისთვის ადვილია ამ ტიპის განცხადებების კეთება — თითქოს, ვიღაცამ ჩაისვარა, ვიღაც გამოიქცა და ა.შ. თუ კარგად დაფიქრდება ქართული საზოგადოება, ეს პირდაპირ ურტყამს შეიარაღებული ძალების ავტორიტეტს. მთელი ეს აგონია შეიარაღებული ძალების მიმართ, მაშინ, როცა შეიარაღებული ძალები დედაეკლესიის მერე ყველაზე მაღალი ნდობის მაჩვენებლით სარგებლობს, თვალის დაბრმავებას ჰგავს. მახსენდება 90-იანი წლები, როცა ქართული ფორმა მეცვა და ისიც მახსოვს, მაშინ რა მდგომარეობაში ვიყავით, როგორ გვიწევდა საკუთარი ხალხის ზიზღის ატანა. მახსოვს ისიც, თუნდაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როგორ მოხდა ქართული შეიარაღებული ძალების რეაბილიტაცია და დღეს ამ ყველაფრის ფეხქვეშ გათელვა იმ პირების სიბეცეა, ვინც ამას სჩადის! ყველა კონკრეტულ დანაშაულს კონკრეტული დამნაშავე ჰყავს, რომლის გამოც მთელ სისტემას არ უნდა ებრძოლო და მისი დისკრედიტაცია არ უნდა მოახდინო.

— ვის სჭირდება დღეს ქართული შეიარაღებული ძალების დისკრედიტება?

— შიდა და გარე მტერს. შიდამტერი კი ისაა, ვინც ვერ ხედავს პროგრესს ევროკავშირსა და ნატოსთან ურთიერთობაში, ვერ ხედავს სტრატეგიულ პარტნიორ შტატებთან წინსვლას და ურჩევნია, ისევ პოსტსაბჭოთა სივრცეში დაბრუნდეს. თუ ასე გაგრძელდა, ახლო მომავალში კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ, რომ ეს ნაბიჯები კარგს არაფერს გვიქადის. ახალი ხელისუფლებისთვის, თურმე არაფერს ნიშნავს ის განცხადებები, რაც ნატოს ხელმძღვანელობის მხრიდან გაკეთდა და თურმე, ამ ყველაფერზე პრემიერს წარმოუდგენია, რომ ყველა ეს ადამიანი ვიღაცამ შეცდომაში შეიყვანა. ამ დროს, ხალხის შეცდომაში შეყვანა ყოველ წუთში შეცვლილი დაპირებები და გადაწყვეტილებები უფრო მგონია.

— ახალაიას დროსაც სამინისტროში იყავით. თქვენი სამხედრო კომპეტენციიდან და იმ ჩვენებებიდან გამომდინარე, რაც ახალაიას საქმეში დევს, მის დაჭერას თქვენც პოლიტიკურ პატიმრობად აფასებთ?

— ბაჩო ახალაიას დროს გვარდიაში ვიყავი და მერე, სამი თვე მრჩეველთა საბჭოში ვიმუშავე, მინისტრის მრჩევლად. სერიოზული გამოძიების შედეგად, უფრო მყარი არგუმენტების მოძიების შემთხვევაში, შესაძლოა, მერწმუნა, რომ ეს პოლიტიკური დევნა არაა. თუმცა დღეს მიმაჩნია, რომ ახალაიას წინააღმდეგ პოლიტიკური ნაბიჯია გადადგმული. ამ აზრს ამყარებს გენერალური შტაბის უფროსის ზედ მიყოლება. როცა ირაკლი ალასანია დაინიშნა, მომეწონა, მისი სიტყვები კაპანაძის წარდგენის დროს — კალანდაძე კარგი გენერალია, მაგრამ ცოდნა და გამოცდილება აკლია და ახლო მომავალში, სასწავლებლად წავაო. თუმცა მოხდა სხვა რამ — მისი კაბინეტიდან პირდაპირ ციხეში წაიყვანეს, ხომ? ეს იყო პოლიტიკური მოტივი, თორემ დამნაშავე, ვის გუნდშიც უნდა იყოს, უნდა დაისაჯოს, თუ მართლა დამნაშავეა! ახლა რაც შეეხება ჩვენებებს ახალაიას საქმეში — ჯერ ერთმანეთისგან გავმიჯნოთ შეურაცხყოფა და სამხედრო დისციპლინა. ვგმობ ხელქვეითის შეურაცხყოფას, დამცირებასა და 90-იან წლებში ამას ბევრჯერ შევწინააღმდეგებივარ.

> **დღეს კი, რატომღაც, ასეთი ტენდენცია მოდის წინ — ადამიანები ამბობენ, რაღაც დავაშავე და ამის გამო პასუხი მომთხოვესო. ჯერ ერთი, დისციპლინის განტკიცების მიზნით, ჯარისკაცებს ამა თუ იმ ვარჯიშებს ისედაც ასრულებინებენ, მაგრამ თუ ეს ვარჯიშები შეურაცხყოფად და ძალის გადამეტებად ჩაითვლება, მაშინ მალე ჯარში ქალიშვილების ინსტიტუტს მივიღებთ!**

მებრძოლთა გუნდის მართვა სხვა რამაა და, ნურავინ წარმოიდგენს, რომ გამოვა ვიღაც ტიპი, ლამაზად დაყენებული ხმით და იტყვის, უკაცრავად, თქვენ ახლა გადაცდომა არ ჩაიდინოთ, თორემ დაგსჯითო. ეს არასერიოზულია! ასეთი ტიპი ქართულ კი არა, ვერც ერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ვერ იმეთაურებს, ხოლო გადაცდომების გამო ჯარისკაცს მთელ მსოფლიოში სჯიან.

— უბრალოდ, თქვენც უნდა აღიაროთ, რომ დასჯის დროს აქეთ გქონდათ გადაცდომები.

— მოდით, ასე ვთქვათ — დანაშაული ყველგან შეიძლება მოხდეს და ყველამ შეიძლება ჩაიდინოს, მაღალი თანამდებობის პირმაც და რიგითმა ჯარისკაცმაც!

— როცა თავდაცვის მინისტრი ამბობს — ჯარში საჭიროა ცალკე სამხედრო ომბუდსმენიო, რეალურად, ასე ცუდადაა საქმე ქართულ ჯარში?

— თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის წევრი მეც ვარ და ეს ირაკლი სესიაშვილის იდეაა. თავიდან იმაზე იყო საუბარი, რომ ეს ინსტიტუტი შეიქმნებოდა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროსთვის, მაგრამ, უკაცრავად, სამხედრო მოსამსახურეები თავდაცვის სამინისტროს გარდა, ბევრგან მსახურობენ, ამიტომ თუ ეს ინსტიტუტი შემოვა, ყველა უწყებაზე უნდა გავრცელდეს, სადაც ჯარისკაცი მსახურობს, ხოლო თუ ეს ომბუდსმენი მხოლოდ თავდაცვის სამინისტროსთვის იქმნება, მაშინ კიდევ ერთხელ გაუჩნდება ხალხს უსაფუძვლო ეჭვი, რომ იქ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა. ესეც თავდაცვის სამინისტროს დისკრედიტებაა და სხვა არაფერი და გვითხრან, თუ მათი პოლიტიკური ნება სწორედ ესაა. მეორე — სამხედრო სამსახურში მარტო ჯარისკაცები კი არა, გენერლები, პოლკოვნიკები, სერჟანტები, კაპრალები არიან და მათ უფლებები არ აქვთ? ამაზე ირაკლი სესიაშვილთან მისაუბრია და

> **ბოლოს სწორედ ასე შევთანხმდით, რომ ახალი ინსტიტუტი ყველასთვის უნდა შეიქმნას, თუმცა, როგორც ჩანს, რომელიღაცას არ მოეწონა მთავრობაში — ან თავდაცვის, ან შინაგან საქმეთა ან სასჯელაღსრულების მინისტრს, რადგან თუ ზოგადად შეიქმნა ეს სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტი, მაშინ მათაც შეეხება.**

— და რატომ არ უნდა მოსწონებოდა? პირიქით, ივანიშვილის მთავრობის მთავარი გზავნილი ისაა, სამოქალაქო კონტროლი უნდა გავზარდოთო.

— სამოქალაქო კონტროლის თემაზე ეს მთავრობა ძალიან აპელირებს. ესეც გადამეტებულია.

დასასრული მე-4 გვერდზე

მედვედევი: „რუსეთი დიალოგისთვის მზადაა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე რუსეთის გადაწყვეტილების გათვალისწინებით!“

რუსეთი საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან დიალოგისთვის მზად არის, მაგრამ არსებული გეოპოლიტიკური რეალიების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე რუსეთის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, — ამის შესახებ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, დიმიტრი მედვედევმა რუსულ „კომერსანტთან“ ინტერვიუში განაცხადა. მისივე თქმით, საქართველოსთან ჰუმანიტარული ურთიერთობების აღდგენაში ცუდს ვერაფერს ხედავს.

„მე არაერთხელ მითქვამს, რომ ერთადერთი, ვისთანაც მოლაპარაკების მაგიდასთან არ დავჯდები, მიხეილ საკაშვილია. მან დაიწყო ომი და ჩაიდინა დანაშაული ქართველი ხალხისა და სხვა ერების წინაშე, რომელთა მოქალაქეების სიკვდილშიც მას მიუძღვის ბრალი. მოქმედი პრემიერ-მინისტრი სხვა თაობის პოლიტიკოსია და მის რეალურ ქმედებებს დავაკვირდებით. მოდის გარკვეული სიგნალები, რომ კარგი იქნებოდა, კონტაქტების დალაგება, მაგრამ ჯერ დიპლომატიურ დონეზე საუბარი არ არის. შეგახსენებთ, რომ დიპლომატიური ურთიერთობა არა რუსეთმა, არამედ საქართველომ გაწყვიტა. ჩვენ ამ სიგნალებს ყურადღებით მოვეკიდებით.

ჰუმანიტარული თანამშრომლობის აღდგენაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ორ ქვეყანას შორის თვითმფრინავები პირდაპირ რეისებს ასრულებენ. ღვთის წყალობით, ხალხთა შორის კონტაქტები გრძელდება, კულტურული კავშირები შენარჩუნდა და, შესაძლოა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობაც აღდგეს. ეს არც ისე მარტივი გზაა. რუსეთი ყოველთვის ამბობდა, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან დიალოგისთვის მზადაა, მაგრამ არსებული გეოპოლიტიკური რეალიებისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე რუსეთის გადაწყვეტილების გათვალისწინებით“, — განაცხადა მედვედევმა.

„ინტერპრესნიუსი“

„ვერსიის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილმა დაადასტურა

„ფორუმი“ წლის ბოლოს „ოცნებას“ შეუერთდება და გაერთიანებული პარტიის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი იქნება!“ — ამ სათაურით გამოქვეყნდა ექსკლუზიური ინტერვიუ პარლამენტის წევრთან, ანი მიროტაძესთან, რომელმაც, ფაქტობრივად, დაადასტურა „ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერის გუბაზ სანიკიძის ასევე ვერსიასთან ექსკლუზიურ ინტერვიუში გაჟღერებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ფორუმმა“, რომელსაც პარლამენტში 6-კაციანი ფრაქციის შექმნა შეეძლო, საკუთარი

პარტიის ხარჯზე „ოცნების“ გაძლიერების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ანი მიროტაძე აცხადებს, **„ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ „ეროვნული ფორუმი“ და „ქართული ოცნება“, როგორც ორი სრულფასოვანი სუბიექტი, გახდეს ერთი და უფრო ძლიერი, რადგან ამას არსებული პოლიტიკური რეალობა მოითხოვს!“** ინფორმაცია ფორუმისა და „ქართული ოცნების“ გაერთიანების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა და რამდენიმე დეტალიც დააზუსტა. მისი თქმით, იქნება პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, რომლის დამფუძნებელი ყრილობაც წლის ბოლოს, ანდა 2013 წლის დასაწყისში გაიმართება.

პარტიის თავმჯდომარე, სავარაუდოდ, თავად ბიძინა ივანიშვილი იქნება, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობის პრობლემა აღარ აქვს. თუმცა იგი არ მალავს, რომ „ეროვნული ფორუმის“ თავმჯდომარესთან, კახა შარტავასთან კონსულტაციები არადამაკმაყოფილებელი შედეგით დასრულდა. როგორც ივანიშვილი აცხადებს, კახა შარტავა ვერ დავითანხმე რაიმე სახის თანამშრომლობაზე, რადგან მას არ სურს პოლიტიკაში ჩაერთოს.

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

გურიის გუბერნატორის, ოზურგეთის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომის მოთხოვნით, აქცია დაიწყება

ლანჩხუთში კი საპროტესტო აქციას რესპუბლიკელები შეუერთდნენ

გურიის გუბერნატორის, ვალერი ჩიტაიშვილის, ოზურგეთის გამგებლის ილია ვაშაყმაძისა და საკრებულოს თავმჯდომარის, ალეკო მამეშვილის გადადგომის მოთხოვნით, ოზურგეთში აქცია დაიწყება. აქციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრები გეგმავენ. ინფორმაცია ამის შესახებ „ვერსიას“ ლანჩხუთში ამ ორგანიზაციის აქტივისტმა მირიან ხინთიბიძემ მიაწოდა.

ხინთიბიძის განცხადებით, ჯერჯერობით არ არის გარკვეული ადგილი, თუ სად გაშლიან კარავს პროტესტანტები, თუმცა, მისივე სიტყვებით, გარკვეული და გადაწყვეტილია, რომ აქცია ამ დღეებში დაიწყება.

29 ნოემბერს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა, ოზურგეთელმა მეომარ-ვეტერანთა ერთმა ჯგუფმა, ქალაქ ოზურგეთის გმირთა მოედანზე ადგილობრივი ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით აქცია გამართა. აქციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, მურთაზ აბაშიძის განცხადებით, ისინი, უპირველეს ყოვლისა, მხარის პირველი პირისა და თვითმმართველობის ხელმძღვანელების გადადგომას მოითხოვენ:

„ჩვენს უკან არავინ დგას. მოვითხოვთ, დატოვოს ხელისუფლება ადგილობრივმა პირველმა პირებმა. მიგვაჩნია, რომ დღეს სახელისუფლებო თანამდებობებზე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები და პარტიის წევრები აღარ უნდა იყვნენ“.

29 ნოემბერსვე ვეტერანები ლანჩხუთში იმყოფებოდნენ და იქ მიმდინარე ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი „ქართული ოცნების“ აქტივისტის, შოთა ფირცხალაიშვილის აქციას შეუერთდნენ. ლანჩხუთში გამგეობის შენობის წინ, კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების ორგანიზებით, კარავია გაშლილი, სადაც რამდენიმე მონაწილემ შიმშილობა გამოაცხადა გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის კახა ასკურავას გადადგომის მოთხოვნით. როგორც „ვერსიასთან საუბარში“ აქციის ერთ-ერთი მონაწილე და კოალიციის წევრი რომან ბიწაძე აცხადებს, ისინი მანამ არ დაიშლებიან, სანამ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

„აქციის ორგანიზატორი შოთა ფირცხალაიშვილია, მიზანი კი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის კახა ასკურავას გადადგომა. ჩვენ არ მოვითხოვთ, პოსტი დატოვოს საკრებულოს თავმჯდომარემ, რადგან ის ხალხის მიერ არის არჩეული, მაგრამ მათ აუცილებლად უნდა დააყენონ ასკურავას გადადგომის საკითხი. მანამ არ დავიშლებით, სანამ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება“, — აცხადებს ბიწაძე.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლანჩხუთის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი, ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი გოგი გეგიაძე, ლანჩხუთში მიმდინარე აქციის მონაწილეების მოთხოვნებს არ იზიარებს და მათ მოქმედებების ფორმას უწუნებს.

„ასეთი ფორმით არ მიმაჩნია მიზანშეწონილად მოქმედება, ვფიქრობ, რომ ქართული ოცნება უფრო ცივილურად უნდა მოქმედებდეს, ვიდრე ეს ქუჩებში კარვების გაშლაა“, — განუცხადა „ვერსიას“ გეგიაძემ ლანჩხუთის მუნიციპალური გამგეობის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე პარკში მიმდინარე აქციაზე. გეგიაძის თქმით, მოთხოვნის ამ ფორმას არც საქართველოს პარლამენტში ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ ჩხაიძე იზიარებს.

ლანჩხუთის მუნიციპალური გამგეობის შენობის წინ მდებარე პარკში, ქართული ოცნების აქტივისტი შოთა ფირცხალაიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის კახა ასკურავას გადადგომის მოთხოვნით, გასული კვირის შაბათიდან ატარებს აქციას. პარკში მას კარავი აქვს გაშლილი, სადაც რამდენიმე ათეული ცოცხი და მოთხოვნათა ნუსხა აქვს. ოდნავ მოგვიანებით, ფირცხალაიშვილს კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი რესპუბლიკელები შეუერთდნენ, რომან ბიწაძის ლიდერობით.

„თუ ვინმეს ჰგონია, სხვისი გათელვით ავტორიტეტს აიმაღლებს, დაფიქრდეს – დრო მოვა და მას გათელავენ!“

მე-3 გვერდიდან

ავიღოთ თავდაცვის სამინისტრო — იქ უნდა გაიმიჯნოს სამხედრო შტაბი, შეიარაღებული ძალები და სამოქალაქო ინსტიტუტი. ჯერ ერთი, მინისტრი, წესით, თავადაა სამხედროების სამოქალაქო ზედამხედველი. ასევე, თავდაცვის სამინისტროს ჰყავს თავისი გენინსპექცია, რომლის მეშვეობით, შეუძლია თითოეული სამხედრო ნაწილის მდგომარეობის შესწავლა. არსებობს საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლის საშუალება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტშიც. ბოლო-ბოლო, არსებობს სახალხო დამცველი, რომლის ინსტიტუტში შესაძლებელია, ცალკე გამოვყოთ ძალოვანების დაცვის მიმართულება და ამით დავამთავროთ ყველაფერი! ჩემი სუბიექტური აზრით, კონტროლის იმას ეშინია, ვინც დანაშაულს სჩადის!

— რაზე დავობთ, ვერ გავიგე — გამაკონტროლეთო, იხვეწება ირაკლი ალასანია და ეს არ მოგწონთ?

— იცით რა, მარტო შეიარაღებული ძალების შიგნით კი არ უნდა გაკონტროლდეს სიტუაცია, არამედ მაინტერესებს — სამხედრო ომბუდსმენმა უნდა იზრუნოს თუ არა ომის ვეტერანებზე, შეიარაღებული ძალების ვეტერანებზე, თადარიგის პოლკოვნიკებზე, ჯარისკაცებზე და ა.შ?

— უკაცრავად, რომელ ომის ვეტერანებზე საუბრობთ, 2 იანვარს რომ დაარბიეთ გმირთა მოედანზე?

— მე არავინ დამირბევია... შეიარაღებულ ძალებში 20 წელია ვმსახურობ და იქ ყოფილსა თუ მოქმედს, ყველას ვიცნობ. ყველამ იცის, რომ ძალადობის მომხრე არც ვარ და არც ვიქნები!

— რაკი პარლამენტში „ნაციონალების“ სიით შეხვედით, ახლა პასუხისგება მოგიწევთ იმ ყველაფერზე, რაც თქვენს გუნდს აქამდე უკეთებია.

— გეტყვით, რატომ აღმოვჩნდი სამხედრო პოლკოვნიკი კაცი პარლამენტში. რა თქმა უნდა, სისტემის მშენებლობის პროცესში იყო ბევრი შეცდომაც, რასაც ეს პოლიტიკური გუნდი დამარცხების მიზეზად აღიარებს! თუმცა ამ ხალხის გვერდით იმიტომ დავდექი, რომ მიმაჩნდა, მოგების შემთხვევაში, მათთან ერთად შეიძლებოდა სწორედ ამ შეცდომების გამოსწორება, კეთილი საქმეების კეთება, შეიარაღებული ძალების განვითარება. დღეს კი ვერ ვხედავ რეალურ ძალას, რომელიც შეიარაღებულ ძალებს თანამედროვეობის იმ საფეხურამდე აიყვანს, რაც ჩვენს კონცეფციაში იყო გაწერილი.

— უკვე მოვისმინეთ რამდენიმე განცხადება ირაკლი ალასანიასგან — მაგალითად, ჯარის რიცხოვნობის შემცირებაზე. ამაზე რა აზრის ხართ, ეს რა სტრატეგიაა თქვენი აზრით?

— მე ირაკლი ალასანის სტრატეგიულ გეგმას არ ვიცნობ და თუ ვინმე იცნობს, მითხრას. განცხადება იყო ასეთი — შევამცირებთ ჯარს, მაგრამ რის ხარჯზე ამცირებს და ეს შემცირება სახელმწიფოს უსაფრთხოებას როგორ წაადგება, აღარ დაუკონკრეტებია. შესაძლოა, იგი აპირებს მუდმივი რეგულარული არმიის შემცირებას 37 000 კაციდან 25 000-მდე, მაგრამ ეროვნული გვარდიის სარეზერვო სისტემის რეორგანიზებას მოახდენს და ამით დააბალანსებს ქვეყნის უსაფრთხოების სფეროს.

აი, თუ გვარდიაც მცირდება და ჯარიც, მაშინ, ეტყობა, რაღაც გარანტიები არსებობს, რის შესახებაც ჩვენ არ ვიცით. დღეს რეგიონში ყველაზე მცირერიცხოვანი არმია ისედაც ჩვენ გვყავს — ჩვენზე მეტი ჰყავს სომხეთსა და აზერბაიჯანს, რუსეთსა და თურქეთზე აღარაფერს ვამბობ. ახლა კიდევ აპელირება ჯარის შემცირებაზე იმას ნიშნავს, რომ მას წინ უძღვის გარანტია, რაზეც ალასანია დგას. შეიძლება, ის დგას ნატოს იმედზე, ან რაღაც ახალგაჟღერებულ იდეაზე — ევროპაზიურ კავშირზე, სადაც, კულისებში, შესაძლოა, ყალიბდება პოსტსაბჭოთა სივრცის გაერთიანებული სამხედრო ძალა, სადაც გარანტიებს უკვე რუსეთი იძლევა. მოკლედ, ვიდრე ალასანია განმარტებას არ გააკეთებს, უნდა ვისხდეთ და ვიმკითხაოთ. ვეკითხები ალასანიას — ჯარს რომ ამცირებს, მერე რით უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოებას? არგუმენტებისა და გარანტიების გარეშე, ამის გაკეთება ნიშნავს იმას, რომ ტერიტორიული მთლიანობა საბოლოოდ წარსულს ჩაბარდება და ვერც იმ ტერიტორიებს დავიცავთ, რასაც ახლა ვაკონტროლებთ.

— თუმცა, გამოჩნდა, რომ ალასანია უარგუმენტოდ არც არჩევნებამდე საუბრობდა — იგი ამბობდა, კანონგარეშე შეიარაღებული ადამიანები არიან ზუგდიდშიო, ცოტა ხნის წინ, ზუგდიდის კუდის შენობიდან არარეგისტრირებული იარაღი ამოიღეს, ხოლო სამმართველოს უფროსი შამათავა გაქცეულია. არის თუ არა ეს თქვენი გუნდის შეცდომა?

— ირაკლი ალასანიამ განცხადებები საარჩევნო კამპანიის პროცესში გააკეთა, ხომ? მოდით, გავაანალიზოთ, დღეს რომ ალასანიამ იარაღი ამოიღო კუდიდან, მისივე გუნდის მიერ კონტროლირებადი ძალოვანი უწყების დაწესებულებიდან, ჩემთვის ეს ფაქტი არ არის. ხომ შეიძლება, მეც მქონდეს ლეგიტიმური ეჭვი, რომ რაც თვითონ ჩადო, ის ამოიღო? ყოფილ ხელისუფლებას ამაში არ ადანაშაულებდნენ? რატომ არ შეიძლება, ახლა მათაც იგივე ექნათ?

— მაშინ სად გაიქცა შამათავა, თუ ისიც მათი კაცი იყო?

— არ მაქვს უფლება ვიფიქრო, რომ ეს იყო ალასანიას წინასაარჩევნო განცხადების გამაგრება?! მე მახსოვს მისი შეძახილებიც, მაქვს უამრავი მასალა და ფაქტებს დავდებო და ახლაც ველოდები — დადოს ფაქტები და გამოაჩინოს ის უამრავი მასალა. თუმცა, ძალაუფლება მათ ხელშია, ვნახოთ, რას იზამენ.

— ცალკე თემაა თავდაცვის მინისტრისა და გაერთიანებული შტაბის უფროსის ურთიერთობა — თუ არ მოხდება ორ სახელისუფლო შტოს შორის შეთანხმება გაერთიანებული შტაბის უფროსის კანდიდატურაზე, ეს ქვეყანას სამხედრო საფრთხის წინაშე ხომ არ დააყენებს?

— პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ინსტიტუტის მთავარი არსი ქვეყნის უსაფრთხოებაა. კონსტიტუციურად, მათი უფლებამოსილება გამიჯნულია, ხოლო თავდაცვის სამინისტრო შედგება ორი კომპონენტისგან — სამოქალაქო სექტორისა და შეიარაღებული ძალებისგან. მთავრობის ამოცანაა, ფინანსურად უზრუნველყოს გაერთიანებული შტაბი, შტაბმა კი უნდა აღასრულოს თავისი ამოცანები. ახლა რა ხდება — ქვეყანაში პრემიერი არ არის უმაღლესი მთავარსარდალი და ვერც იქნება მანამდე, სანამ პრეზიდენტის ინსტიტუტი იარსებებს. ამას უნდა შეეგუონ, ესეც სააკაშვილის მოგონილი სისტემა ხომ არ არის?! ამიტომ ვსვამ კითხვას — რატომ უნდა ჰქონდეთ ირაკლი ალასანიასა და ბიძინა ივანიშვილს იმის ამბიცია, გინდა თუ არა, მე უნდა დავნიშნო შტაბის უფროსიო. რა არის ამის მიზანი? ვეკითხები ბიძინა ივანიშვილს — რაში სჭირდება პირად დაქვემდებარებაში საქართველოს გაერთიანებული შტაბი და უშიშროების საბჭო?! ჩემი აზრით, ამ ადამიანს სურს, საქართველოს ერთ დიდ კომერციულ დაწესებულებად აქციოს და მას ერთპიროვნულად უხელმძღვანელოს. ახლა მე არც სიძულვილი მალაპარაკებს, არც მას და მის გუნდს გაუკეთებია ცუდი პირადად ჩემთვის, მაგრამ ის ნაბიჯები, რასაც დგამენ, სახელმწიფოებრივად არ მომწონს. ეს უკვე ეჭვიანი ცოლ-ქმრის ამბავს ჰგავს, რაც აბსოლუტურად არასწორია!

— არასწორი არის ის, რომ როგორც პრეზიდენტს, ისე პრემიერს ვიწრო პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებთ და ამ სიტუაციაში, უპრიანი არ იქნება, ეს ერთი პოსტი ერთმანეთში შეათანხმონ?

— მოსწონს ეს ივანიშვილს, მის „ოცნებასა“ და მხარდამჭერებს თუ არა, ფაქტია, ისინი ებრძვიან არა პიროვნულად სააკაშვილს, არამედ ჩემს ქვეყანას, მის სახელმწიფო ინსტიტუტებს, ქვეყნის უსაფრთხოებას და აკნინებენ შეიარაღებულ ძალებს. ამიტომ სჯობს, ივანიშვილმა გაითვალისწინოს ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა. რა, სააკაშვილს ძალიან უნდოდა მთელი ძალოვანი სისტემა და ყველა მინისტრი დაეთმო ივანიშვილისთვის, ან რომ დაუთმო, ამით გული გაუსკდა?! გავიაზროთ, რომ ვინც შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლი უნდა განახორციელოს და მას ფინანსები მიაწოდოს, ყველა მინისტრი მისია, ჰოდა, რას ჩაეციკლა ახლა ამ ერთ თანამდებობას?! მიშა არაფერ შუაშია, პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანებული შტაბის უფროსსა და სარდლებს და რატომ მიდიხარ მაინცდამაინც ამ დაპირისპირებაზე? დანიშნოს, ვინც უნდა და გააკონტროლე, როგორც გინდა შენი მინისტრებით!

ჩემთვის მთავარი არა პიროვნება, არამედ სახელმწიფოა, რომლისთვისაც ვიბრძოდი და ვიბრძოლებ, რომელ პოლიტიკურ გუნდშიც უნდა ვიყო. ყველას შევეწინააღმდეგები, თუ ჩავთვლი, რომ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ცუდ ნაბიჯებს დგამს — პირდაპირ გეტყვით, არ მოვრიდებივარ თავდაცვის სამინისტროში თანამდებობებზე ყოფნის დროს იმის თქმას, რაც პრობლემად მიმაჩნდა. ახლა სულ რამდენიმე თვეა დარჩენილი საპრეზიდენტო არჩევნებამდე და მთელი საზოგადოების ამ რეჟიმში ყოლა ერთი წელი, რაში არგებს არსებულ ხელისუფლებას? ჩემი ერთადერთი რეკომენდაციაა ახალი მთავრობისთვის — ის, რაც დათმო პრეზიდენტმა, მართოს, როგორც წესია.

პრეზიდენტს არ უვაჭრია არც ერთ მინისტრზე, ეს ხალხი კი დგას და პრეზიდენტს ერთი გენშტაბის უფროსს ევაჭრება!თუ ვინმეს ჰგონია, რომ სხვისი გათელვით ავტორიტეტს აიმაღლებს, დაფიქრდეს, რადგან მოვა დრო და მას გათელავენ! მთელი ერის თვითმიზნად არ უნდა იქცეს, რომ პიროვნულად ვიღაცას გაუსწორდეს. ვინც დამნაშავეა, იმან პასუხი უნდა აგოს, მაგრამ საზოგადოების ამ რეჟიმში მუდმივად ყოლა, რასაც წარსულ ხელისუფლებას აბრალებდნენ, მგონი, ხალხის 10-ჯერ მეტი შანტაჟია.

— ფრაქცია „რეგიონების“ თავმჯდომარე ხართ —ამხელა ზიზღი და აგრესია რომ ჩანს რეგიონების თვითმმართველობებში ნაციონალების მიმართ, ამაზე რა პოზიცია გაქვთ?

— ვერ დაგეთანხმებით. ჩამობრძანდით ჩემთან რაიონში და, თავად ნახეთ, როგორ ვძულვარ მოსახლეობას. შესაძლებელია, ლოგიკა არსებობდეს იქ, სადაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რეგიონში, ან თუნდაც რაიონში წააგო არჩევნები, რაღაც თანამდებობები, შეიძლება შეთანხმების საგანი გახდეს, მაგრამ მე, ტარიელ ლონდარიძეს, ასპინძამ მხარი 76%-ით დამიჭირა და ჩემნაირებს 30 კაცი გამგეობაში რომ მოგვივარდეს კარის ასაჭედად, ეს ჯანსაღი პროცესია? ეს ავტომატურად შეურაცხყოფას აყენებს იმ ხალხს, ვინც ხმა „ნაციონალურ მოძრაობას“ უმრავლესობით მისცა. ეს საკითხი რეგიონული ინფრასაქტრუქტურის კომიტეტის სხდომაზე ცალკე დავაყენეთ და ახლა რაიონებში ჩავდივართ, რათა ეს უმსგავსობა რაღაც ჩარჩოში მოვაქციოთ და არა იმიტომ, რომ ვიღაც გამგებლები გადავარჩინოთ.

ჩემს საარჩევნო შტაბთან ერთად, ისე ჩავატარე არჩევნები, ერთ კაცს არ წამოსცდენია ზედმეტი სიტყვა, ამიტომ მე ჩემს მხარდამჭერებს ვაკონტროლებ და კოლეგებსაც იგივესკენ მოვუწოდებ. როგორ წარმოგიდგენიათ, ვიღაც გამოვარდეს, 3 კაცი წაიყოლოს, წამო კარი ავუჭედოთ გამგებელსო და ამხელა სამართალდარღვევაზე წავიდეს? ასე არ ხდება ზემოდან მითითების გარეშე, ამიტომ უმრავლესობას მოვუწოდებ — დავსხდეთ და მოვიფიქროთ, როგორ შეიძლება ქვეყანამ ამ მოცემულობაში ისე იარსებოს, რომ საქართველოში დემოკრატია გადარჩეს. აქ ვინმე ვინმეზე კი არ გაიმარჯვებს, დემოკრატია დამარცხდება ქვეყანაში, რაც არ უნდა დავუშვათ!

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„სასამართლომ და პროკურატურამ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა იმოქმედოს, რათა საზოგადოებას არ გაუჩნდეს სურვილი, განაჩენი თვითონ გამოიტანოს!“



ახალი ხელისუფლების რა შეცდომებს აღიარებს ნუკრი ქანთარია და რა ეწერება კანონში თეატრის შესახებ

პოლიტიკური ბატალიების ფონზე, თეატრიცა და კულტურის სამინისტროს სეკვესტრირებული ბიუჯეტიც ყველას მიავიწყდა. სამაგიეროდ, „ნაციონალებს“ არ ავიწყდებათ კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რეჟისორი ნუკრი ქანთარია, რომლის ყოველ გამოსვლას პარლამენტში, უმცირესობა ტაშისკვრით ხვდება. რას ფიქრობს არასამთავრობო სექტორიდან საკანონმდებლო ორგანოში გადანაცვლებული „დაუმორჩილებელი“ რეჟისორი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, რა შინაარსის იქნება კანონი თეატრის შესახებ, რომელსაც კომიტეტი ამზადებს და რით იმსახურებს „ნაციონალურ“ ოვაციებს — „ვერსია“ ნუკრი ქანთარიას ესაუბრება:

— თქვენი გამოსვლები პარლამენტში ყოველთვის ტაშით სრულდება, როგორ ფიქრობთ, ოპონენტების ოვაციებს რით იმსახურებთ?

— ხანდახან შუა სიტყვის დროსაც აპლოდისმენტებით მაწყვეტინებენ უმცირესობის წევრები, რაც, ვფიქრობ, ცუდი არ არის. პირიქით, ცოტა გამანებივრეს კიდეც. შესაძლოა, აღფრთოვანებული არიან იმით, რასაც ვამბობ, ან ეს ირონიის ტაშია და მცდელობა აქვთ, საკუთარი დამოკიდებულება ასე გამოხატონ. ტაშისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქუთაისის პარლამენტში პროდუქტიული მუშაობა ფერხდება და ზამთარში, ალბათ, კიდევ უფრო შეფერხდება. გზაზე ამდენი ხანი წანწალიც ისევ სამუშაო დროს აკლდება, რადგან მუდმივად გასტროლიორების მდგომარეობაში ვიმყოფებით. თან, იქ ჰაერიც კი ხელოვნურია — ამ თავიანთ ხელოვნურობას ქუთაისის პარლამენტით სულ მთლად გვირგვინი დაადგეს, ამიტომ იმედია, საკონსტიტუციო უმრავლესობა, განსაკუთრებით, ამ საკითხში გვექნება და პარლამენტსაც მალე გადმოვიტანთ. მით უმეტეს, შავლოხაშვილმა „ნაციონალების“ რიგები უკვე დატოვა და ის პირველი მერცხალი არ ყოფილა — რღვევის პროცესი დაიწყო!

— ზოგადად, ის პროცესები თუ მოგწონთ, რაც ქვეყანაში დაიწყო „ოცნების“ გამარჯვების შემდეგ?

— ეს ლოგიკური პროცესია — დანაშაულებრივი სისტემა იცვლება. პირველ რიგში, სწორედ ხალხის მთავარი მოთხოვნები უნდა შესრულდეს — სამართლიანობის აღდგენა, სიდუხჭირის დაძლევა, დილეტანტიზმისა და არაპროფესიონალიზმის მოსპობა ყველა სფეროში.

სხვათა შორის, „ნაციონალები“ ბევრს ყელყელაობენ პარლამენტში და ისე უნდათ წარმოაჩინონ სიტუაცია, თითქოს საქმე ერთობლივად კეთდება. „მომე ხელი, მეგობარო, დავივიწყოთ რაც იყო“ — ლამის, ამ სიმღერით იხელმძღვანელონ, მაგრამ ბოდიში, ეგრე არ გამოვა! ყველა ხედავს, რომ შუქი არ ჩამქრალა პროკურატურაში, დღე და ღამე მუშაობენ.

— სამაგიეროდ, შუქი პრეზიდენტის სასახლეში ჩაქრა — ესაა სამართლიანობის აღდგენა?

— დიახ, ესეც არის. როცა ირგვლივ სხვები ასე ცხოვრობენ, აბრდღვიალებული სასახლის აშენება რამდენად სწორია, ეს კიდევ ცალკე თემაა. ერთი რამ უნდა ითქვას — სამართლიანობის აღსრულების პროცესში, ბუნებრივია, შეცდომებიც მოხდება, თუმცა სასამართლო ყველაფერს გაარკვევს. შემთხვევა არ მახსენდება, პროკურატურა აღმკვეთი ღონისძიებით შესულიყოს სასამართლოში და მისი მოთხოვნა არ დაეკმაყოფილებინოთ. ძალიან კარგია, რომ ხალხს ნელ-ნელა სასამართლოს იმედი უჩნდება, თუმცა პირდაპირ ვიტყვი — დაჭერების პროცესში, შესაძლოა, რაღაც ძველი ინერცია ჯერ კიდევ არსებობს და ზოგიერთ ადამიანს ძველი მეთოდებით მუშაობის ჩვევა აქვს გამოყოლილი, ამიტომ თენგიზ გუნავას საქმეზე მეც მაქვს კითხვის ნიშანი — აი, ასე იჭერდა და იარაღს ჩუქნიდა ხოლმე ხალხს წინა ხელისუფლება!

— და ახლა ამ „ტრადიციას“ „ოცნება“ გააგრძელებს?

— არა, ეს უფრო ქვედა რგოლების ინერციით გაკეთებული საქმე მგონია, ალბათ, მუშაობა ასე უფრო უადვილდებათ, რაც, თქმა უნდა, არ მომწონს!

არ ვიცი და არც მაინტერესებს ვინაა ეს გუნავა, მაგრამ კაცი, რომელსაც იარაღის ტარების უფლება ექნებოდა და თან სულ „სამარიაჟო“ იარაღებისა, ამ თოფით სიარულს არ დაიწყებდა. ამაზე მეც კატეგორიულად ვითხოვ, გამოძიება ბოლომდე მივიდეს. ამასობაში, მომავალი წლის ოქტომბრამდე, ეს სამართლიანობის აღდგენის პროცესიც დასრულდება. პრეზიდენტის არჩევის შემდეგ კი ყველა საკითხზე პასუხისმგებლობა უკვე „ოცნებას“ დაეკისრება!

— რატომ? გააჩნია, ვინ გახდება პრეზიდენტი.

— გასაგებია, რომ „ნაციონალების“ კანდიდატი პრეზიდენტი არ იქნება! გამწარებულ ხალხს იმედი ახლა მიეცა, რომ სამართალი უნდა აღსრულდეს, ოღონდ ის, რაც ახლა მარტვილში ხდება, მთელი ქვეყნის მასშტაბით არ უნდა გაგრძელდეს — კარის მტვრევა-ჭედვები, შევარდნები და მსგავსი მოქმედებები უნდა აღიკვეთოს.

— მერე, ვის აბარებთ ამ საქმეს — საკუთარი მომხრეების თვითშემოქმედება, პირველ რიგში, თქვენ არ უნდა აღკვეთოთ?

— ხალხში ბრაზია დაგუბებული და ლოგიკურია, რომ ამ ბრაზის გარეთ გამოშვება უნდათ, ამიტომ სასამართლომ და პროკურატურამ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა იმოქმედონ, რათა საზოგადოებას არ გაუჩნდეს სურვილი, განაჩენი თვითონ გამოიტანოს! მოვიდა უკვე ახალი ხელისუფლება და რაღა საჭიროა თვითშემოქმედება?! ჩათვალეთ, ახლა ხალხს მოვუწოდებ — თვითინიციატივებს თავი დაანებეთ, პროტესტის გამოხატვა და მორალური სხვა ზემოქმედება შეჭრასა და სხვა კანონდარღვევებში არ უნდა გადავიდეს. ჩვენ თუ ვარღვიეთ სამართალი, ასე სამართლიანობის აღდგენა არ გამოვა! მეორე მხრივ, „ნაციონალები“ ისევ ძველ გზებსა და „ხოდებს“ იყენებენ და არასწორ მესიჯებს აგზავნიან ჩვენს პარტნიორებთან მთელ მსოფლიოში. თუმცა, ალბათ, ასე თავს იცავენ — აბა, გადახედეთ, ვინ ყვირის, ძირითადად ის, ვისაც შეიძლება, ხვალზეგ მიაკითხონ, განსაკუთრებით, გიგი უგულავა, რომელთანაც უამრავი კითხვა არსებობს.

— ოპონენტები კი ამბობენ, რომ ამ დაჭერებით წარუმატებელი სოციალური პოლიტიკის გადაფარვას ცდილობთ — ბიძინა ივანიშვილმაც აღიარა, რომ დაპირებები გადაჭარბებული იყო და არაფერი იცვლება!

— საწყენი იყო ბიძინას ეს განცხადება, ტარიფები ვერ განახევრდებაო. ეს ამბავი ყველას გვეწყინა და ამაში გასახარი არავისთვის არაფერია. თუმცა ბიძინა ივანიშვილი არ ტყუის და გულწრფელად ამბობს ყველაფერს, იმის მიუხედავად, რომ შეეძლო ამ დაპირების თარიღი ხელოვნურად გადაეწია, როგორც ამას წინა მთავრობა აკეთებდა და ეთქვა — შემდეგ ეტაპზე გადასახადები აუცილებლად შემცირდებაო. თან, გამოიყოფა სუბსიდიები და ის ამ გადასახადებს შეეხიდება. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი დღის წესრიგში მაინც აუცილებლად დადგება.

— ხალხის მესამე მოთხოვნა არაპროფესიონალიზმის აღმოფხვრა იყო ყველა სფეროში — დღეს საკადრო პოლიტიკა თქვენი მთავრობის პრობლემა უფროა. შეგვიძლია, თქვენი კომპეტენციიდან გამომდინარე, კულტურის სამინისტროს კადრებზე ვისაუბროთ.

— უწყებების დაკომპლექტება იოლი საქმე არაა. „ნაციონალებმა“ ისეთი გარემოება შექმნეს, ისიც არ ვიცით, სად შეიძლება, მართლა კარგი პროფესიონალი მოვიძიოთ. ეს პრობლემები იქნება, თუმცა, პირველ რიგში, კულტურის სამინისტრომ კულტურის პოლიტიკაზე მუშაობა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა დაიწყოს — რა გვინდა განვავითაროთ, რა პრიორიტეტები უნდა ავიღოთ, ეს ყველაფერი ძალიან საჯარო უნდა იყოს. რაც შეეხება მოადგილეებს — იურა მეჩითოვს კარგად ვიცნობ და ეჭვი არ მეპარება მისი, როგორც ფოტოხელოვანის პროფესიონალიზმში. აი, მინისტრის როგორი მოადგილე იქნება, ამას ვერ გეტყვით. ის კადრები, რაც მის შესახებ ვნახეთ, ბუნებრივია, დადებით ემოციებს არ იწვევს და არც სიმპათიებს აღძრავს იურის მიმართ. საერთოდ, რატომ გადაიღო ასეთი ვიდეო, მაგასაც ვერ მივხვდი, მაგრამ ეს მისი შინაური საქმეებია, რომელთა გარეთ გამოტანას, ბუნებრივია, თავად არც აპირებდა. ამ ვიდეომ ახლადდანიშნულ მოადგილეს და კულტურის სამინისტროს ნამდვილად არაფერში არგო. მეორე მოადგილე გოგონაზეც იგივე შეიძლება ითქვას — არც მისი ტექსტი იყო სასიამოვნო. ერთადერთი, რაც ეჭვგარეშეა ჩემთვის, გურამ ოდიშარიას წესიერებაა.

— ქართულ სახელოვნებო კულუარებში პოლიტიკურზე მძიმე მდგომარეობა რომაა, თქვენზე უკეთ არავინ იცის — არის გურამ ოდიშარია ის კაცი, ვინც ამ ურთიერთობებს დაალაგებს?

— ჯერ ერთი, „მოთოკვა“ კულტურის სამინისტროსა და მინისტრის პრეროგატივა არ არის. „დაიკავოს“ ეს ხალხი და „ვერხი აიღოს“ ვიღაცებზე, ასეც არ გამოვა. კულტურის სამინისტრომ კოორდინაცია უნდა გაუწიოს ამ ადამიანებს, დააფინანსოს პროექტები და მოითხოვოს მათი შესრულება. სწორედ ოდიშარიასნაირი მაღალი ზნეობის მქონე კაცია საჭირო სამინისტროში, ხოლო მისი პრინციპულობა და სიძლიერე არსებული პრობლემების გადაჭრის პროცესში გამოჩნდება. სამწუხაროდ, დღეს მას ხელი სწორედ მოადგილეების სკანდალმა შეუშალა და ბევრს თემა მისცა სალაპარაკოდ.

— და კულტურის სამინისტროს სეკვესტრირებული ბიუჯეტი როგორ მოგწონთ?

— 24 მილიონი ლარი, წინა წელთან შედარებით, მოკლებულია, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს სააკაშვილის ფონდიდან გამოყოფილი თანხა იყო „ტაში-ტუშებზე“. ის ფაქტიც კი, რომ „ქეთო და კოტე“ სულ სამჯერ ითამაშეს და 2 მილიონი ლარი დაჯდა, უკვე ძალიან დიდი დანაშაულია!

— თქვენ ის რეჟისორი ხართ, ვისაც პოლიტიკური შეხედულებების გამო თეატრის კარი დაეკეტა. რობერტ სტურუა საერთოდ გაუშვეს — დღეს სტურუა ძველ პოსტზე ბრუნდება, მაგრამ დადეთ პირობა, რომ ამჯერად თეატრის კარი „ნაციონალების“ მომხრე, მაგრამ ნიჭიერ რეჟისორებს არ დაეკეტებათ?

— პირდაპირ გეტყვით — შეიძლება, აქაც მოინდომოს ვიღაცამ, აი, ჩემი დრო მოვიდა, თქვენ ჩემოდანი ჩაალაგეთ და სახლში მიბრძანდითო, მაგრამ საუბარი შეიძლება იყოს კონკრეტულ პიროვნებებზე, ვინც ამ საქმეს არ წყვეტს. ამას არც კულტურის სამინისტრო დაუშვებს და არც კულტურის კომიტეტი. ახლა სწორედ ისეთი საკანონმდებლო ინიციატივები გვექნება, რომ პოლიტიკური შეხედულებებით მანიპულირების საშუალება არავის მიეცემა. ისიც უნდა ითქვას, რომ მეც მაქვს კითხვები რეჟისორებთან, ვინც მთელი ეს დრო „ნაციონალებთან“ იყო, თეატრს თბილად მართავდა და ყველაფერზე დუმილს არჩევდა! ამიტომ ახლა ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ თეატრის კანონზე. სულაც არ ვაპირებთ, ეს კანონი ვიწრო წრეს გავაცნოთ და ისე შევიდეთ პარლამენტში ინიციატივით — ყველას ყველაფერს დავეკითხებით და გავიგებთ, რა უშლიდათ ხელს მუშაობაში. ერთადერთი, რაზეც ახლა ყველასთან შეთანხმებული ვართ, ეს ე.წ. მმართველის ანუ კომისრის თემაა — აქამდე ყველა თეატრს „ნაციონალების“ მიერ დანიშნული, პროფესიით არარეჟისორი მმართველი ჰყავდა, რომელმაც ყველაფერი ჩაიბარა და საქმე ძალიან ცუდად წაიყვანა. ამ კანონით სწორედ სამხატვრო ხელმძღვანელი იქნება პასუხისმგებელი ყველაფერზე, დირექტორთან ერთად. აქ კი ერთ საკითხზე უნდა შევთანხმდეთ — ვინ დანიშნავს დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

— ერთპიროვნულად მინისტრი და ისევ მოჯადოებულ წრეზე წავალთ?

— ხალხი ისევ მინისტრმა უნდა დანიშნოს, მაგრამ საჭიროა საზოგადოებრივი ჯგუფების რეკომენდაციები და გამჭვირვალე პროცესი. ეს კულტურის სამინისტროსა და კულტურის კომიტეტის ერთობლივი ინიციატივა იქნება. მით უმეტეს, ჩვენს კომიტეტში „ნაციონალებს“ თავი ცუდად არ გამოუჩენიათ, მთელი პარლამენტისგან განსხვავებით. ამიტომ „ნაციონალების“ საქმეა ტაში უკრან, ჩვენი — საქმე ვაკეთოთ!

ვერსიანიუსი

პრეზიდენტის შენახვა დღეში 140 000 ლარი გვიჯდება — ბიძინა ივანიშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, სახელმწიფოს პრეზიდენტის შენახვა დღეში მინიმუმ 140 000 ლარი უჯდება. მან ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, მთავრობამ მომდევნო წლის ბიუჯეტი მეორე მოსმენით დაამტკიცა. იგი პირობას დებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ერთი წლის შემდეგ არსებულისაგან ხარისხობრივად განსხვავებული იქნება. **„გვექნება სხვანაირი ბიუჯეტი და ეკონომიკა“,** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი ინფორმაციით, პრეზიდენტსა და დედაქალაქს მრავალი ხარჯი შეუმცირდება, რომელიც სოციალური სფეროს დაფინანსებას დაემატება. ლაპარაკია გაუაზრებელი ხარჯების შემცირებაზე, რომელთა შორის მშენებლობებიცაა.

ივანიშვილის თქმითვე, მთავრობის კანცელარია ყოველთვიურად 48 ტონა საწვავს მოიხმარდა. ახალი მთავრობის პირობებში კი მისი რაოდენობა 7,5 ტონამდე შემცირდა. ხუთჯერ არის შემცირებული მთავრობის კანცელარიაში რეცხვის ხარჯები და ა.შ. ასევე შეჩერდა მთავრობის სასახლის მშენებლობა, რომელსაც გრიფით საიდუმლო ედო.

„ბევრს ვერ ვიტრაბახებთ, გარდა იმისა, რომ გაუაზრებელი ხარჯები შევამცირეთ“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

„მედიანიუსი“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

რატომ გვთავაზობს სახელმწიფო შესყიდვების ტაჯიკურ მოდელს ბიძინა ივანიშვილი?

მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცალკეული სამინისტროები არაეფექტურად ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვებს. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილი აპირებს, რომ ყველა უწყებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა, ჩამოართვას შესყიდვების უფლება და შექმნას ერთი სააგენტო, რომელიც კანცელარიას (პრემიერ-მინისტრს) დაექვემდებარება. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს არ აქვს ინფორმაცია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო უკვე არსებობს, რომელიც იურიდიულად რეგისტრირებულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ანუ სსიპ და რომელიც ისედაც პრემიერ-მინისტრის აპარატს ექვემდებარება. ზუსტად ერთი წლის წინ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შეუერთდა და ერთიან უწყებად, ანუ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდ“ ჩამოყალიბდა.

სახელმწიფო შესყიდვები რეფორმამდე

ალბანეთის შემდეგ, საქართველო მეორე ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც სრულიად გაუქმდა ქაღალდის ტენდერები და უკიდურესად მოკლე ვადაში, 100%-იანი ელექტრონული ტენდერების სისტემა დაინერგა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის არსებობის ისტორია ჯერ ძალიან მოკლეა, ამ სისტემისთვის დამახასიათებელმა სამართლიანმა სატენდერო პროცედურამ ხელი შეუწყო კონკურენციას და პრაქტიკულად გამორიცხა კორუფციის შემთხვევები.

ქაღალდის ტენდერებში მონაწილეობა დაკავშირებული იყო უამრავი დოკუმენტის შეგროვებასთან, მიმწოდებლების მრავალჯერად ვიზიტებთან შესაბამის შემსყიდველ ორგანიზაციაში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში. სავალდებულო იყო სხვადასხვა სახის ისეთი დოკუმენტების წარდგენა, რაც დამატებით ადმინისტრაციულ ბარიერებს ქმნიდა. ტენდერში გამარჯვებული პირის გარდა, სხვა მონაწილეებისთვის ეს დოკუმენტები გამოუსადეგარი ხდებოდა და დროისა და მატერიალური რესურსების ფუჭ ხარჯვას წარმოადგენდა. შედეგად, 2011 წლის დასაწყისისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, დაახლოებით, 20 000 000 ქაღალდის დოკუმენტი დაგროვდა, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღება და ანალიზი, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო.

ძველი კანონმდებლობის თანახმად, ტენდერი ასე ტარდებოდა: ტენდერის გამოცხადების შემდეგ, დაინტერესებული კომპანიები სპეციალურ განაცხადებს ავსებდნენ, ყველა საჭირო და აუცილებელ დოკუმენტს თავს მოუყრიდნენ და სატენდერო კომისიას აბარებდნენ. მას შემდეგ, რაც დალუქული კონვერტები გაიხსნებოდა, სატენდერო კომისიაში პრეტენდენტი კომპანიების წარმომადგენლები დისკუსიას, ზოგჯერ ცხარე კამათსაც კი მართავდნენ. სატენდერო კომისიის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას სწორედ კამათიდან გამომდინარე იღებდა. სპეციალური ქულები ჰქონდა მინიჭებული კომპანიის სატენდერო ფასს, მომსახურების ხარისხს, შეთავაზებულ წინადადებას, გამოცდილებას და ტექნიკურ აღჭურვილობას. თუ კომპანია ტენდერში საკმაოდ მიმზიდველ ფასს წარმოადგენდა, მაგრამ მას არ ექნებოდა გამოცდილება და მომსახურების ხარისხითაც ვერ დაიკვეხნიდა, ცხადია, ასეთი კომპანია ტენდერში ვერ გაიმარჯვებდა.

ელექტრონული ტენდერები რეფორმის შემდეგ

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, წელიწადზე ნაკლებ დროში შეიქმნა. რეფორმა 2010 წლის იანვარში დაიწყო, იმავე წლის ოქტომბერში კი პირველი ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა. 2010 წლის 1 დეკემბრიდან, ქაღალდის ტენდერები გაუქმდა და ყველა სახელმწიფო ტენდერი მხოლოდ ელექტრონულად ტარდება.

ელექტრონული სისტემა ორენოვანია და მასში განთავსებული მონაცემები ხელმისაწვდომია სისტემის ნებისმიერი მომხმარებლისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე. სისტემის მთავარი უპირატესობა მისი სიმარტივე და გამჭვირვალობაა. ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია **facebook**-ში რეგისტრაციაზე მარტივია. დედამიწის ნებისმიერი კუთხიდან ტენდერის გამოსაცხადებლად და მასში მონაწილეობის მისაღებად, მხოლოდ ინტერნეტში ჩართული კომპიუტერია საჭირო.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, თუკი ელექტრონულ სისტემაში იმყოფება. რაც მთავარია, აუცილებელი არ არის სპეციალურად დარეგისტრირდეთ, გაიაროთ ავტორიზაცია და ასე შემდეგ. იმისათვის, რომ ელექტრონულ ტენდერს დააკვირდეთ, ან გაიგოთ ინფორმაცია, კონკრეტულად რა შესყიდვა განახორციელა ამა თუ იმ უწყებამ და ვისგან, შებრძანდით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ ვებგვერდზე, რომელიც საკმაოდ მოსახერხებელია და „სტუმრის“ სტატუსით, თქვენთვის საჭირო ყველა ინფორმაციას გაეცანით.

მაგალითად, გაიგებთ როგორია შესყიდვების წლიური გეგმა, რა ტიპის სატენდერო განცხადებებია თავმოყრილი, რა არის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, რა სატენდერო დოკუმენტაცია ახლავს ამა თუ იმ შესყიდვას, ან რა ცვლილებები განხორციელდა ამ დოკუმენტებში. ამავე საიტზე შეიტყობთ ინფორმაციას მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაზე და ამ წინადადების ფასზე, გაეცნობით სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებს, ხელშეკრულებებს და ინფორმაციას განხორციელებულ გადახდებზე.

ონლაინ-აუქციონის, ან ონლაინ-ტენდერის შემოღების მთავარი მოტივაცია ყველა საეჭვო გარიგების თავიდან აცილება იყო. ახალი ტიპის აუქციონსა და ტენდერს, სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები ონლაინ რეჟიმში ადევნებენ თვალს და თუ რამე საეჭვოს შენიშნავენ, აუცილებლად შეწყვეტენ ტენდერს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს ელექტრონულ ტენდერში უკვე მონაწილე, ან მონაწილეობის მსურველი კომპანიების ეგრეთ წოდებულ შავ სიას.

„შავ სიაში“ რეგისტრირებულ კომპანიებს, ერთი წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა ეკრძალებათ. შესაბამისად, „შავი სია“ ინტეგრირებულია სისტემაში, რომელიც ამ სიაში მყოფ კომპანიას ავტომატურ რეჟიმში ბლოკავს ტენდერში მონაწილეობისგან. „შავ სიაში“ მყოფი მიმწოდებლების შესახებ მონაცემები კი განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

რა იგულისხმა პრემიერ-მინისტრმა?

ზუსტად ერთი წლის წინ, სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის სააგენტოები გაერთიანდა, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირად (სსიპ) დარეგისტრირდა. გაერთიანებულ უწყებას სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ ეწოდა და პრემიერ-მინისტრის აპარატს დაექვემდებარა.

ამიტომ ლოგიკურია კითხვა, რა იგულისხმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც ბრძანა, რომ შეიქმნება შესყიდვების სააგენტო, რომელიც კანცელარიას (პრემიერ-მინისტრს) დაექვემდებარება? ბიძინა ივანიშვილის მთავარი ეკონომიკური გზავნილი ანტიმონოპოლიური რეგულირების აღდგენა, ასევე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს რეფორმირებაა. აქედან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ ისევ ორ — „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“, ასევე „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოებად“ გაყოფს. რეალურად, ორივე მათგანი სსიპ-ია და ორივე პრემიერ-მინისტრის აპარატის ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს.

ბიძინა ივანიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ცალკეული სამინისტროები თვითონ აწარმოებენ სახელმწიფო შესყიდვებს, რაც არაეფექტურია. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა, სახელმწიფო შესყიდვებს განახორციელებს სააგენტო, რომელიც უშუალოდ მას დაექვემდებარება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელწოდებაშიც აშკარად ჩანს, რომ ეს სააგენტო სწორედ სახელმწიფო შესყიდვებზეა ორიენტირებული. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი კონსოლიდირებულ შესყიდვებს გულისხმობდა.

რას ნიშნავს კონსოლიდირებული შესყიდვა? ფაქტია, რომ საწვავი, ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები, ან თუნდაც კომპიუტერული ტექნიკა, ყველა უწყებას სჭირდება. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უმჯობესია, სახელმწიფომ ერთგვაროვანი საქონელი, კონსოლიდირებულად, ერთი უწყების სახელით შეიძინოს. ასეთ შემთხვევაში, ერთიანი ტენდერი გამოცხადდება და მასში მთავრობის სახელით, ერთი კონკრეტული უწყება მიიღებს მონაწილეობას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, კონკურენცია გამოირიცხება და ტენდერში საკმაოდ სოლიდური ბიზნეს-კომპანია მიიღებს მონაწილეობას, რომელიც მსხვილ სახელმწიფო დაკვეთას განახორციელებს, რადგან ტენდერის ასეთი პირობების დაკმაყოფილებას საშუალო ბიზნესი ვერ შეძლებს. თუ საშუალო მეწარმეს ერთი კონკრეტული სამინისტროს საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა შეუძლია, დიდ სახელმწიფო დაკვეთას ველარ შეასრულებს.

თუმცა ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფო შესყიდვების მიზანი, ისედაც სახელმწიფო სახსრების, ანუ საბიუჯეტო ფულის დაზოგვაა. ამ ყველაფერს სჭირდება სწორი ეკონომიკური გაანგარიშება, დათვლა, ანალიზი, კომპრომისი, ანუ რა გვირჩევნია — იაფად შევინახოთ სახელმწიფო აპარატი, თუ წვრილი ბიზნესი განვავითაროთ? სწორედ ამ ტიპის ანგარიშისა და ფინანსური ანალიზის შემდეგ შეიძლება მსჯელობა, რა ტიპის სახელმწიფო შესყიდვები უნდა განახორციელოს უკვე არსებულმა სააგენტომ. რაც მთავარია, უმჯობესია, თუკი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ცენტრალიზებული უწყება არ იქნება და პრემიერის აპარატს დაქვემდებარებული სსიპ-ის ტიპს შეინარჩუნებს. ცენტრალიზებული უწყების მოდელი მხოლოდ ტაჯიკეთში მოქმედებს და იქაც კი, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციით, ხელისუფლებას ურჩევენ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ცალკე უწყებად ჩამოყალიბდეს.

ვერსიანიუსი

გიუმრის მერმა საქართველოში ბიზნესსაქმიანობა დაიწყო

სომხეთის სიდიდით მეორე ქალაქ გიუმრის მერმა სამველ ბალასანიანმა, რომელიც პარტია „აყვავებული სომხეთის“ წევრია, საქართველოში ბიზნეს საქმიანობა დაიწყო. გაზეთ „გრაპარკის“ ინფორმაციით, საქართველომ ბალასანიანს უფლება მისცა, ბიზნესი მთელი ქვეყნის მასშტაბით აწარმოოს.

გამოცემის ინფორმაციით, ჯავახეთში ლუდის წარმოების გარდა, ის თევზის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობასაც გეგმავს. იმავდროულად, მის გეგმებში შედის რესტორნების ქსელის განვითარება, ქართული და სომხური ბრენდით. გამოცემის ინფორმაციითვე, ბალასანიანი საქართველოში ბიზნესგარემოსა და საწარმოს მშენებლობისათვის ტერიტორიების დასათვალიერებლად უკვე იმყოფებოდა.

თავად ბალასანიანის პრესამსახურში აღნიშნულ ფაქტს არ ადასტურებენ და განმარტავენ, რომ ბალასანიანმა ჯავახეთის განვითარებაში წვლილის შეტანას მართლაც ცდილობს, რადგანაც მისი თხოვნით, ამერიკელი ინვესტორი დათანხმდა, ჯავახეთში ლუდის საწარმო ააშენოს და ახალი სამუშაო ადგილები შექმნას.

„ჯი-ეიჩ-ენი“

მთავარმა პროკურატურამ რუსთავის ვიცე-მერი ე.წ. სტამბულის ბაზართან დაკავშირებით დაკითხა

რუსთავის ვიცე-მერის გიგი ტაბატაძის განცხადებით, მთავარმა პროკურატურამ რუსთავში არსებული ე.წ სტამბულის ბაზართან დაკავშირებით დაკითხა. ამის შესახებ ტაბატაძემ მთავარ პროკურატურაში მოწმის სახით დაკითხვის შემდეგ განაცხადა.

„მიმდინარეობს გამოძიება შპს „ერთობასთან“ დაკავშირებით, რომელიც ე.წ. სტამბულის ბაზარია. მას მერიის თვითმმართველობა ფლობდა და იგი აუქციონზე გაიყიდა. პროკურატურას აინტერესებდა აუქციონის ჩატარების პირობები, ვინ არის ახლა მისი მფლობელი და ა.შ. ამ ფირმასთან ახლა არავითარი კონტაქტი არ მაქვს. შესაბამისად, გამოძიებას ყველაფერზე ამომწურავი პასუხი გავეცი“, — განაცხადა ტაბატაძემ.

„პირველი“

კახა ბენდუქიძე ახალი მთავრობის „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკას ნაწილობრივ პოლიტიკურ სიმპათიებზე დაფუძნებულად მიიჩნევს

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების დამფუძნებელი კახა ბენდუქიძე ახალი მთავრობის „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკას ნაწილობრივ პოლიტიკურ სიმპათიებზე დაფუძნებულად მიიჩნევს. როგორც მან გადაცემა „აქცენტებში“ სტუმრობისას განაცხადა, აშკარა და ცხადია, რომ **„ქამრების შემოჭერის“ ნაწილი გარკვეულ პოლიტიკურ სიმპათიებთანაა დაკავშირებული“.**

ბენდუქიძის თქმით, რამდენად სწორია პრეზიდენტის ადმინისტრაციისა თუ უშიშროების საბჭოს ბიუჯეტის შემცირება, ყოველთვის საკამათო თემა იქნება. ამასთან, ბენდუქიძე ზოგადად, „ქამრის მოჭერის“ პოლიტიკას მიესალმება, თუმცა აცხადებს, რომ ქამარი „სწორ ადგილას“ ანუ წელზე უნდა მოვიჭიროთ და არა ყელზე, რადგან „ყელზე ქამრის მოჭერამ ცუდი იცის ხოლმე“.

რაც შეეხება საქართველოში ძვირადღირებულ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ბენდუქიძე აცხადებს, რომ **„საქართველოს გალამაზების პროექტს ყოველთვის სკეპტიკურად უყურებდა“.** როგორც მან განმარტა, პარლამენტის ქუთაისში გადატანის მომხრე და ინიციატორი თავადაც იყო. **„რაც შეეხება იმას, ეს შენობა ასეთი უნდა ყოფილიყო თუ ცოტა უფრო სადა, მე, ზოგადად, სისადავის მომხრე ვარ“,** — აღნიშნა ბანდუქიძემ.

მისივე თქმით, როდესაც ქვეყანაში ყველაზე საინტერესო ნაგებობები საჯარო შენობებია, ე.ი. იქ ყველაფერი რიგზე ვერ არის. ამასთან, ბენდუქიძე აღნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გარკვეულ პოზიტიურ შედეგს მოიტანს, თუნდაც ტურიზმის განვითარების კუთხით.

„პირველი“

ექსკლუზიური ვერსია

„სანამ განათლების სისტემა ასეთი ადამიანებისგან არ გათავისუფლდება, წესრიგის დამყარებაზე ფიქრიც ზედმეტია!“

ნელი თორდია

ნაციონალური ხელისუფლების მიერ წარმოებულ „ანტიივანიშვილის კამპანიას” შეწირული რუსთავის კერძო სკოლა „მილენიუმის“ დამფუძნებელი განათლების სამინისტროს ხარიხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს ყოფილი ხელისუფლების დაკვეთების შესრულებასა და ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნაში ადანაშაულებს. ელზა ლეკვეიშვილი დარწუნებულია, რომ ახალ პოლიტიკურ რეალობაში ამა თუ იმ სკოლის არსებობის საკითხს შაშკინის პოლიტიკის გამტარებლები არ უნდა წყვეტდნენ და უპრინციპო ადამიანების ადგილი განათლების სისტემაში არ არის. „ვერსიას“ „მილენიუმის“ დამფუძნებელი ELZA ლეკვეიშვილი ესაუბრა:

ბიძინა ივანიშვილის კომპანია „ატუს“ დირექტორის მეუღლე და კერძო სკოლა „მილენიუმის“ დამფუძნებელი სისტემაში დარჩენილ „შაშკინის კადრებს“ ასახელებს

— რუსთავის კერძო სკოლა „მილენიუმი”, 2012 წლის 14 თებერვალს, შაშკინის უწყების მხრიდან განხორციელებული პოლიტიკური დევნის შედეგად დაიხურა. იმის გამო, რომ ჩემი მეუღლე ბიძინა ივანიშვილის კომპანია „ატუს“ გენერალური დირექტორი იყო, ხელისუფლებისთვის მიუღებელი აღმოვჩნდი. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ რუსთავში გავრცელდა ხმები, თითქოს „ქართული ოცნებისთვის“ სკოლის შენობის მიქირავებას ვაპირებდი და შედეგმაც არ დააყოვნა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის შედეგად, ავტორიზაციის პრობლემა რუსთავის 11 სკოლას შეექმნა, თუმცა ავტორიზაცია მხოლოდ „მილენიუმს“ შეუჩერდა. რა უნდა ვიფიქრო, პოლიტიკური ანგარიშსწორების გარდა, როცა სხვა სკოლებს 2-3 საათის განმავლობაში ამოწმებდნენ და ჩემთან ორი სრული დღე დაჰყვეს? როცა ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ბრალდებების უმეტესობა ტყუილია? თავად განსაჯეთ, მთავარ ხარვეზად დააფიქსირეს, რომ მე-12 კლასში არ შეგვიტანია აბიტურის მასალა — არადა, რომელ მასალაზე იყო საუბარი, როცა სკოლას მე-12 კლასი არ ჰყავდა. სამაგიეროდ, ექთანისა და ექთანის კაბინეტის არსებობის პირობებში ჩაგვიწერეს, რომ სკოლაში არ არის ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ყველა სკოლას მისცეს ხარვეზების გამოსწორების ვადა, ჩემი სკოლის გარდა. მით უფრო, რომ უკვე მქონდა ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი საბუთები (გავაკეთეთ პანდუსი მეორე სართულზე, დავაყენეთ გარე სათვალთვალო კამერა).

— „მილენიუმისთვის” ავტორიზაციის შეჩერების ერთ-ერთ მიზეზად მანდატურების სამსახურზე უარის თქმა დასახელდა. რატომ არ შეუშვით მანდატურები სკოლაში?

— არც მაშინ და არც ახლა მანდატურების წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, მაგრამ ორი მანდატურის შენახვის ფინანსური რესურსი არ მქონდა. როგორ შეიძლება 150-ბავშვიან სკოლასაც 2 მანდატური ჰყავდეს და 1000-ბავშვიან სკოლასაც, რაღაც ზღვარი ხომ უნდა არსებობდეს? ორი მანდატურის ხელფასი 1300 ლარია და 2 მასწავლებელი უნდა გამეშვა სკოლიდან, რომ მანდატურები დამეფინანსებინა. მანდატურები მხოლოდ საბაბი იყო, რადგან სამინისტროს მიზანი „მილენიუმის“ დახურვა იყო, რასაც მიაღწია კიდეც და 152 მოსწავლე და 49 მასწავლებელი სკოლისგარეთ დატოვა.

— როგორც მახსოვს, ავტორიზაციის გაუქმების გამო ბანკებთან პრობლემები შეგექმნათ.

— დიახ, „მილენიუმისთვის” რომ შენობა შემეძინა, 2011 წლის აგვისტოში, „პროკრედიტ-ბანკიდან“ 300 000 ლარი გამოვიტანე. სკოლიდან მიღებული შემოსავლებით ბანკს ყოველთვიურად 5500 ლარს ვუხდიდი და სკოლის დახურვის შემდეგ კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ბუნებრივია, სკოლისთვის ავტორიზაციის შეჩერება სასამართლოში გავასაჩივრე, თუმცა შაშკინის მინისტრობის პერიოდში საქმის მოგებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ორივე ინსტანციაში საქმის წაგების შემდეგ სარჩელი უზენაეს სასამართლოში შევიტანე და საბოლოო ვერდიქტის მოლოდინში ვარ, მაგრამ ამ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ შაშკინის უკანონო ბრძანებების შემსრულებლები დღესაც სტრუქტურაში არიან.

— შეგიძლიათ დაგვიკონკრეტეთ, ვის გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, ესენი გახლავთ

> **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იმდროინდელი დირექტორის კოკა სეფერთელაძის მოადგილე პეტრე წურწუმია, ნანა ჭიღლაძე, რომელიც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ადგენს, ავტორიზაციის საბჭოს წევრი, საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე და კერძო სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი დავით კახნიაშვილი, რომელმაც ავტორიზაციის სხდომა თავმჯდომარის კახი ყურაშვილის ნაცვლად ჩაატარა და პირველმა აუწია ხელი „მილენიუმისთვის“ ავტორიზაციის შეჩერებას.**

პირდაპირ გეტყვით, რომ ეს ადამიანი იყო შაშკინის „რუპორი“ და რაც კი მას მოესურვებოდა კერძო სკოლებთან მიმართებაში, ყველაფერს დავით კახნიაშვილის ხელით ახორციელებდა. კერძო სკოლებში მანდატურების იძულებით შეყვანა იყო თუ ლაბორატორიების შეძენა, ყველაფერს კახნიაშვილი უწევდა ორგანიზებას.

> **ამას აკეთებდა ადამიანი, რომელსაც ერთი, საკმაოდ წარმატებული კერძო სკოლა ლისის ტბასთან აქვს და მეორე ნუცუბიძის პლატოზე. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი 600-ბავშვიანი 170-ე სკოლის დახურვის შედეგად გაიხსნა. ახლომახლო სხვა საჯარო სკოლა არ არსებობს და ვისაც კახნიაშვილის სკოლაში სწავლის ფული არა აქვს, იძულებულია, ვაჟა-ფშაველას გამზირზე იაროს. ბუნებრივია, სამინისტროს ყველა ნება-სურვილის უსიტყვოდ შემსრულებელს სასათბურე პირობები შეუქმნეს, „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირებული ხალხი კი ბოლომდე „დაძირეს“...**

— ამჟამად რას აპირებთ?

— სამართლებრივი პროცედურები ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და სკოლა სასამართლოს ან ხელახალი ავტორიზაციის გზით უნდა დავიბრუნოთ. სწორედ ახლა მიმდინარეობს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში ავტორიზაციის საბჭოს წევრების ცვლილება და დაუშვებლად მიაჩნია, რომ ის ადამიანები, რომლებიც უზნეობას ემსახურებოდნენ, ისევ ამ საბჭოს წევრებად მოიაზრებოდნენ. ნამდვილად არ მინდა, ხელახალ ავტორიზაციაზე ექსპერტთა ჯგუფი ისევ ჭიღლაძემ გამომიგზავნოს და საქმე ისევ კახნიაშვილმა განიხილოს. ძნელი გამოსაცნობი არაა, ვინ ემსახურებოდა წინა ხელისუფლების ინტერესებს და ვინ რა დაკვეთებს ასრულებდა, ამიტომ სანამ სისტემა ასეთი ადამიანებისგან არ გათავისუფლდება, წესრიგის დამყარებაზე ფიქრიც ზედმეტია“.

„ვერსია“ “მილენიუმის” დირექტორის ბრალდებებზე კომენტარისთვის სკოლის დირექტორთა ასოციაციის თავმჯდომარეს DAVIT კახნიაშვილს დაუკავშირდა:

— „მილენიუმის” ავტორიზაციის პროცესებთან პოლიტიკურ ფაქტორს არავითარი კავშირი არა აქვს. წარმოდგენა არ მაქვს, სად მუშაობს ქალბატონი ელზას მეუღლე და მით უფრო, არ ეცოდნებოდა ამის შესახებ შაშკინს. თავს ვერ დავდებ, რომ პოლიტიკური ანგარიშსწორება ბუნებაში არ არსებობდა, მაგრამ კონკრეტულად „მილენიუმთან“ დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში პოლიტიკური არაფერი იყო. საბჭოზე გამოდის ექსპერტების შემოწმების შედეგები და როდესაც ეს შედეგები უარყოფითია, ჩვენ ვერაფერს ვცვლით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალბატონისა და მისი სკოლის მიმართ ყოველთვის კეთილად ვიყავი განწყობილი, ექსპერტების დასკვნაში იმდენი შენიშვნა ეწერა, რომ ავტორიზაციას ვერ მივცემდით. პრეცედენტს ვერ დავუშვებდით, რომ ვიღაცისთვის ავტორიზაცია დაუმსახურებლად მიგვეცა და ვიღაცისთვის — არა. ჩემს სკოლაში, „მწიგნობართუხუცესში”, 9 წელია სწავლობენ ივანიშვილის დის შვილიშვილები, მაგრამ არავითარი პრობლემები არ შექმნიათ. პირიქით, ძალიან მიყვარს ეს ბავშვები და ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— სკოლის მიმართ კეთილგანწყობილი თუ იყავით, ხარვეზების გამოსწორების ვადა რატომ არ მიეცით?

— არ არის სწორი. ხარვეზების გამოსწორების ვადაც მივეცით და მათი საკითხიც საბჭოზე რამდენჯერმე გავიტანეთ. ვერ ნახავთ ვერც ერთ მაგალითს, რომ სკოლას იმდენი შენიშვნა ჰქონოდა, რაც „მილენიუმს“ და მისთვის ავტორიზაცია მიგვეცა. სხვათა შორის, ჩვენ მუშაობასთან დაკავშირებით ვიცი გიორგი მარგველაშვილის პოზიციაც, რომელსაც მიაჩნია, რომ ერთადერთი ადგილი სამინისტროში, სადაც ყველაფერი ობიექტურად მიმდინარეობდა, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრია. ქალბატონი ელზა ცდილობს, საკუთარი შეცდომები პოლიტიკაზე საუბრით გადაფაროს და ეს არ არის სწორი პოზიცია. ეს პოლიტიკით სპეკულაციაა.

— ალბათ, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე შეფასებების გაკეთება ნაადრევია, თუმცა მანამდე გკითხავთ, შესაძლებელი იყო თუ არა, თქვენი კერძო სკოლა საჯარო სკოლის გაუქმების გარეშე დაფუძნებულიყო?

— 170-ე სკოლა მცირერიცხოვანი იყო და თავს ვერ ინახავდა. იმ პერიოდში კერძო სკოლებს მიეცათ წინადადება, ასეთი სკოლის შენობები შეეძინათ, მაგრამ იმ პირობით, რომ იმ ბავშვებისთვისაც მოევლოთ, ვინც იქ სწავლობდა. ყველაფერი კანონიერად მოხდა და ჩვენ არც ერთი ბავშვი სკოლიდან არ გაგვიშვია, მაგრამ არ მესმის, რა შუაშია მისი სკოლის ავტორიზაციასთან ეს ყველაფერი? ეს ქალბატონი, იმის გამო რომ განაწყენებულია, რაღაცეებს იგონებს. ესაა და ეს“.

სკოლების ხელოვნურად გაკოტრების ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად სამართლიანი იყო მცირეკონტინგენტიანი სკოლების ოპტიმიზაციის გზით კერძო სექტორის განვითარება, ამაზე ექსპერტები იმსჯელებენ, ჩვენ კი აქვე გაცნობებთ, რომ მარგველაშვილის უწყებამ პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებული ადამიანების საქმეების შესწავლა დაიწყო. თითოეული შემთხვევა სპეციალური კომისიის მიერ იქნება განხილული, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და უფლებადამცველები შევლენ. იმედია, ეს კომისია „მილენიუმის” დავასაც ობიექტურად გადაწყვეტს.

სიების კომისია დეკემბრის ბოლოს საკუთარი მუშაობის შემაჯამებელ 150-გვერდიან დოკუმენტს გაასაჯაროებს

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მუშაობა ფინალურ ეტაპამდე მივიდა. ამჯერად, სიების კომისიის 21-კაციანი შემადგენლობა, ლაშა მელაძის ხელმძღვანელობით, იმ შემაჯამებელ დოკუმენტზე მუშაობს, სადაც კომისიის შექმნის დღიდან მიმდინარე წლის დეკემბრის ჩათვლით, თითოეული სამუშაო ეტაპი დეტალურად იქნება აღწერილი. საბოლოო დოკუმენტის მომზადებაში, კომისიამ როგორც ყველა წევრი, ისე პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები და საკუთარი აპარატის წევრები ჩართო. მეტი კოორდინაციის მიზნით, სიების კომისიის შიგნით სპეციალური შვიდკაციანი ჯგუფიც შეიქმნა, რომელიც ყველა ინფორმაციას თავს მოუყრის და დეკემბრის დასაწყისში, პირველადი მასალის სახეს მისცემს.

კომისიის თითოეულმა წევრმა შემაჯამებელ დოკუმენტზე მუშაობის პროცესში შესაბამისი დავალება მიიღო და კონკრეტული მიმართულებით დაიწყო მუშაობა. მაგალითად, ამ დოკუმენტში თქვენ ნახავთ „კარდაკარის“ მომზადების პროცესს, რეგისტრატორთა შერჩევის წესისა და მათი დატრენინგების ჩათვლით, დროისა და ფინანსების განაწილებასა და ხარჯთაღრიცხვას, თუ რაში დახარჯა კომისიამ მისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 5 მილიონი ლარი, უშუალოდ „კარდაკარის“ ორთვიანი პროცესის მიმდინარეობას, გზადაგზა შექმნილ ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბარიერებს, რაც სიების კომისიას შეხვდა და ა.შ. სპეციალური ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, **ვლადიმერ ბოჟაძე** სწორედ ამ ბარიერების შესახებ მიძღვნილ ქვეთავზე მუშაობს და „ვერსიას“ იმ რეკომენდაციებსაც უმხელს, რომელთა გათვალისწინება

საარჩევნო პროცესს უფრო გაამარტივებს: **„მე, პირადად, ვმუშაობდი იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რაც კომისიას მისი არსებობის განმავლობაში შეხვდა. ამ ნაწილს კი აუცილებლად მოჰყვება რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობით მთელი რიგი პრობლემების დაძლევა გახდება შესაძლებელი. ძირითადი პრობლემები შემდეგი სახისაა: კომისიას ჰქონდა საკმაოდ შემჭიდროვებული ვადები იმისთვის, რათა სიები გადაემოწმებინა. აღსანიშნავია ფინანსური რესურსების სიმწირეც, რადგან თუ დავითვლით, რა ჯდება „კარდაკარი“, მაშინ კომისიის მიერ ჩატარებული „კარდაკარი“ საქართველოში ყველაზე იაფი პროექტი გამოვა, მიუხედავად იმისა, რომ თავად პროექტი „კარდაკარი“ ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ფუფუნებაა ქვეყნისთვის. რაც შეეხება მიზეზს, ასე რატომ გამოვიდა, ეს რეგისტრატორებისთვის ძალიან დაბალი ანაზღაურების მიცემა გახლავთ. როგორც წესი, ამ ტიპის სამუშაოსთვის პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ან კვლევითი ორგანიზაციები გაცილებით დიდ თანხას იხდიან“.**

გარდა ამისა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი იმ პრობლემებზეც საუბრობს, რამაც კომისიის მუშაობა, უხეში საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარევებით შეაფერხა: **„პრობლემების სიაშია ქვეყანაში არსებული ის პოლიტიკური ფონიც, რაც წინ უძღვოდა სიების კომისიის მუშაობას და ამ პროცესის ხელისშემშლელად იქცა. ვგულისხმობ არა მხოლოდ მაშინდელ ხელისუფლებას, არამედ მაშინდელ ოპოზიციასაც. ხელისუფლების მხრიდან, განსაკუთრებით აღსანიშნავია საგარეო საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილება არჩევნების წინ, რამაც ძალიან გაართულა მოქალაქეთა რეგისტრაცია საზღვარგარეთ. ამან, არა მხოლოდ უცხოეთში მყოფ ჩვენს მოქალაქეებს შეუქმნა პრობლემა, არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ, არამედ ჩვენთვისაც გაართულა სიების დაზუსტება, რადგან უამრავი ადამიანი, ვინც უცხოეთში რეგისტრაციას გაივლიდა და არჩევნებში ხმას მისცემდა, აქ უკვე მითითებული იქნებოდა, როგორც საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი. ხოლო ის რიცხვი, რაც კომისიამ საზღვარგარეთ მყოფთა რაოდენობაზე დადო, აუცილებლად გაცილებით მაღალი გახდებოდა. ეს ბარიერი ხელისუფლების მხრიდან იყო, რაც შეეხება ბარიერს ოპოზიციის მხრიდან — მათ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების საქმიანობა თავიდანვე მიზანში ამოიღეს, როგორც საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი სუსტი წერტილი, თუმცა ამან ჩვენს მიერ დადებულ შედეგზე დიდი გავლენა ვერც მოახდინა. საბოლოო ჯამში, „ქართული ოცნებისა“ და „ამომრჩეველთა ლიგის“ მიერ პარალელური „კარდაკარებით“ მოძიებული ინფორმაცია მაინც კომისიაში მოვიდა და ჩვენ მათი დიდი ნაწილი გავითვალისწინეთ. სხვათა შორის, ამან დადებითი შედეგი უფრო გამოიღო, რადგან დროში უფრო გვიან და თან, სხვის ხარჯზე ჩატარებული „კარდაკარის“ შედეგები ჩვენს საქმეს სასიკეთოდ წაადგა“.**

რაც შეეხება რეკომენდაციებს, კომისიის წევრის თქმით, ქვეყანაში ამომრჩეველთა სიების პრობლემა მანამ იქნება აქტუალური და ყველა არჩევნების წინ დადგება დღის წესრიგში, ვიდრე საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა არ ჩატარდება, რომელიც ბოლოს, 2002 წელს იყო. თუმცა, ბოჟაძის განმარტებით, ეს ზოგადი რეკომენდაციაა და რაკი კომისიას არ ეხება, შემაჯამებელ დოკუმენტში არ შევა. სამაგიეროდ, შევა რამდენიმე კონკრეტული რეკომენდაცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად: **„პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თუ კომისიას მიეცემა საშუალება, 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ასევე, აპრილის თვეში ჩასატარებელ შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე იმუშაოს, კომისიაში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, ეს საკმაოდ კარგი იქნება. ის მზა ბაზა, რაც უკვე არსებობს ამომრჩეველთა სიების სახით, გაცილებით ადვილად გადასამოწმებელი და დასაზუსტებელია, ნაკლები დრო და ფინანსები დაიხარჯება და ალბათ, ასეთი მასშტაბური „კარდაკარი“ საჭირო აღარც იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია შემდეგი პრობლემები: 1. ახალი ID პირადობის მოწმობის აღება, ბევრი მოქალაქისთვის შეუძლებელი მისი მაღალი ფასის გამო აღმოჩნდა. სწორედ ამის გამო ახლა ქვეყანაში გვყავს 200 000-ზე მეტი ადამიანი, ვინც ვერ იღებს ამ პირადობის მოწმობას. მათ რიცხვში არიან ის ადამიანებიც, ვისაც მისამართზე მიწერის პრობელმა აქვს, მესაკუთრის უარის გამო. 2. 650 000-ზე მეტი მოქალაქე, ფაქტობრივად, ცხოვრობს სხვა მისამართზე, მაგრამ რეგისტრირებულია სრულიად სხვაზე. ეს შიდამიგრაციაც საკმაოდ დიდი პრობლემაა. 3. მაჟორიტარული არჩევნების გამო ბევრმა ადამიანმა შეიცვალა მისამართი და სასურველ რაიონში გადარეგისტრირდა. ახლა ეს ხალხი უკან ხომ უნდა დაბრუნდეს, არა? სრული მონაცემები, სხვადასხვა რეგიონებში დიდი მატებისა, ალბათ, სამოქალაქო რეესტრს ექნება, თუმცა პრობლემა პრობლემად რჩება და კიდევ უფრო მწვავედ დადგება შუალედური არჩევნების დროს, როცა მთელი თბილისი, შესაძლოა, უცებ ნახალოვკელი გახდეს. ამიტომ რეკომენდაციებში ეს ნაწილიც იქნება განხილული, ხოლო ვინ და რა ფორმით გაითვალისწინებს ამ რეკომენდაციებს, ეს უკვე ხელისუფლების გადასაწყვეტია“.**

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც სიების კომისიის წევრები ვარაუდობენ, ეს საკმაოდ სქელტანიანი, დაახლოებით 150-გვერდიანი დოკუმენტი იქნება და ორ, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოვა. ამ სახელმძღვანელოს ე.წ. შავი ვარიანტი 15 დეკემბრისთვის დაიდება, შემდეგ ითარგმნება და დაიბეჭდება. დოკუმენტის საჯარო ვერსია სიების დაზუსტების კომისიის ელექტრონულ მისამართზეც აიტვირთება, კომისიის წევრების პატარა წინასიტყვაობით და პერსონალურ ვებმისამართზე გადაეგზავნება პროცესში ჩართულ ყველა მხარეს. სახელმძღვანელო დაიდება ბიბლიოთეკებშიც. სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი „ნაციონალური მოძრაობიდან“, **ლაშა მელაძე**: **„ჩვენს მიერ მომზადებული დოკუმენტი საბოლოო სახის მიღებისთანავე გასაჯაროვდება და ყველა დაინტერესებულ მხარეს გადაეცემა, მათ შორის, იმათაც ვინც მუდმივად იყო ამ პროცესში ჩართული — საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს და მათაც, ვინც ჩვენი მუშაობის პროცესს გარედან აკვირდებოდა. საბოლოო ანგარიშის მოსმენის დროს, კომისიის უკლებლივ ყველა წევრს საკუთარი შეხედულების დაფიქსირების საშუალება მიეცემა, რასაც კომისია დოკუმენტშიც გაითვალისწინებს. ეს ანგარიში კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ ბევრი გავაკეთეთ, რათა ამომრჩეველთა სიების თემა საარჩევნო პრობლემათა შორის აღარ მდგარიყო“.**

სხვათა შორის, ამ საბოლოო დოკუმენტის შექმნა და გასაჯაროება სიების დაზუსტების კომისიის სამართლებრივ ვალდებულებას სულაც არ წარმოადგენდა. თუმცა, როგორც კომისიაში ირწმუნებიან, მათთვის დოკუმენტის განხილვის რეჟიმში, პარლამენტის ან პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გამოტანაც არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. **„ვფიქრობთ, კომისიამ კარგი საქმე გააკეთა — ეს სახელმძღვანელო უნდა დარჩეს გნებავთ, პოლიტიკურ ისტორიას, გნებავთ, დაინტერესებულ მხარეებს, ანდაც მომდევნო თაობას, ვინც ამ საქმეზე მომავალში იმუშავებს. ისიც ფაქტია, რომ ყველა ვარიანტში, ვიღაცას მაინც მოუწევს ამომრჩეველთა სიებზე მუშაობა. აი, თონეს რომ აკეთებს ადამიანი და ზუსტად იცის, არასდროს გამოვა მოდიდან, რადგან პური ყოველთვის საჭირო იქნება, ასევეა სიებიც საარჩევნო პროცესებში. იმედია, არჩევნებიც ყოველთვის საჭრო იქნება ამ ქვეყანაში, თუ რაღაც „პინოჩეტური“ სიტუაციები არ განმეორდება. შესაბამისად, ვისაც შეხება აქვს და ექნება არჩევნებთან, იმას ყველა ვარიანტში, სიებთან შეხებაც მოუწევს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იმ 150 გვერდიდან, რასაც კომისია მოამზადებს, შესაძლოა, შესაძლოა, ვიღაცისთვის თუნდაც 2 გვერდი გახდეს საინტერესო. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოს უახლოესი პოლიტიკური ისტორიის ნაწილია და ჩვენ ამ დოკუმენტს ვქმნით, როგორც ასევე ნაწილს ამ არჩევნებისა, თავისი სიებითურთ“,** — აცხადებს „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი კომისიაში **მამუკა კაციტაძე**, რომელიც საარჩევნო პროცესების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სახე იყო და სიების კომისიას თითქმის ერთი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა და ახალ მთავრობასა და ცესკოს, ვისაც კომისიის გაუქმების შემდეგ სიების დაზუსტების ფუნქცია დაუბრუნდება, ერთ მთავარ რეკომენდაციას აძლევს: **„ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ყველასთვის, მთავრობა იქნება თუ ოპოზიცია, არის ის, რომ მუდმივად უნდა ვეძებოთ გზები და მეთოდები, რათა არჩევნების პროცესისადმი ნდობა ამაღლდეს. ამას სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა საშუალებებით მოვახერხებთ. ამ ეტაპზე, 2012 წლის არჩევნების წინ, ჩვენმა კომისიამ ნდობა, ჩემი აზრით, სამი რამით მოიპოვა. 1. მეტ-ნაკლებად სწორი მეთოდოლოგია, შესაძლებლობიდან გამომდინარე. 2. აბსოლუტური გამჭვირვალობა. 3. პროცესში უშუალო ჩართულობა რიგითი მოქალაქიდან დაწყებული, პოლიტიკური პარტიებით, არასამთავრობოებითა და ჟურნალისტებით დასრულებული. აი, ამ სამი მომენტის ერთობლიობამ შექმნა ის ნდობა, რაც გვქონდა, არა 100%-იანი, მაგრამ ეს რომ პროგრესი იყო, ზოგადად, საარჩევნო პროცესში, ამაზე ვერავინ იდავებს! ამიტომ ნდობა ის თემაა, რაც უნდა აინტერესებდეს ყველა ხელისუფლებას, ნამდვილად აინტერესებს საზოგადოებას და რასაც უკეთესი შედეგი მოაქვს. მე არავის მოვუწოდებ, იმ გამჭვირვალობით, ჩართულობითა და ზუსტად იგივე მეთოდებით იმოქმედოს, რითაც ჩვენ ვმოქმედებდით, უბრალოდ მოქმედების მიზანი უნდა იყოს ნდობის ამაღლება. ამას შიშის დანერგვითა და ტყუილით ვერავინ შეძლებს, ეს ფაქტია! ზოგადად, ცენტრალური საარჩევნო კომისიისადმი უნდობლობაც პროცესმა შექმნა — ეს უნდობლობა დრომ მოაგროვა, თორემ თუ მას კარგადჩატარებულ რადენიმე არჩევნებს დავუპირისპირებთ, ცესკოსაც დაუბრუნდება ხალხის ნდობის მანდატი. ათწლეულების მანძილზე გაფუჭებული საქმე 2 წელიწადში რომ ვერ გაკეთდება, რად უნდა ამას ლაპარაკი? ცესკო 30 წლის განმავლობაში, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩამოყალიბდა ყველა დაბალი ნდობის მქონე ინსტიტუტად და ახლა ჩვენ გვინდა, ეს 30-წლიანი უნდობლობა 30 დღეში ნდობაში გადაიზარდოს? არ გამოვა ეგ ამბავი, თუმცა თუ ცესკო სწორად იმოქმედებს ახალ რეალობაში, მაშინ ყველაფერი გამოსწორდება. ჩვენ, სიების დაზუსტების კომისიამ საქმის გამოსწორება სამი კომპონენტით მოვახერხეთ — შინაარსობრივად, მეთოდოლოგიურად სწორი ნაბიჯებით, ჩვენი გახსნილობითა და ოპონენტების ჩათვლით ყველა მხარის ჩართვით სამუშაო პროცესში. მე არ ვამბობ, ახალი კონტინენტი აღმოვაჩინეთ-მეთქი, მაგრამ ფაქტია, ჩვენმა მოქმედებებმა შედეგი გამოიღო“.**

ლადო ბოჟაძე: „რა ფორმით გაითვალისწინებს კომისიის რეკომენდაციებს, ეს ახალი ხელისუფლების გადასაწყვეტია!“

თბილისის №63-ე საშუალო სკოლაში მენინგიტის შემთხვევა გამოვლინდა

27 ნოემბერს, ქ. თბილისის №63 საშუალო სკოლის მოწაფეს, სავარაუდოდ, ბაქტერიული მენინგიტის დიაგნოზი დაუდგინდა, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებულია და აგრძელებს მკურნალობას. შემთხვევის ეპიდკონტროლი ხორციელდება ქ. თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მიერ. გამოკვლეულია პაციენტთან კონტაქტში მყოფი პირები, მ.შ. თანაკლასელები, უახლოეს კონტაქტებზე დამყარებულია 14-დღიანი მეთვალყურეობა, ყველა კონტაქტში მყოფი პირის ცხვირ-ხახის ნაცხი გამოკვლეული იქნება ბაქტერიოლოგიურად მტარებლობის დადგენისა და ადეკვატური მკურნალობის ჩატარების მიზნით, ასევე, დაგეგმილია სათანადო სადეზინფექციო ღონისძიებების ჩატარება სკოლაში. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი გვაცნობებს, რომ მენინგიტი თავისა და ზურგის ტვინის გარსების (მაგარი, რბილი, ბადისებრი) ანთებაა. მენინგიტი გვხვდება ყველა ასაკში, თუმცა უფრო ხშირია ბავშვებში.

მენინგიტებს წარმოშობის მიხედვით ორ ჯგუფად ყოფენ: პირველადი — წარმოიშვება განსაზღვრული ინფექციური აგენტის ორგანიზმში შეჭრის შედეგად; მეორადი — წარმოიშვება, როგორც ძირითადი ინფექციური დაავადების გართულება. (მაგ. წითელა, ყბაყურა, ჩუტყვავილა, გრიპი, ჰერპესვირუსი, ენტეროვირუსი და სხვა.)

მენინგიტი შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა ინფექციურმა აგენტმა, ტვინის რომელიმე გარსში შეღწევის შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მენინგიტის გამომწვევი მიზეზი ბაქტერიაა, პროცესს ბაქტერიულ მენინგიტსაც უწოდებენ. თუ პროცესი ვირუსითაა გამოწვეული — ვირუსულ მენინგიტს. გარდა აღნიშნულისა, მენინგიტი შესაძლოა გამოიწვიოს უმარტივესებმა ან სოკოებმაც.

2010 წლიდან აცრების ეროვნულ კალენდარში ჩაერთო ბაქტერიული მენინგიტის ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევის **HaemophilusInfluenzaeTyp** -ს საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბავშვთა ასაკში ბაქტერიული მენინგიტებით ავადობა ქვეყნის მასშტაბით. მიუხედავად აღნიშნულისა, კიდევ არსებობს სხვა ინფექციური აგენტები, რომლებიც იწვევენ მენინგიტს და ამიტომ მენინგიტით გამოწვეული ავადობა კვლავ რჩება ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხად. მენინგიტი მძიმე დაავადება და საჭიროებს დროულ მკურნალობას კვალიფიციური მედპერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ. მენინგიტის მკურნალობა განსხვავებულია და დამოკიდებულია გამომწვევის სახეობაზე. გამომწვევის სახეობის განსაზღვრა კი თავ-ზურგ-ტვინის სითხის ლაბორატორიული კვლევის შედეგადაა შესაძლებელი. მენინგიტი უმთავრესად იწყება უეცარად, მაღალი ტემპერატურით, თავის ძლიერი ტკივილით, კისრისა და კეფის კუნთების რიგიდობით (ავადმყოფი თავს თავისუფლად ვერ ხრის წინ). ბავშვებში ხშირია მრავალჯერადი ღებინება, კრუნჩხვა, შესაძლოა, გამოხატული იყოს მომატებული მგრძნობელობა სინათლისადმი, გამონაყარი (სისხლჩაქცევები) კანზე და ცნობიერების შეცვლა. წლამდე ასაკში მენინგიტის დროს დაჭიმულია ყიფლიბანდი და ბავშვი გაბმულად და მონოტონურად ტირის, რაც ამ ასაკში თავის ტკივილის ეკვივალენტურ გამოხატულებადაა მიჩნეული.

გახსოვდეთ, უეცარი მაღალი ცხელების ფონზე განვითარებული რომელიმე ჩამოთვლილი ნიშანი, შესაძლოა მიუთითებდეს მენინგიტზე და ასეთ შემთხვევაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარება გარდაუვალად მნიშვნელოვანია. ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევის გამოვლენისას, მნიშვნელოვანია დაწესდეს მეთვალყურეობა ახლო კონტაქტირებულებზე (ოჯახის წევრებზე, კლასის/ჯგუფის კონტაქტებზე) დაავადების ადრეული ნიშნების დროული გამოვლენისა და სამედიცინო დახმარების მიღების მიზნით. კონტაქტირებულთა ბაქტერიოლოგიური კვლევა არაა მიზანშეწონილი. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ინფექციის გადადების რისკს ამცირებს სათავსების ხშირი განიავება, სველი წესით დალაგება და ხელების ხშირი დაბანა.

„მედიანიუსი“

ჯანდაცვა

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

არის თუ არა „ჯი-პი-სის“ რეკლამირებული იაფასიანი მედიკამენტები ინდური წარმოებისა და რატომ არის იგი ჰოსპიტალურ შეფუთვაში?

ფარმაკოექსპერტი თინათინ ტურძილაძე ქართულ ფარმაკოლოგიურ ბაზარზე არსებულ პრობლემებზე საუბრობს

ქართული ბაზარი უხვადაა გაჯერებული სააფთიაქო ქსელებით. მიუხედავად დაპირებებისა, რომ მედიკამენტების ფასები მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, ეს დაპირება დღემდე შეუსრულებელია. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად არაერთ ჩვენს მოქალაქეს უსახლკაროდ დარჩენაც კი ემუქრება. ფარმაცევტული კომპანიები აქცენტს ამა თუ იმ წამლის ეფექტურობაზე აკეთებენ, თუმცა სიიაფეზე ვერაფერს ამბობენ, ან რა უნდა თქვან, როცა მედიკამენტებს ცეცხლის ფასი უკიდია. ჩვენი ყურადღება, ფარმაცევტული ქსელ „ჯი-პი-სის“ სარეკლამო კლიპმა მიიქცია. სადაც ნათქვამია, რომ კომპანიის მიერ მოწოდებული პრეპარატები ამერიკული წარმოების ჯენერიკებია და იაფია. რეკლამის ავკარგიანობაში ეჭვი მაშინვე შევიტანეთ, ამიტომაც ფარმაკოექსპერტს თინათინ ტურძილაძეს დავუკავშირდით, რომელმაც „ვერსიას“ ამომწურავი პასუხი გასცა:

— ქართული სატელევიზიო არხებით გავრცელებული ჯენერიკების რეკლამის მიზანი ჰოსპიტალური შეფუთვების პოპულარიზაცია და გაყიდვების ხელშეწყობაა, შესაბამისად,

> **სარეკლამო ტექსტში აქცენტირებულია: ჰოსპიტალური შეფუთვების ჯენერიკების გარანტირებულად მაღალი ხარისხი, მათი ყოველდღიური საჭიროება, მათი მოხმარების აუცილებლობა, ევროპული და ამერიკული წარმომავლობა და სიიაფე. ეს კი ფაქტის წინაშე გვაყენებს, როცა ბიზნესი გვაწვდის ინფორმაციას, მისთვის სასურველი რაკურსით, არადა, ეს ინფორმაცია ცალმხრივია, ნაკლებად რეალური და უფრო გადაჭარბებული, ზოგიერთ ნაწილში არარეალურიც...**

მაგალითად სიმართლეა, რომ ჯენერიკები გაცილებით იაფია, ვიდრე ბრენდული პროდუქცია; გადაჭარბებულია, როცა გვეუბნებიან, რომ ჯენერიკები ჩვენი ყოველდღიური საჭიროებაა;

> **არც ის შეესაბამება სიმართლეს, როცა მათ ევროპულ და ამერიკულ წარმომავლობას გვიმტკიცებენ, ვინაიდან (ყოველ შემთხვევაში ის ნაწილი, რაც გადავამოწმე), ამერიკული კომპანიების დაკვეთით ინდოეთში წარმოებული პროდუქციაა და ბოლოს ხარისხის მტკიცებულებად ზოგადად ჯენერიკობა და ეკონომიური შეფუთვები არაფერ შუაშია.**

გასაგებია, რომ რეკლამა ის ინსტრუმენტია, რომელსაც ბიზნესი გაყიდვების გაზრდისთვის იყენებს, სარეკლამო ინფორმაცია, პრაქტიკულად, არასდროს არ არის ობიექტური, ვინაიდან ის მხოლოდ დადებით მონაცემებზეა აქცენტირებული, სახელმწიფო ამ ინსტრუმენტის რეგულირებას ვერ ახორციელებს, ან ახორციელებს ისე, როგორი შედეგიც გვაქვს, გვრჩება ის, რომ მეტი განმარტება მივცეთ საზოგადოებას, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად, ჯენერიკებზე“.

ჯენერიკების შესახებ ექსპერტი ამბობს, რომ ინოვაციურ წამლებს ბაზარზე დაშვებამდე უტარდებათ ხანგრძლივი ტესტირება, მაგრამ მაინც შეზღუდულია მათი გამოცდის არეალი, მაგალითად, თუ ჩვენებით არ არის აუცილებელი, როგორც წესი, კვლევები შეზღუდულია და არ ტარდება ბავშვებში, მოხუცებში, დიაბეტითა და ასთმით დაავადებულ პაციენტებში. ამ სეგმენტში პრობლემები უფრო მარკეტინგის ეტაპზე ვლინდება. კვლევების შეზღუდვასაც რომ დავანებოთ თავი, ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მარკეტინგი გაცილებით ხანგრძლივია, ვიდრე სატესტო პერიოდი. არაერთი ასეთი ფაქტი გამხდარა საზოგადოებისთვის ცნობილი, მათ შორის ახალი გვერდითი ეფექტების სახით, რომელიც ზოგჯერ წამლის რისკის და სარგებლის ბალანს არღვევდა და საჭირო გამხდარა წამლის ხმარებიდან ამოღება, ან დამატებითი მარკეტინგული შეზღუდვების დაწესება.

„ამ მხრივ ჯენერიკები უფრო საიმედოა. ეს დროში გამოცდილი წამლებია და რისკების და სარგებელის ბალანსიც მტკიცებულებათა ფაქტებით სარწმუნოდაა დადასტურებული. თუმცა, ყოველთვის საკმარისი არ არის ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის და მაშინ ინოვაციები ერთადერთ გამოსავლად რჩება გამოწვევებზე პასუხად. ზოგადად, ჯენერიკული წამლები უფრო იაფია, ვიდრე ბრენდული წამლები, მაგალითად, ამერიკაში საშუალოდ სამჯერ უფრო იაფია ჯენერიკები ორიგინალებთან შედარებით, საქართველოში 2009-2010 წლების კვლევების მონაცემებით, როცა ადგილობრივი ჯენერიკების ფასები ბრენდების ფასებს უტოლდებოდა“, — აცხადებს ექსპერტი.

ჯენერიკების სიიაფეს ექსპერტი იმით ხსნის, რომ მათ მწარმოებლებს არ უხდება კაპიტალდაბანდება ახალი ფორმულის შექმნაში, ხანგრძლივ და უაღრესად ძვირადღირებულ კვლევებში, პრომოუშენში. **„ინოვაციების მწარმოებლების ინვესტირება დაცვასა და მოტივირებას საჭიროებს, დაცვის ინსტრუმენტი პატენტია, რომელიც გარკვეული ვადით ზღუდავს სხვის მიერ პატენტით დაცული პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას. ამდენად, გაყიდვის უფლებაცა და გასაყიდი ფასებიც, პატენტმფლობელის ექსკლუზიური უფლებაა. ამერიკაში, პატენტის ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე, სხვა მწარმოებლებს ეძლევათ უფლება, დაიწყონ ამ პროდუქციის ავტორიზაციის პროცედურები ფდა-ში. მთავარი ტესტი, რაც ჯენერიკულმა პროდუქტმა უნდა ჩააბაროს ბიოეკვივალენტობის კვლევებია, წინააღმდეგ შემთხვევაში, საუბარიც არ არის პროდუქციის ბაზარზე დაშვებაზე.**

> **აი, ეს არის ის „დეტალი, რომლითაც დასტურდება, ან არ დასტურდება, რომ ჯენერიკი თავისი ფარმაკოკინეტიკური მაჩვენებლებით, „პრაქტიკულად, იგივე წამალი“ როგორიც ორიგინალი პრეპარატი, ამ კვლევების გარდა, ყველა სხვა კრიტერიუმი, ეს იქნება კომპანიის წარმომავლობა, მაღალი იმიჯი თუ ნებისმიერი სხვა სრულიად არასაკმარისია პროდუქტის შესაფასებლად, მით უფრო, არანაირი სარეკლამო ტექსტები ბიოეკვივალენტობის ტესტის ალტერნატივა არ არის. აი, ეს არის ის პრობლემა, რომელიც თუ არ დარეგულირდა, ნდობა ქართულ ბაზარზე ჯენერიკების მიმართ არ ჩამოყალიბდება. ეს პრობლემა პირდაპირ კავშირშია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასთან, ამ საკითხის მოუგვარებლობის გარეშე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა გამორიცხულია“.**

თინათინ ტურძილაძე აქცენტს ჯენერიკული პერეპარატების სასაქონლო ნიშანსა და შეფუთვაზეც აკეთებს და აცხადებს, რომ ამერიკული კანონმდებლობით, საერთო და საფირმო პრეპარატები არ შეიძლება ერთნაირად გამოიყურებოდეს, ისინი უნდა განსხვავდებოდნენ ფერით, ფორმით. ბრენდული პრეპარატები, როგორც წესი, სხვა ფერის და სხვა ფორმისაა, რაც ასევე აძვირებს პროდუქტს, არსებობს მოთხოვნილებები დამხმარე ნივთიერებებთან დაკავშირებითაც. ჯენერიკებისთვისაც დამხმარე ნივთიერებების შერჩევა ხდება შეზღუდული ნუსხიდან, რომ მინიმიზებული იქნას ამ მხრივ ალერგიების, ან სხვა მომეტებული მგრძნობელობების რისკები.

ამბულატორიული შეფუთვების ნაცვლად ჰოსპიტალური, იგივე ე.წ. ეკონომიკური შეფუთვები, ცხადია, კიდევ უფრო აიაფებს პროდუქტს, რამდენადაც საწარმოო ციკლიდან ამოვარდნილია ამბულატორიული დაფასოების ეტაპი და ა.შ., მაგრამ ასეთ შეფუთვებს თავისი რისკი აქვს, მაგალითად, ბაზარზე, სადაც არის ვადაგასული პრეპარატების რეალიზაციის პრობლემა და სადაც ბაზარი სათანადოდ ვერ კონტროლდება, ამ ტიპის შეფუთვები ართულებს ვარგისიანობის ვადის მონიტორირებას.

მართალია, ჰოსპიტალური შეფუთვები ფართოდ გამოიყენება ამერიკულ ბაზარზე, მაგრამ ეს არის მკაცრად რეგულირებული და მონიტორირებული ბაზარი, განსხვავებით ქართული ბაზრისაგან. აქ ამერიკულ მოდელებს „ეროვნული რეგულაციების შეზღუდულობა“ უპირისპირდება... ჩვენი ბაზარი ღია და უკონტროლოა და მხოლოდ ბიზნესის კეთილსინდისიერების იმედადაა დატოვებული.

ის, რომ ეს მედიკამენტები ჰოსპიტალურ 500-1000-აბიან შეფუთვებშია, ამას „ჯი-პი-სი“-ს დირექტორი დავით კალაძეც ადასტურებს და აცხადებს: „ჩვენს შემთხვევაში გაიცემა მკურნალობისთვის აუცილებელი რაოდენობის აბები, რომლებიც თავსდება სპეციალურ კონტეინერში და მასზე დაიტანება შემდეგი სახის ინფორმაცია: ჯენერიკ მედიკამენტის საერთაშორისო დასახელება, დოზირება, ვარგისიანობის ვადა, მწარმოებელი ქვეყანა, მწარმოებელი ქარხნის და წარმოების სერიის შესახებ მონაცემები, რაც ზუსტ შესაბამისობაშია საერთაშორისო მედიკამენტაციისა და მის შესახებ ინფორმაციის გაცემის სტანდარტებთან. მომავალი წლის მაისისთვის სრულიად მზად ვიქნებით იმისათვის, რომ ჩვენს მომხმარებელს შევთავაზოთ ნებისმიერი მედიკამენტის ჯენერიული ალტერნატივა, ანუ სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტების სიას დავფარავთ სრულად და მე მინდა ვთხოვო ჩვენს მომხმარებელს, გაგებით მოეკიდოს ამ ფაქტს, ვინაიდან, მართლაც, საკმაოდ შრომატევადი პროცესია მედიკამენტების რეგისტრაციის მომზადება. სამაგიეროდ, ჩვენ ვგეგმავთ მთელი რიგი დამატებითი ფასდაკლებების პროექტს, რაც დაგვეხმარება ჩვენს მომხმარებელთან ურთიერთობაში, რომ მათ არ შევუქმნათ დისკომფორტი. ეს პროექტი კი მედიკამენტის ფასის დასაწევად არის გაკეთებული“.

რაც შეეხება კომპანიის მიერ შემოთავაზებული მედიკამენტების წარმომავლობას, მართალია, რეკლამა გვამცნობს, რომ ამერიკული წარმოებისაა, მაგრამ ფარმაკოექსპერტი დაბეჯითებით ამბობს, რომ ეს პრეპარატები ინდურია. კომპანიის პიარსამსახურშიც დაგვიდასტურეს, რომ ჯენერიკ პრეპარატები არა ამერიკული, არამედ ამერიკიდან და ევროპიდან არის შემოტანილიო. ჯენერიკები შეიძლება ძალიან ბევრ ქვეყანაში იწარმოოს, ინდური და ჩინურიც არსებობსო. ყველა მედიკამენტს თავისი მწარმოებელი ჰყავს, ყველა ამერიკული არ არის და მწარმოებლები სხვადასხვაა, მაგრამ ჩვენ მარტივი გზა არ აგვირჩევია და ამერიკიდან შემოგვაქვსო.

კობა კობალაძე: „ეს არ ეხება მხოლოდ ახალაიასა და კალანდაძეს, თავდაცვის სისტემის ნგრევა ირაკლი ოქრუაშვილის დროს დაიწყო!“

თამარ მელქაძე

მუხროვანის ამბოხების ერთ-ერთი მოქმედი გმირი, კობა კობალაძე, რომლის დაპატიმრების ბრძანება თავად პრეზიდენტმა გასცა, პროკურატურას მიმართავს. „ამბოხებულები“ მოითხოვენ, წინა ხელისუფლების მიერ დადგმული „აბსურდის თეატრი“ ხელახლა გამოიძიონ და დადგინდეს, რა ვითარებაში დაიღუპა გენერალი გია წკრიალაშვილი, ანდა რის გამო იხდიან სასჯელს სრულიად უდანაშაულო ადამიანები. „ვერსია“ კობა კობალაძეს ესაუბრა:

გენერალი კობალაძე მუხროვანის ამბოხის ხელახალ გამოძიებას ითხოვს!

— ახლა გავდივართ კონსულტაციებს. ცალკეულ პირებს უკვე შეტანილი აქვთ საჩივრები, მაგრამ ვაპირებთ, ერთობლივი განცხადება შევიმუშავოთ. მანამდე კი გვინდა, ყველაფერს სამართლებრივად სრულყოფილი ფორმა მივცეთ და ისე მივაწოდოთ განსახილველად. ასეთი აბსურდული და რეზონანსული საქმე ბევრი არ ყოფილა. ვცხოვრობდით მასიური ავანტურისა და ნევროზის გარემოში. იმ დროსაც კი, ბევრმა არ აღიარა ბრალდება, არ წავიდა საპროცესო შეთანხმებაზე და ღირსეულად იხდის სასჯელს. მთელი ეს სასამართლო იყო აბსურდის თეატრი. დღეს, როცა მთელი ოფიცერთა კორპუსი დაჭერილია არაფრის გამო, ვიღაცის სურვილის გამო დაიღუპა უდანაშაულო ადამიანი, ყველაფერი თავიდან უნდა გადაიხედოს. დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს.

— შეიცვალა ხელისუფლება. დღეს ბევრი უკვე ღიად საუბრობს წარსულში განვითარებულ მოვლენებზე და სურს საკუთარი სიმართლის დამტკიცება. რა მოხდა 2009 წელს, რატომ მოხდა „მუხროვანის ამბოხება“?

— რა მოხდა სინამდვილეში, ამის პასუხს მთელი იმ სასამართლო პროცესების განმავლობაში ვეძებდით, რომლის დაკვეთით მონაწილეც ვიყავი. საბოლოოდ, თავად „შემკვეთებმა“ ვერ გაარკვიეს, რა მოხდა. მოხდა ის, რომ კიდევ ერთხელ, ეს სპექტაკლი საზოგადოების გარკვეული ნაწილის დასათრგუნად გამოიყენეს.

— კი, მაგრამ ასე, ჰაერზე ხომ არ მოხდებოდა ამხელა ბრალის წაყენება, თანაც ამდენი ადამიანისათვის?

— წლების მანძილზე, ბევრი რამ ხდებოდა მხოლოდ ერთი კაცის „მე მინდას“ პრინციპით. ეს იყო პროტესტი, რომელიც უფრო ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს. 2008 წელი იყო ერთ-ერთი შავი და სისხლიანი ლაქა საქართველოს უახლეს ისტორიაში. დავინახეთ ურაპატრიოტიზმით გაჯერებული, მაგრამ მართვის უსუსური ორგანიზმი. იყო ცალკეული გმირობები, რაც საამაყოა, მაგრამ, ფაქტობრივად, რაც მოხდა, ეს იყო ტერიტორიების გადაბარების ინსცენირება. ვერავინ ვიგრძენით, რომ სახელმწიფომ რაღაც დაკარგა. მარტო ამ არაფრისმომცემი **PR** კამპანიების, ტაშ-ფანდურისა და დროშების ფრიალის ფონზე მიდიოდა ყველაფერი. რეალურად კი, არაფერი გვიჭირავს. ბევრი სამხედრო თუ სამოქალაქო არაა იდენტიფიცირებული. ამ ყველაფერს, წლებია, უყრუებდა ხელისუფლება. ეს იყო სისტემური მიდგომა. როცა ყველაფერი ასე ნათლად გამოჩნდა, გაჩნდა პროტესტი. ის უპასუხისმგებლო მეთაურები, ვინც პირადი შემადგენლობა მიატოვა ბრძოლის ველზე, არათუ პასუხისმგებლობაში მიეცნენ, არამედ ყველა მათგანი დაჯილდოვდა. მამაცი ჯარისკაცები, ვინც ბოლომდე იბრძოდა, ზოგი დაიჭირეს, ზოგი დაითხოვეს. არავის უნდოდა, ამ ვითომდა უძლეველ ჯარს ეშლიგინა წინ და უკან, ერთი ადამიანის სურვილზე და მხოლოდ აღლუმიდან აღლუმამდე ყოფილიყო. რამდენად ვამართლებ ამ ოფიცრების საქციელს, ეს სხვა საკითხია, რადგან როცა გაცვია ფორმა და ხარ სამხედრო სამსახურში, მეტი პასუხისმგებლობა გმართებს, ვიდრე პიროვნული ემოციები. არ ყოფილა მცდელობა, ვინმეს დაეტოვებინა დისლოკაციის ადგილი და ძალისმიერი გზით დაეკავებინა სტრატეგიული ობიექტები. ეს იყო საუბრის დონეზე გამოხატული პროტესტი და არავითარი ამბოხის ნიშნები არ შეინიშნებოდა. სწორედ ის საუბრები გამოიყენა ვიღაცამ და დადგა სცენარი. ის რომ ტანკი იყო დაქოქილი, ეს სატანკო ბატალიონში არის აუცილებელი. ვიღაცამ კი ეს ყველაფერი ერთი კონკრეტული ჯგუფის **PR** აქციად გამოიყენა, რაც მოხდა მათი აგენტების მეშვეობით.

— კონკრეტულად, თქვენ რატომ, რა კავშირი გქონდათ თუნდაც საუბრებთან?

— უბრალოდ, სჭირდებოდათ ავტორიტეტები, ვინც მედროშეობას შეითავსებდა. გადახედეს და დახვდათ გამზადებული ოფიცერთა ორდენი, გენერალთა კლუბი. იპოვეს სუსტი რგოლი, ვისაც საერთოდ არანაირი შეხება არ ჰქონია ჯართან და მოაყოლეს სცენარი. მე ყოველთვის ვიყავი აპოლიტიკური ადამიანი, მაგრამ ყოველთვის ვლაპარაკობდი სიმართლეს. ჩემთვის მთავარი იყო ქვეყნის სამსახური და როდესაც დავინახე, არაჯანსაღი მიმართულება და არასწორი ქმედებები, ამაზე ხმამაღლა დავიწყე ლაპარაკი. ყველასათვის ცნობილია, რომ როგორი სიტუაციაც იყო საპატიმროებში, იგივე ხდებოდა ჯარშიც.

— თქვენ დროს არ ხდებოდა მსგავსი ფაქტები, ოფიცრისა და ჯარისკაცების ურთიერთობა და ჯარში წესრიგის დამყარება ხომ საკმაოდ რთული პროცესია?

— უცოდველი არავინაა. შეცდომები ჩვენ დროსაც ხდებოდა, მაგრამ ზღვარის გადალახვა არ ყოფილა. არ შეიძლება ყველას თანდასწრებით მიაყენო ჯარისკაცსა თუ ოფიცერს შეურაცხყოფა და ამით მისი პიროვნული ღირსება შელახო. ეს არამარტო ახალაიასა და კალანდაძეს, პირველ რიგში, ოქრუაშვილს ეხება. მის დროს დაიწყო სისტემის ნგრევა. აბსურდია, როცა მაღალი თანამდებობის პირი პირად შემადგენლობას ხელით ეხება, მაგრამ ყოველთვის არის გარკვეული ნიუანსები. ბევრი რამე დამოკიდებულია მეთაურის სწორ გადაწყვეტილებაზე. თუ ვინმე დამნაშავეა, შეგიძლია მარტო დასაჯო და არა 30-მა კაცმა ჯარისკაცი სცემოს.

— 2004 წლის სამარცხვინო ფაქტი — ქართველი სამხედრო პირების დატყვევება და მათი დაჩოქება. კადრები, რომლიც ასევე ნახა მსოფლიომ... ვინ უნდა იტვირთოს პასუხისმგებლობა ამ ყველაფერზე?

— ეს იყო მეთაურების დანაშაული. იმ შემადგენლობას, ვინც იქ იმყოფებოდა, არ ჰქონდა ელემენტარულად ამოცანის შესასრულებელი ადეკვატური შეიარაღება. არ იყო დაცული თავდაცვის ნორმები. ეს საკითხი შესასწავლი და გამოსაძიებელია. არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელია და ამის დამგეგმავი უნდა დაისაჯოს. არამარტო იმ პირების სიცოცხლე დადგა საფრთხის ქვეშ, ვინც მართლა ცხვრებივით წაასხეს, არამედ ქვეყნის პრესტიჟი შეილახა და მას საფრთხე შეექმნა ისევე, როგორც კოდორის ხეობის ფაქტობრივ ჩუქებასა და ლოპოტის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე. ამ ფაქტზეც სათავეში მყოფებმა უნდა აგონ პასუხი.

> **საზოგადოება წლების მანძილზე იყო მიჩვეული, რომ შერჩევითი სამართლის პრინციპით ვცხოვრობდით. ბევრისთვის დანაშაული ნებადართული იყო, მათ შორის უმაღლესი მთავარსარდლისთვის. შევესწარით მრავალ სამარცხვინო ფაქტს ამ 9 წლის მანძილზე, მაგრამ არავის გახსენებია, რეზერვის ოფიცრები და პირტიტველა ბიჭები რომ შეაზილეს მტერს. ყველაფერი იყო შერჩევითი. არსებობდა ერთი ჯგუფი, ვინც ითავსებდა ყველაფერს და დანარჩენი საზოგადოება იყო კრიმინალი. დაუშვებელია ქვეყნის იდეოლოგია დასმენაზე ააწყო.**

— დღეს რა ხდება თავდაცვის სამინისტროში, პროფესიონალებით დაკოპლექტდა ახალი შემადგენლობა?

— კიდევ ვიმეორებ, 100-დღიან პერიოდს, გარკვეულწილად, გაგებით უნდა მოვეკიდოთ. ახალი ხელმძღვანელობის მიმართ პატივისცემით ვარ განწყობილი. ირაკლი ალასანიას კარგად ვიცნობ, გვიწევდა ერთობლივი ოპერაციების გადაწყვეტა. რაც შეეხება გენშტაბის უფროსს, ვახტანგ კაპანაძე არის თანამედროვეობის ერთ-ერთი ღირსეული ოფიცერი, რომელსაც აქვს საუკეთესო უმაღლესი სამხედრო განათლება, უყვარს ქვეყანა და, რაც მთავარია, იცის, რაც უნდა. მას საკმაოდ რთული მისია აქვს შესასრულებელი. ერთია, როცა მოქმედებას იწყებ სასტარტო პოზიციიდან, ხოლო მეორეა, როცა უარყოფითის გამოსწორება გიწევს. ვერც ერთ უწყებაში, მით უმეტეს ძალოვანში, სიტუაციას ვერ განვსაზღვრავთ, რომ საქმე ნულიდანაა დასაწყები. ჩატოვებულია შენელებული მოქმედების მრავალი ნაღმი. ყველაფერი ჰქონდათ საკუთარ თავზე მორგებული. კაბინეტის სილამაზე არ ნიშნავს სისტემაში წარმატებულ მოქმედებას.

საქართველო შეინარჩუნებს დემოკრატიას, ამბობს მიმავალი ლიდერი

კატია გორჩინსკაია და ჯეიმს მერსონი

THE WALL STREET JOURNAL

კიევი, უკრაინა – საქართველოს მიმავალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი მოკავშირეების დაპატიმრებები სხვა არაფერია, თუ არა იმის ნიშანი, რომ ახალი მთავრობა „კუნთებს ათამაშებს“, მაგრამ ეს ზეწოლა ქვეყანას დემოკრატიის გზიდან გადახვევის საფრთხეს უქმნის.

ამერიკელი და ევროპელი ჩინოვნიკები მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ახალ მთავრობას მოუწოდებენ შეწყვიტოს ბოლოდროინდელი შერჩევითი დევნა პროდასავლელი სააკაშვილის მოკავშირეების. ათზე მეტი ყოფილი მაღალჩინოსანი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ჩათვლით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც ივანიშვილის კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გასულ თვეში არჩევნების გზით სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაამარცხა. სააკაშვილი ივანიშვილთან ძალაუფლებას მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაიზიარებს. ორი ვადის ამოწურვის შემდეგ, სააკაშვილი კენჭს ვეღარ იყრის.

2004 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სააკაშვილმა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველო, დაახლოებით 4,5 მილიონი მოსახლეობით, დასავლეთის ერთგულ მოკავშირედ აქცია და დემოკრატიული ნაპერწკალი გააღვივა იმ რეგიონში, სადაც ავტორიტარი მმართველები დომინირებდნენ, მაგრამ ეს დაჭერები იმის საშიშროებას ქმნის, რომ საქართველო უკრაინის მსგავსად უკან დაიხევს, უკრაინისა, რომლის ევროპასთან ინტეგრაციაც, ფაქტობრივად, შეჩერებულია მას შემდეგ, რაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი დააპატიმრეს.

მიუხედავად ამისა, ბატონმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ იგი დარწმუნებულია, რომ მისმა მთავრობამ მაღალი დონის დემოკრატიული სტანდარტები დაამკვიდრა და ამ გზიდან არც ახალი მთავრობა გადაუხვევს.

„ეს კუნთებით თამაშის მოკლევადიანი მცდელობაა, ახალი მთავრობის მხრიდან იმის დემონსტრირება, აი, როგორი ძლიერები ვართო, მაგრამ ეს არ იმუშავებს“, — განუცხადა **Wall Street Journal**-ს ბ-ნმა სააკაშვილმა, სამშაბათს, კიევში გამართული ფორუმის კულუარებში, **„ხალხი ახალ მთავრობას დაპირებების შესრულებას მოსთხოვს“.**

ფილიპ გორდონმა, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში, 17 ნოემბერს ბატონი ივანიშვილის მთავრობას მოუწოდა, ყოფილი ჩინოვნიკების მიმართ ანგარიშსწორებას არ მიმართოს. **„არავის სურს იმის დანახვა, ან ისეთი შთაბეჭდილების ჩამოყალიბება, რომ ეს ანგარიშსწორებაა პოლიტიკური მეტოქეების მიმართ და არა კანონის უზენაესობა“,** — განუცხადა მან ჟურნალისტებს ქვეყანაში მოგზაურობის დროს.

ბატონმა ივანიშვილმა კი თავის მხრივ განაცხადა, რომ შერჩევითი მართლმსაჯულებას ადგილი არ ექნება და შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებები კანონის შესაბამისად განიხილება.

ᲒᲘᲕᲘ ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲔ: „თუ საქართველოში რომელიმე ხელისუფლება ამაზე წავა, ვფიქრობ, ახალგაზრდობა უნდა გავიხსენოთ და გავაკეთოთ ის, რაც 9 წლის წინ, 23 ნოემბერს გავაკეთეთ!“

საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ ავრცელებს ინტერვიუს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერთან გივი თარგამაძესთან, რომელიც Новая газета-მ გამოაქვეყნა. „ვერსია“ გთავაზობთ მცირე ფარგმენტს. გივი თარგამაძე საუბრობს იმ ვიდეოჩანაწერზე, რომელიც მინსკშია გადაღებული 2012 წლის ზაფხულში და, როგორც გამოძიება ამტკიცებს, მონტაჟის ნიშნებს არ შეიცავს. ასევე საუბარია ფილმზე „რუსული ანატომია-2“. თუმცა ამ საკითხებზე „ვერსიის“ მკითხველმა უკვე მიიღო პასუხი ექსკლუზიურ ინტერვიუში ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერთან, რომელიც ნინო კომახიძემ საქართველოს პარლამენტში ჩაიწერა. ამჯერად გთავაზობთ რამდენიმე კითხვას, რომელიც საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის:

— იქონია თუ არა რაიმე გავლენა ფილმ „პროტესტის ანატომია 2“-ის სკანდალმა თქვენს პარტნიორებთან? მოახერხეთ თუ არა მათი დარწმუნება იმაში, რომ ეს შეხვედრები არ ყოფილა?

— არ გეწყინოთ, მაგრამ თქვენ სიტუაციას რუსული პრიზმიდან უყურებთ, თუმცა დასავლელი პარტნიორების მხრიდან ამ საკითხზე არც ერთი კითხვა არ ყოფილა, რადგან კიდევ ერთხელ ვიმეორებ, **HTB**-სა და რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ნაწარმას ცივილიზებულ სამყაროში სერიოზულად არავინ აღიქვამს. როდესაც მე რომელიმე ევროპელ ან ამერიკელ პარტნიორს ამის შესახებ ვეუბნები: „ეს ყველაფერი სისულელეა“ — ისინი ასე აღიქვამენ. მე ასევე არ აღვიქვამ სერიოზულად იმ ადამიანს, რომელიც საგამოძიებო კომიტეტის სახელით გამოდის.

— მარკინს?

— დიახ. მე არ ვიცი, მისი კომპეტენციის სფეროები, არ ვიცი, რამდენად მოტივირებულად გამოდის, თუმცა ვიცი, რომ ევროპული და ზოგადად, ცივილური იურისპრუდენცია იმდენად შორის არის რუსეთისგან, რუსული იურისპრუდენციიდან, იმდენად შორს არის ამჟამად, სამწუხაროდ, როგორც თავად რუსეთი ცივილური მსოფლიოსგან.

— თქვენ თვალს ადევნებთ მარკინის განცხადებებს, თუმცა ამავდროულად ამტკიცებთ, რომ „პროტესტის ანატომია“ არ გინახავთ, ეს სულ ცოტა, უცნაურია.

— მე არ ვაკონტროლებ მარკინის გამოსვლებს, გარდა ამისა, მე არც კი ვიცი, ვინ არის, ეს თქვენ შემომთავაზეთ. ერთხელ ვნახე ადამიანის გამოსვლა, რომელსაც პრესსამსახურის ან საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი ერქვა. ესეც საკმარისი იყო. მე ვნახე „პროტესტის ანატომიის“ რამდენიმე ნაწილი. ის ინტერნეტშია განთავსებული. სრული ვერსია არ მომიძებნია, რადგან იმ ნაწილიდანაც ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო.

— საქართველოს ამჟამინდელი სიტუაციის გათვალისწინებით, ხელისუფლების შეცვლა და ა.შ. მოდით, ყველაზე ფანტასმაგორიული ვარიანტი წარმოვიდგინოთ – რომ რუსეთმა მოითხოვა ან თქვენი დაკითხვა, ან ბრალდების წაყენება. შესაძლებელია თუ არა ისეთი ვარიანტი, რომ საქართველომ რუსეთს გადაგცეთ?

— ის, რომ რუსეთი ალბათ, ამ ყველაფერს მოითხოვს, ფანტასმაგორიული ვარიანტი სულაც არ არის. რა თქმა უნდა, თუ საქართველოს ხელისუფლება ამაზე წავა – ეს იქნება ფანტასმაგორიული. არ ვფიქრობ, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს – თუ საქართველოში რომელიმე ხელისუფლება ამაზე წავა, მაშინ ვფიქრობ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა უნდა გავიხსენოთ და გავაკეთოთ ის, რაც 9 წლის წინ, 23 ნოემბერს გავაკეთეთ.

— „ვარდების რევოლუცია“?

— დიახ.

— რუსეთს თუ ელის რაიმე სახის „ფერადი“ რევოლუცია?

— პუტინმა ახლა მისთვის საპროტესტო წელი დაასრულა და დამშვიდდა. ყველაფერი უკვე რამდენიმე თვის წინ იყო ნათელი, როდესაც ამ საკოორდინაციო საბჭოს შექმნა დაიწყეს. რა თქმა უნდა, დასაწყისშივე ნათელი იყო, რომ ეს იყო საპროტესტო მოძრაობის შეჩერების ჩანაფიქრი. მე ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. უდალცოვის, როგორც ამ საკოორდინაციო საბჭოში ჩაუწერელი აქტიური პოლიტიკოსის დაკავებაც, ნათელი იყო. თუმცა იმ დროს, როდესაც პუტინი ამით იყო დაკავებული, ბევრი საინტერესო რამე მოხდა. გამოჩნდა მუშათა გაფიცვები. პლუს, პუტინს კორუფცია ასუსტებს, რომელიც იზრდება და იზრდება!

ლიბერალურმა საპროტესტოს მოძრაობამ კი რუსეთში ამ სახით, როგორითაც დიდი ხნის მანძილზე არსებობდა, ვთვლი, რომ თავი ამოწურა. საკოორდინაციო საბჭო ამის მაგალითია. ვფიქრობ, რომ საკოორდინაციო საბჭოს დროს არ იქნება არანაირი მიტინგები, რადგან საჭიროა გადაწყვეტილების მიღება და როგორ შეუძლია, 45 ან 60 ადამიანს რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს? ანუ ისინი მიიღებენ გადაწყვეტილების 65 ვარიანტს, მიტინგები კი ისევე წავა, როგორც არის.

— ანუ, მიტინგები, ქუჩის პროტესტი ამჟამად არანაირ შედეგს არ მოიტანს?

— ვფიქრობ, რომ არა. ვიდრე ეს თავიდან არ დაიწყება. თავიდან კი ზუსტად იქიდან დაიწყება, სადაც არავინ ელის — მუშების გაფიცვებიდან.

პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურა განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „მედიანიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲡᲔᲠᲒᲝ ᲗᲔᲗᲠᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ

„საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ დეპარტამენტში 2012 წლის 14 ნოემბრიდან მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის (სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება) პირველი ნაწილით და 116-ე მუხლის (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) პირველი ნაწილით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №18 სამკურნალო დაწესებულების რეანიმაციულ განყოფილებაში, ბრალდებულ სერგო ალექსანდრეს ძე თეთრაძის გარდაცვალებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. საქმის აღძვრას საფუძვლად დაედო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლების განცხადებები, რომლებიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების (გლდანის საპყრობილის) ყოფილ დირექტორს ალექსანდრე მუხაძესა და სხვა თანამშრომლებს ამხელენ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში.

აღნიშნულ საქმესთან გაერთიანდა სერგო თეთრაძის გარდაცვალების ფაქტზე 2011 წლის 24 სექტემბერს დაწყებული სს საქმე, რომელიც 2011 წლის 31 დეკემბერს, დანაშაულის არარსებობის მიზეზით, შეწყდა.

შეწყვეტილ საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილი იყო შემდეგი: სერგო ალექსანდრეს ძე თეთრაძეს 2011 წლის 19 სექტემბერს აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება და იმავე დღეს შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 8 დაწესებულებაში. იმავე წლის 23 სექტემბერს, დაახლოებით 22 საათზე, დაწესებულების პირველი სარეჟიმო კორპუსის 53-ე საკანში მარტოდ მყოფმა ბრალდებულმა სერგო თეთრაძემ თავი შეუძლოდ იგრძნო და ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ გამოძახებულ იქნა ექიმი. ექიმის საკანში მისვლის დროს სერგო თეთრაძე უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, რის გამოც იგი გადაყვანილ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის № 18-ე დაწესებულებაში. მიუხედავად ჩატარებული რეანიმაციული ღონისძიებებისა, სერგო თეთრაძე მიყვანიდან უმოკლეს დროში, გონმოუსვლელად გარდაიცვალა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სერგო თეთრაძის სიკვდილის უშუალო მიზეზია გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა განვითარებული გულის იშემიური დაავადება. თეთრაძეს სხეულზე აღენიშნებოდა ნაჭდევები, სისხლნაჟღენთები და ნახეთქი ჭრილობა.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, გამოძიებამ მაშინ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული დაზიანებები სერგო თეთრაძემ მიიღო დაკავებამდე, ანუ 2011 წლის 17 სექტემბრამდე, გაურკვეველ ვითარებაში.

აღნიშნულ დადგენილებაში მოცემული ფაქტები არის სიცრუე და არ შეესაბამება სინამდვილეს.

2012 წლის 14 ნოემბერს მთავარმა პროკურატურამ გააუქმა დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ.

საქმეზე ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები. დაკითხულ იქნა მრავალი მოწმე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების ყოფილი და მოქმედი 7 თანამშრომელი.

დაკითხულია №8 დაწესებულების მორიგე ექიმი, რომელიც ადასტურებს, რომ პატიმარი თეთრაძე კომატოზურ მდგომარეობაში ნახა არა 53-ე საკანში, არამედ ე.წ. კარანტინის ნახევრადსარდაფულ საკანში.

მოწმეთა ჩვენებებით ირკვევა, რომ ბრალდებული — პატიმარი სერგო თეთრაძე გარდაცვალებამდე რამოდენიმე დღით ადრე სად-ის №8 დაწესებულების ტერიტორიიდან, დაწესებულების შინაგანაწესის ნორმების უხეში დარღვევით უკანონოდ გაიყვანეს გლდანის საპყრობილის დირექტორის ალექსანდრე მუხაძის ზედმეტსახელად (ქილერას) მანქანით. მანქანაში იმყოფებოდა თავად მუხაძე.

ფაქტს ადასტურებენ თვითმხილველი მოწმეები. №8 დაწესებულების მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ პატიმარი თეთრაძე დაახლოებით 4-5 საათის შემდეგ, იმავე მანქანით, იმავე პირების მიერ შემოყვანილ იქნა ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ამავე მოწმეების ჩვენებით ირკვევა, რომ პატიმარი თეთრაძე მძიმედ გადმოვიდა მანქანიდან, იგი წელში იყო მოხრილი და სიარულიც უჭირდა.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა მოწმე ალექსი ტერაშვილმა უჩვენა, რომ მე-8 დაწესებულების სარეჟიმო სამსახურის უფროსის ოლეგ ფაცაციას და იმავე დაწესებულების უსაფრთხოების უფროსის ვიქტორ ყაჭეიშვილის სიტყვიერი ბრძანებით, მან და პატიმარმა სისაურმა სერგო თეთრაძის მიმართ ერთად განახორციელეს ფიზიკური ძალადობა, სცემდნენ დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში და შემდეგ ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით განახორციელეს ძალადობა, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, წამება, რის შემდეგაც პატიმარმა გონება დაკარგა და დაახლოებით ნახევარ საათში გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

დადგინდა აგრეთვე, რომ დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა დანაშაულის დაფარვას და კვალის განადგურებას. მათ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიცემული აქვთ ცრუ ჩვენებები. ხოლო საექსპერტო დასკვნა არასრული და ზედაპირულია.

ამ საქმეზე დაკავებულ იქნა დანაშაულის უშუალო აღმსრულებელი სისაური, პასუხისგებაში მიეცემა ალექსანდრე მუხაძე, რომელიც საქართველოში არ იმყოფება, ხოლო ვიქტორ ყაჭეიშვილი, ოლეგ ფაცაცია და ალექსი ტერაშვილი იმყოფებიან პატიმრობაში“, – ნათქვამია განცხადებაში.

„მედიანიუსი“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲑᲐ

საქართველოს უკრაინიდან ხორბლის მიწოდებაზე პრობლემები არ შეექმნება, უკვე გადაწყვეტილია, რომ უკრაინა ხორბლის ექსპორტზე შეზღუდვებს აღარ დააწესებს. უკრაინის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვერ ხედავს შეზღუდვების დაწესების აუცილებლობას. მინისტრის მოადგილის ივან ბისიუკის განმარტებით, ქვეყნიდან უკვე ექსპორტირებულია 5,5 მლნ ტონა ხორბალი და ექსპორტი კვლავინდებურად გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უკრაინა ხორბლის ექსპორტზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას გეგმავდა. აღნიშნული განცხადება გაკეთდა უმაღლეს დონეზეც, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ ქვეყანა ხორბლის გამოტანაზე რაიმე პრობლემას არ შექმნის.

აღსანიშნავია, რომ უკრაინა საქართველოს ხორბლის მომარაგებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზარია და თუ უკრაინა შეზღუდვად დააწესებდა, ეს, გარკვეულწილად, საქართველოზეც აისახებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამდენიმე წლის უკან უკრაინამ ხორბლის ექსპორტზე ემბარგო გამოაცხადა, თუმცა საბოლოოდ საქართველოსთვის გამონაკლისი დაუშვა და საქართველო უკრაინიდან ხორბლის ექსპორტს ჩვეულ რეჟიმში ახდენდა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

მარტვილში სამოქალაქო მოძრაობა „მარტვილი – ნაციონალური მოძრაობის მმართველობის გარეშე“ საპროტესტო აქციებს აგრძელებს და მარტვილის გამგეობისა და საკრებულოს შენობასთან შიმშილობის აქცია მიმდინარეობს.

მთელი ღამის განმავლობაში მარტვილის გამგეობისა და საკრებულოს შენობასთან იმყოფებოდა 10 მოშიმშილე და აქციის 50-მდე მონაწილე.

შეგახსენებთ, რომ აქციის მონაწილეები მარტვილის გამგებლის მამუკა დანელიასა და საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ გოროზიას გადადგომას ითხოვენ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ერიკ რუბინი: „აშშ მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან გარკვეული ურთიერთობა დაამყაროს“

ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის ერიკ რუბინის განცხადებით, აშშ მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან გარკვეული ურთიერთობა დაამყაროს. ამის შესახებ რუბინმა ჟურნალისტებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან პაატა ზაქარეიშვილთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე, პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე, აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლადი.

„ძალიან კარგი შეხვედრა მქონდა რეინტეგრაციის მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან და ელჩ აბაშიძესთან. ვისაუბრეთ იმ პრიორიტეტებზე, რომელიც უკავშირდება საქართველოს მხრიდან კონფლიქტების მოგვარებისა და იმ ადამიანების პირობების გაუმჯობესების ძალისხმევას, რომლებიც კონფლიქტების შედეგად დაზარალდნენ. საუბარი შეეხო მეზობლებთან ურთიერთობის საკითხებს. მე გამოვხატე აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი. ასევე მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ძალისხმევისა, გარკვეული ურთიერთობები დაამყაროს აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან“, — განაცხადა ერიკ რუბინმა.

ამასთან, რუბინი ელის, რომ საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობა მომავალშიც ძალიან მჭიდრო იქნება.

„პირველი“

მართლმსაჯულება თუ შურისძიება?

The Economist

იყო თუ არა ეს ბინძური წინასაარჩევნო სვლა? საქართველოს მთავარი პროკურორის პასუხი ამ შეკითხვაზე დადებითია. ის ამტკიცებს, რომ სექტემბრის ბოლოს, იმ დროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა ხიზანიშვილმა, ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ წამყვანი ფიგურების დისკრედიტაციის მიზნით, მათ საიდუმლო მოსმენაზე ბრძანება გასცა. „ქართული ოცნების“ კომპიუტერებში შეღწევის შემდეგ, ჩინოვნიკებმა დააშანტაჟეს „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის დაცვის ერთ-ერთი წევრი ბესო სურმავა და youtube-ზე ჩანაწერები მისი სახელით ატვირთეს. შემდეგ, დამაჯერებლობისთვის, სურმავა დასავლეთ საქართველოში გაიტაცეს და 1 ოქტომბრის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაათავისუფლეს.

15 ნოემბერს, ხელისუფლებამ ბ-ნ ხიზანიშვილს, რომელიც ახლა თბილისის მერის მოადგილეა, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ათ ჩინოვნიკს ბრალი უკანონო მოსმენებისა და გატაცების გამო წაუყენა. (ერთ-ერთ მათგანს ბრალი ედება ასევე გასული წლის მიწურულს ბ-ნი ივანიშვილის „ქართუ ჯგუფის“ მიერ იმპორტირებული ტექნიკის განგებ დაზიანებაში, რაც ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლიდან მალევე მოხდა). მომდევნო დღეს, პოლიციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ერთი ჩინოვნიკი თენგიზ გუნავა დააპატიმრა. გუნავას ბრალი ედება ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო შენახვაში. მსგავსი დაპატიმრებები შეიძლება გაგრძელდეს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ენმ) თანახმად, ეს წმინდა წყლის პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. ბ-ნი ხიზანიშვილის დაპატიმრება „პირადად ჩემზე ზეწოლის მიზნით“ მოხდა, განაცხადა 16 ნოემბერს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა. ორი დღის შემდეგ კი თბილისის მერი გიგი უგულავა ამტკიცებდა, რომ ხიზანიშვილის წინააღმდეგ ბრალდებები „შეთითხნილია“. 20 ნოემბერს, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრი სისხლისმსმელ ფრანგ რევოლუციონერ რობესპიერსაც კი შეადარა.

ამას უცხოეთში ცუდი გამოხმაურება მოჰყვა. როდესაც ხელისუფლებამ ნოემბრის დასაწყისში ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია და ქვეყნის ორი მაღალჩინოსანი სამხედრო დააპატიმრა, ნატომ საქართველოში მისი სამხედრო კომიტეტის ვიზიტი გადადო, რომლის ჩატარებაც 9 ნოემბერს იგეგმებოდა. ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა უკიდურესი შეშფოთება გამოთქვა სამი დღის შემდეგ, თუმცა, ბ-ნ ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ ტონი შეარბილა.

თუმცა, რიგითი ქართველები, როგორც ჩანს, უფრო წინდახედულები არიან. ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც ბოლოდროინდელ არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მარცხი გამოიწვია, იყო ის განცდა, რომ მმართველი პარტია თავს კანონზე მაღლა აყენებდა. ქვეყნის უახლოესი მოკავშირეები და მათ შორის შეერთებული შტატები, მუდმივად ჩიოდნენ სამართლის შერჩევითობაზე საქართველოში წინა მთავრობის პირობებში.

მოქმედი მთავრობის აზრით, დაპატიმრებები არის იმ ფართო ძალისხმევის ნაწილი, რაც მიმართულია საქართველოში სამართლიანობის განცდის აღდგენაზე. ეს მოიცავს ძველი სადავო საქმეების გახსნას, სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას და იმის უზრუნველყოფას, რომ პარლამენტი სერიოზულად უდგებოდეს ქვეყნის ობმუდსმენს.

ბოლოდროინდელი მოვლენები ხაზს უსვამს ამ მიმართულებას. 19 ნოემბერს ადამიანის უფლებების საპარლამენტო კომიტეტმა მოიწონა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც არის მოწოდება 184 „პოლიტიკური პატიმრისა“ და უცხოეთში მყოფი 22 „პოლიტიკური დევნილის“ გათავისუფლების შესახებ. 2008 წელს, ერთ-ერთი ასეთი დევნილი, ბ-ნი სააკაშვილის ყოფილი მოკავშირე ირაკლი ოქრუაშვილი, სასამართლომ მასშტაბური გამოძალვის ბრალდებით გაასამართლა. 20 ნოემბერს ის საკუთარი რეპუტაციის აღდგენის მიზნით საქართველოში დაბრუნდა და უმალ დააპატიმრეს.

და მაინც, მთავრობამ გაცილებით მეტი უნდა გააკეთოს იმის დასამტკიცებლად, რომ ის უბრალოდ ანგარიშსწორებას არ ეწევა. დასაწყისისთვის, მან უნდა დააბალანსოს სწრაფი რეზულტატის სურვილი პროცესის განმტკიცების აუცილებლობასთან. მაგალითად, ორმა ცნობილმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ცოტა ხნის წინ პოლიტიკური პატიმრების საკითხზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი დატოვა. მათ განაცხადეს, რომ კომისია ყველა ცალკეულ საქმეს სათანადოდ არ სწავლობდა.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ უნდა დააჩქაროს რეფორმები სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცების მიმართულებით და გაზარდოს სამართლიანი სასამართლო პროცესის შესაძლებლობა მათთვის, ვინც დაპატიმრებულია. ქართული სასამართლოები დიდი ხნის განმავლობაში დაშინებულები იყვნენ: წინა მთავრობის დროს, პროცესები თითქმის ყოველთვის გამამტყუნებელი განაჩენებით სრულდებოდა. იმედისმომცემია ის, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა ორი სამხედროს დატოვებაზე წინასწარ პატიმრობაში ახალაიასთან ერთად, რითაც წარსულთან შედარებით დამოუკიდებლობის დიდი განცდის დემონსტრირება მოახდინა. მაგრამ ეს პირველი დღეებია.

ბოლო დროს დაპატიმრებულ პირთა დიდი ნაწილის მიმართ წაყენებული ბრალდებები საარჩევნო კამპანიას უკავშირდება, რის გამოც პროცესს ახალი მთავრობის წამყვანი ფიგურების მხრიდან პერსონალური წყენის ელფერი ადევს. ეს უნდა აღმოიფხვრას. საქართველოს მყიფე დემოკრატიის კონსოლიდირება მოითხოვს ამ ორი პარტიის ერთად მუშაობას. მწვავე საარჩევნო კამპანიის შემდეგ, დაპატიმრებები მხოლოდ აღრმავებს მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებს.

foreignpress.ge

„ქართულ ოცნებას“ შეიძლება პარლამენტში ჩვეულებრივი კანონის გატანაც კი გაუჭირდეს – „საერთაშორისო გამჭვირვალობა“

თეორიულად, პრეზიდენტის წინააღმდეგობის გამო, შესაძლოა, „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში ჩვეულებრივი კანონის გატანაც კი გაუჭირდეს: პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად მინიმუმ 89 დეპუტატიაა საჭირო. ამის შესახებ ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ბლოგპოსტში, რომელიც პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებით შესაძლო წინააღმდეგობას ეხება. როგორც ცნობილია, უკვე დეკემბრის თვეში „ქართული ოცნება“ პარლამენტში მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას აპირებს, რომელთა ნაწილსაც შესაძლოა, პრეზიდენტი არ ეთანხმებოდეს.

„1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში პირველად შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როცა პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები არიან. ამ ფონზე საინტერესოა, თუ ვის რა ძალაუფლების ბერკეტი გააჩნია.

არჩევნების შედეგად კოალიცია „ქართული ოცნების“ სახელით პარლამენტში 85 დეპუტატი მოხვდა, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით — 65. შესაბამისად, აღნიშნულმა პოლიტიკურმა ძალებმა შექმნეს საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა. თუმცა „ქართული ოცნების“ სამი მაჟორიტარის აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობებზე დანიშვნამ და შვიდი მაჟორიტარი დეპუტატის მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გამოყოფამ (მათგან ერთი საპარლამენტო უმრავლესობას შეურთდა, დაარჩენმა ექვსმა დეპუტატმა კი ცალკე ფრაქცია ჩამოაყალიბა) სურათი ოდნავ შეცვალა და დღესდღეობით საკანონმდებლო ორგანოში ძალები შემდეგნაირად არის განაწილებული: უმრავლესობა — 83 დეპუტატი; უმცირესობა — 58 დეპუტატი; ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები“ — 6 დეპუტატი.

პარლამენტში კანონის მისაღებად საკმარისია 50 დეპუტატის ხმა, ორგანული კანონისთვის — 76, ხოლო კონსტიტუციური კანონისთვის — 100 ხმა. რადგანაც არჩევნებში გამარჯვებულ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ის უმცირესობის თანხმობის გარეშე კონსტიტუციურ ცვლილებებს ვერ განახორციელებს. გარდა ამისა, „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტის წინააღმდეგობის გამო, თეორიულად ჩვეულებრივი კანონის გატანაც შეიძლება გაუჭირდეს“, — ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ განცხადებაში და აღნიშნულია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისათვის დადგენილია კონსტიტუციით. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. ამ შემთხვევაში, კანონი ან ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა. ამჟამად პარლამენტის სიითი შემადგენლობა განისაზღვრება 147 დეპუტატით. 147-ის 3/5 კი არის 88.2, ანუ პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად მინიმუმ 89 დეპუტატია საჭირო.

ამ ეტაპისთვის, უმრავლესობის სახელით პარლამენტში სულ 83 დეპუტატია, რაც ნიშნავს იმას, რომ „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ „უპარტიო, მაჟორიტარი დეპუტატების“ შვიდკაციანი ფრაქციის სრული მხარდაჭერით შეეძლება პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „უპარტიო, მაჟორიტარი დეპუტატების“ ფრაქციამ უკვე რამდენჯერმე გამოხატა მხარდაჭერა უმრავლესობის ინიციატივების მიმართ.

„გარდა ამისა, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებულია კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის გამოკლების შემთხვევაში, შუალედური არჩევნები ჩატარდება არამხოლოდ ოქტომბერში, არამედ აპრილში. ვაკანტური მანდატების შევსების შემთხვევაში, სიითი შემადგენლობა გაუტოლდება 150-ს, რითაც პრეზიდენტის ვეტოს გადალახვის მინიმალური ზღვარი 88.2-დან 90-მდე აიწევს. თუ შუალედურ არჩევნებში „ქართული ოცნება“ სამი ოლქიდან ერთში მაინც გაიმარჯვებს, უმრავლესობა კვლავ შეინარჩუნებს პრეზიდენტის შენიშვნების დაძლევის თეორიულ შანსს.

საქართველოში აქამდე არ ყოფილა ისეთი პოლიტიკური მოცემულობა, როცა პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა განსხვავებული პოლიტიკური იდეების მატარებლები იყვნენ. აქედან გამომდინარე, არასდროს გამხდარა აქტუალური პრეზიდენტის მიერ კანონპროექტის პარლამენტში შენიშვნებით დაბრუნების შესაძლებლობა. მერვე მოწვევის პარლამენტს ჯერ არც ერთი კანონპროექტი არ მიუღია. შესაბამისად, რთულია ვარაუდი იმისა, თუ რამდენად აქტიურად გამოიყენებს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას“, — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

„მედიანიუსი“

მიუხედავად უიღბლო წარსულისა და საშინელი გეოგრაფიისა, საქართველო წინ მიიწევს

ცუდი ადგილმდებარეობა

The Economist

უცხოელთა უმეტესობისთვის საქართველოს ისტორია დახურული წიგნია. მართლაც, ამ თემაზე ინგლისურენოვანებისათვის წიგნები პრაქტიკულად არ არსებობს. საქართველო, ძირითადად, სხვა ხალხების ისტორიაში ჩნდება. მისი პირველი აღწერა ქსენოფონტთან გვხდება, რომელიც იმას მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობდნენ ბერძენი ჯარისკაცები სამშობლოში დაბრუნებას ძვ. წ. 400 წელს. წიგნებში საბჭოთა კავშირის შესახებ საქართველო წარმოჩენილია როგორც მეამბოხე დაპყრობილი ქვეყანა და როგორც იოსებ სტალინის, ქვეყნის საძრახისი შვილის, დაბადების ადგილი. ბოლოდროინდელ ტექსტებში, ძირითადად, რუსეთთან 2008 წლის ხანმოკლე და დამანგრეველ ომს აღწერენ. ამჟამად, დონალდ რეიფილდმა ლონდონის უნივერსიტეტიდან და სტივენ ჯონსმა მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯიდან ამ რთული ქვეყნის შესახებ ამბიციური და ყოვლისმომცველი ისტორიები დაწერეს. („იმპერიის ზღვარზე: საქართველოს ისტორია“ – დონალდ რეიფილდი; „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის შემდეგ“ – სტივენ ჯონსი.

ეს ავტორები იმ მცირერიცხოვან უცხოელთა შორის არიან, რომლებმაც ქართული ენა ისწავლეს. მცირე და ძველი ქართველური ჯგუფის ენა სხვა ენებს არ ენათესავება; ზოგიერთები მეტისმეტად უცნაურად ამტკიცებდნენ, რომ ქართული ენა, გარკვეულწილად, ბასკურს ენათესავება. მისი ფესვები ისეთივე გაურკვეველია, როგორც იმ ადამიანების, ვინც ამ ენაზე საუბრობს. ბ-ნ რეიფილდი ძვ. წ. 11 000 წლით იწყებს თხრობას და თავდაპირველად ახსენებს ასირიულ წყაროს „მუშკების“ შესახებ (დღეს „მესხები“ ქართველების ქვეჯგუფია). პირველი ქართველი მეფე, ფარნავაზი ძვ. წ. 326 წელს დაიბადა.

საქართველოს ისტორიის მასშტაბი შესაძლოა შოკისმომგვრელი იყოს მათთვის, ვისაც ჰგონია, რომ ქვეყანა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს გაჩნდა რუკაზე. მაგრამ მკითხველს დასჭირდება კარგად მოემზადოს მომდევნო 200 გვერდისთვის, რომელიც დროდადრო შეიძლება ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებლის“ ერთგვარ დამატებაში აერიოს. ლაკონურად მოთხრობილ ისტორიებში უცნაური ჟღერადობის სახელის მქონე ასობით ადამიანი და ადგილი ჩნდება და ქრება ერთმანეთის მიყოლებით (მაგალითად, Vა-ზე დაწყებული სახელები დაწვრილებით შედგენილ საძიებელშია მოცემული – ვახაგანი, ვაჩე, ვაჩნაძე, ვახტანგი, ვახუშტი, ვალაშქერთელი, ვარამი, ვარდანი, ვარსქენი, ვარციხე, ვასაქი, ვაშიქი, და ვასპურაკანი). თავის მოკვეთა, კასტრაცია, სოდომი, გაუპატიურება და თვალების დათხრა – ადგილობრივი თავისებურებებია – და ამის შესახებ ბევრია მოთხრობილი. მაგრამ ანალოგიებმა, სიმპტომებმა, ინტერპრეტაციებმა და დახასიათებებმა ეს ნაზავი უნდა შეამსუბუქოს.

ყველაზე სასიამოვნო გვერდები საქართველოს ოქროს ხანას (დაახლოებით 1212 წელი), თამარ მეფის მეფობის პერიოდს ეხება. მას შემდეგ ქვეყანა, რომელიც გადაჭიმული იყო 800 მილზე (1,228კმ) ამჟამინდელი ტრაპიზონიდან თურქეთში კასპიის ზღვის სანაპიროებამდე, არასდროს ყოფილა უფრო დიდი, ძლიერი ან დაცული. საქართველოს ბედი მისი უფრო დიდი მეზობლების სისუსტეზე ან კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული: ჩრდილოეთით რუსეთზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით სპარსეთზე, დასავლეთით თურქეთზე. ბ-ნი რეიფილდის მიერ მოთხრობილი წარმატებული და ხანმოკლე უსაფრთხო პერიოდები შემოსევებით, დაპყრობით, ძარცვითა და დარბევებით მთავრდებოდა. ქართველებს უწევდათ იმასთან შეგუება, რომ სხვები მართავდნენ: მათ ხშირად უწევდათ დამპყრობლების ჭკუაში მოტყუება. კრემლის მმართველობა მასობრივი მკვლელობებითა და დამანგრეველი გეგმიური ეკონომიკით დაიწყო, თუმცა საბჭოთა მმართველობის ბოლო ათწლეულებში საქართველო ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი და სასიამოვნო ადგილი იყო საცხოვრებლად საბჭოთა კავშირში. მსგავსი რამ ხდებოდა მე-19 საუკუნეში მეფის რუსეთის იმპერიული მმართველობის ქვეშ.

საქართველოს მმართველები მიდრეკილნი იყვნენ შიდა დაყოფისა და ორპირობისკენ, რამაც ბევრი უბედურება მოუტანა ქვეყანას. ეს ხელს უშლიდა ასევე მოშორებით მდებარე ქვეყნებს იმაში, რომ საქართველოს პროდასავლური სენტიმენტებისთვის ადეკვატურად ეპასუხათ. წიგნში ამაღელვებელ ეპიზოდს წარმოადგენს 1918-21 წლების ისტორია, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ამაოდ მიმართავდა ბრიტანეთს და სხვა დასავლურ ქვეყნებს დახმარებისთვის, ვიდრე ქვეყანაში ბოლშევიკები შეიჭრებოდნენ. ეს იმ წარსული ეპიზოდების გამეორებაა, როდესაც ქართველი მმართველები ბიზანტიის იმპერიასა და ვენეციას მიმართავდნენ და ერთგვარი წინასწარმეტყველება იმ იმედგაცრუებისა, რასაც ბევრი ქართველი გრძნობდა, როდესაც 2008 წელს მათ დასახმარებლად არავინ მივიდა.

ბ-ნი ჯონსის მთელი წიგნი იმ პერიოდს ეხება, რომელიც ბ-ნი რეიფილდის ნაშრომის ბოლო თავშია აღწერილი. საქართველოს კატასტროფულ ხელახალ დაბადებას, მიუხედავად ეკონომიკის კოლაფსისა და სამოქალაქო ომისა, ედუარდ შევარდნაძის უძრაობის ხანა მოჰყვა, რომელიც ამ ქვეყანას საბჭოთა პერიოდშიც მართავდა, შემდეგ კი გორბაჩოვის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

ბევრ სხვა სასარგებლო დეტალთან ერთად, ჯონსი ირონიით წერს მიხეილ სააკაშვილის მმართველობაზე, რომელიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პრეზიდენტი გახდა. მისი პარტია ამ წლის საპარლამენტო არჩევნებში სერიოზულად დამარცხდა. მათ გასაკვირად, ვინც პუტინისეულ ტენდენციებს ხედავდა მისი გუნდის ავტორიტარულ მიდგომებში, უნდა ითქვას, რომ ბ-ნი სააკაშვილის პარტიამ მშვიდად აღიარა დამარცხება, მაგრამ ეს ფაქტი ორივე წიგნისთვის ძალზედ გვიან მოხდა, რაც სამწუხაროა, რადგან ის გააქარწყლებდა ბ-ნი ჯონსის კრიტიკის დიდ ნაწილს იმის თაობაზე, რომ საქართველომ ვერ მოახერხა „ქმედითი“ დემოკრატიის, სავარაუდოდ, არარეალისტური სტანდარტების დაკმაყოფილება. ქვეყნის დიდ ნაწილში, დედაქალაქ თბილისის გარეთ, ჯერ კიდევ შემაძრწუნებელი სიღარიბეა; ინსტიტუციები არასრულყოფილია; მთავრობა ზეწოლას ახდენს მედიასა და სასამართლოზე. მაგრამ საქართველოში, რომელიც სულ რაღაც 20 წლის წინ არშემდგარი სახელმწიფო გახლდათ, პროგრესი განსაცვიფრებელია, განსაკუთრებით კი ახლო მეზობლის მუდმივი ზეწოლისა და ძირგამომთხრელი ქმედებების ფონზე.

ბ-ნი ჯონსი გვერდს უვლის რუსეთისგან მომდინარე პრობლემებს და სააკაშვილის მმართველობის რეალურ წარმატებებს აკნინებს, კერძოდ, ქვეყნის დასავლეთთან დაახლოებას, წვრილი კორუფციის აღმოფხვრას, მაგალითად, საბაჟოებსა და საგზაო პოლიციაში (თუმცა მაღალ დონეზე ნეპოტიზმი ამ ისტორიის სამწუხარო მხარეა), საზოგადოებრივი სერვისების მოდერნიზებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მართალია უხეში, თუმცა ღია პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას. საქართველო ახლა ქვეყანაა (რაც იშვიათია ყოფილ საბჭოთა კავშირში), სადაც ოპოზიციას აქვს ხელისუფლებაში მოსვლის რეალური შანსი და ყველა მხარე იცავს კონსტიტუციას. ბ-ნი რეიფილდის წიგნის მკითხველებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ბოლო 2,500 წლის განმავლობაში ქართველებს ალბათ იშვიათად თუ ჰქონდათ ამდენი მიზეზი საიმისოდ, რომ ბედნიერები ყოფილიყვნენ.

foreignpress.ge

Washington Post – საქართველოს მთავრობა არასწორ გზას დაადგა

უკანასკნელ ხანებში საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე პრესტიჟული ამერიკული გამოცემის, Washington Post-ის სარედაქციო საბჭომ კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა. როგორც სტატიაში განმარტავენ, სარედაქციო საბჭოს წერილი უბრალო ანალიტიკისგან იმით განსხვავდება, რომ საკითხისადმი არა კონკრეტული ავტორის მიდგომას, არამედ გამოცემის ზოგად პოზიციას გამოხატავს.

Washington Post-ში მიიჩნევენ, რომ ახალმა მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა. ამასთან, სტატიაში განსაკუთრებულ ყურადღებას პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებაზე ამახვილებენ.

საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება და მმართველი პარტიის მიერ ძალაუფლების მშვიდობიანად დათმობა, ამერიკულ გამოცემაში დემოკრატიის იშვიათ ტრიუმფად არის მოხსენიებული, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ გამარჯვებამ, სხვა ყველაფერთან ერთად, ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც წამოჭრა, კერძოდ: შეძლებდა თუ არა, შავი ზღვისპირეთის ეს პატარა ერი, გამხდარიყო პოლიტიკური პლურალიზმის მისაბაძი მოდელი რეგიონში, თუ უკრაინის ბედს გაიზიარებდა, სადაც ლიბერალური მთავრობის დამარცხებას ყოფილი ლიდერების დაპატიმრება და რუსული ტიპის ავტოკრატიისკენ მიბრუნება მოჰყვა.

სტატიის ავტორების აზრით, საუბედუროდ, ბიძინა ივანიშვილის მიერ მართულ ახალ რეჟიმს დიდი დრო არ დასჭირვებია ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

„ხელისუფლებაში მოსვლიდან პირველივე კვირებში, ახალმა მთავრობამ სისხლის სამართლის ბრალდებებით წინა ადმინისტრაციის 20-ზე მეტი თანამდებობის პირი დააკავა, მათ შორის — თავდაცვის და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომლის საპრეზიდენტო ვადაც კიდევ ერთი წელია, ხელი შეუწყო ახალი მთავრობის ფორმირებას, ბატონმა ივანიშვილმა რამდენჯერმე მოითხოვა მისი თანამდებობიდან გადადგომა. ივანიშვილმა მიანიშნა, რომ სანამ ის არ გადადგება, გაგრძელდება სანქციების პოლიტიკა მისი თანაგუნდელების წინააღმდეგ. ახალმა საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის ოფისს დაფინანსება ჩამოაჭრა და ოპოზიციის წევრებზე, მათ გადმოსაბირებლად, ზეწოლა მოახდინა. დაშინების პოლიტიკა ხორციელდება იმ მედიასაშუალებების მიმართ, რომელიც ყოფილ მთავრობას თანაუგრძნობდნენ“, — ნათქვამია სტატიაში.

სტატიაში სკეპტიკურად უყურებენ ასევე საქართველოს მომავალს ევროინტეგრაციის კუთხით:

„ბატონმა ივანიშვილმა ქართველებს აღუთქვა, რომ გააგრძელებდა სააკაშვილის სტრატეგიას ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანების მიმართულებით. თუმცა, როგორც ჩანს, ნატო-ს, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების მაღალჩინოსნების გაფრთხილებებმა, თავი შეეკავებინათ „კანონის უზენაესობის პრინციპის გადახვევით პოლიტიკური მტრების მიმართ ანგარიშსწორებისაგან“, როგორც ეს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ფილიპ გორდონმა აღნიშნა, ჯერ არ გაჭრა. პირიქით, ივანიშვილის მომხრეები ცდილობენ, ახალი საქმეებიც აღძრან ყოფილი პრემიერის, დედაქალაქის, თბილისის მერის და სხვათა წინააღმდეგ.

საქართველოს ახალი მთავრობა აცხადებს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, დააყენონ ძველი მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც ხშირად იყო ეჭვმიტანილი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში და, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ყოფილი თანამდებობის პირი დამნაშავე აღმოჩნდეს, მაგრამ რამდენიმე აღძრულ საქმეში აქცენტი კეთდება შედარებით მცირე სამართალდარღვევებსა და საარჩევნო კამპანიის დროს ბინძური ხრიკების გამოყენების ბრალდებებზე. თუკი ივანიშვილი მართლაც სერიოზულად აპირებდა დასავლური მთავრობებისთვის ეჩვენებინა, რომ საქართველო ერთ-ერთი მათგანია, გვერდზე გადადებდა ასეთ შემთხვევებს და ფოკუსირებას მოახდენდა ქვეყნის მიმართ უცხოელი ინვესტორების ნდობის აღდგენაზე, ნდობისა, რომელიც მისი არჩევის მერე საგრძნობლად დაეცა“, — წერენ **Washington Post**-ში.

ყურადღებისმიღმა სტატიის ავტორებს არც პრემიერ-მინისტრის შეერთებულ შტატებში პირველი ოფიციალური ვიზიტის გადადება დარჩენიათ: **„პრემიერად ქცეულმა მაგნატმა გასულ კვირას განაცხადა, რომ მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი შეერთებულ შტატებში გადაიდო, რაც კარგია. სანამ ის ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრებას აგრძელებს და ძალაუფლების მონოპოლიზებას ცდილობს, საქართველოს ახალი ლიდერის ვიზიტი ვაშინგტონში მისასალმებელი არ უნდა იყოს“.**

„ინტერპრესნიუსი“

ადამიანს ასუქებს... რეკლამა

აშშ-ს იელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მთელი რიგი ექსპერიმენტები ჩაატარეს იმის გასარკვევად, როგორ მოქმედებს ადამიანებზე ტელევიზიით ნანახი საჭმლის რეკლამა. ერთ-ერთი ექსპერიმენტისას აღმოჩნდა, რომ 7-11 წლის ბავშვები, რომელთაც ნახევარსაათიან მულტფილმს აჩვენებდნენ საჭმლის რეკლამის ჩართვებით, ტელევიზორის წინ 45%-ით მეტ საკვებს ჭამდნენ, ვიდრე ის პატარები, ვისაც ანიმაციურ ფილმებს რეკლამის გარეშე აყურებინებდნენ. საჭმლის ასეთი მომატებული რაოდენობით მოხმარებამ კი, შესაძლოა, წელიწადში დამატებითი 10-15 კილოგრამის „აკიდება“ გამოიწვიოს. სხვა ექსპერიმენტში, რომელშიც უკვე უფროსები მონაწილეობდნენ, უჩვენებდნენ ჯანმრთელობისთვის საზიანო საკვების რეკლამას. აქ მონაწილეები ტელევიზორის წინ უფრო მეტს ჭამდნენ, ვიდრე ის ჯგუფი, ვისაც ჯანსაღ და სასარგებლო საკვების რეკლამას აწვდიდნენ. ამგვარად, ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ პირდაპირი და თანაც საკმაოდ ძლიერი კავშირი არსებობს საკვების სატელევიზიო რეკლამასა და ადამიანების მიერ მოხმარებული კალორიების რაოდენობას შორის. რეკლამის გავლენის ქვეშ ექცევიან როგორც უფროსები, ასევე ბავშვებიც. რეკლამის ჩვენება საკვების ავტომატურად მიღების პროვოცირებას იწვევს იმის მიუხედავად, მშიერია ადამიანი თუ არა. ეს კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიმსუქნის ეპიდემიაზე. სწავლულები მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებით ბავშვებმა, ტელევიზიით საკვების რაც შეიძლება ნაკლები რეკლამა უნდა ნახონ.

ფლირტი კალორიების დაწვაში გვეხმარება

სუსტი სქესის წარმომადგენლები, რომლებიც მამაკაცების გულის მოგებას ცდილობენ, წუთში 95 კილოკალორიას წვავენ, როცა თავის მოსაწონებლად ლამაზდებიან და იპრანჭებიან. როგორც ბოგოტას უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გაარკვიეს, ფლირტზე ქალები უფრო მეტ ენერგიას ხარჯავენ, ვიდრე კაცები. კოლუმბიელთა გამოკვლევაში 17 ქვეყნის მცხოვრებლები მონაწილეობდნენ. სწავლულებმა კილოკალორიების რაოდენობა დაითვალეს, რასაც 17-დან 47 წლამდე ასაკის ორივე სქესის წარმომადგენლები ხარჯავენ, როცა ფლირტთან დაკავშირებული საქმიანობით არიან დაკავებულნი. ექსპერიმენტისას გაირკვა, რომ თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლის მონაცემები ერთმანეთის მსგავსი იყო. მამაკაცის გულის მოგების პროცესში ქალები წუთში 95 კილოკალორიას ხარჯავენ, მამაკაცები კი — 79-ს. გარდა ამისა, ვიზუალური კონტაქტისას, სუსტი სქესის წარმომადგენლები წუთში 11 კილოკალორიას წვავენ, კაცები — 3-ს. თუმცა, ისიც გაირკვა, რომ მათთვის საინტერესო პერსონის პაემანზე დაპატიჟებისას მამაკაცები უფრო მეტ ენერგიას ხარჯავენ, ვიდრე ქალები — 95 და 37 კკალ. შესაბამისად.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ



პაკეტის ჩაი კბილებს ემტერება

ასეთ დასკვნამდე ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯის სწავლულები მივიდნენ. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ პაკეტებში დაფასოებული სწრაფად ხსნადი ჩაი ფტორიდების საკმაოდ საშიშ რაოდენობას შეიცავს. ასე მაგალითად, ჩვეულებრივი სიმაგრის ჩაიში მილიონზე 6,5 ნაწილი ფტორიდი მოდიოდა, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს დასაშვებ კონცენტრაციას. ფტორიდების კონცენტრაციის დასაშვები ნორმა ჩვეულებრივ სასმელ წყალში მილიონზე 4 ნაწილს შეადგენს, დაფასოებულ მინერალურ წყალში კი 2,4-ს არ უნდა აჭარბებდეს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ცნობილია, რომ ჩაის ფოთლები აგროვებენ ნიადაგიდან და წყლიდან მიწოდებულ ფტორიდებს, ამიტომ მკვეთრად უნდა განისაზღვროს, როგორ დამოკიდებულებაშია ჩაის ხარისხი და მისი მოკრეფის დრო ამ მინერალებთან. ფტორიდების ზომიერი რაოდენობა ძვლებისა და კბილებისთვის სასარგებლოა, მაგრამ მისი ჭარბი რაოდენობა ზიანს აყენებს ადამიანის ორგანიზმს, განსაკუთრებით კი — კბილებზე მოქმედებს.

რატომ არ გვყავს „მეორე ნახევარი“?

ბრიტანელმა მათემატიკოსმა პიტერ ბაკუსმა „მეორე ნახევრის“ პოვნის შანსები გამოთვალა. სწავლულის თქმით, ალბათობამ 1 285 ათასთან შეადგინა. ბაკუსმა ნაშრომში, სახელწოდებით „რატომ არ მყავს საყვარელი ქალი“, ცნობილი ფორმულა გამოიყენა, რომელსაც „დრეიკის განტოლების“ სახელით იცნობენ. ამ უჩვეულო გამოკვლევაში მათემატიკოსმა გამოთვლებისთვის საკუთარი კრიტერიუმები დაამატა. შედეგად, 30 წლის სწავლულმა დაადგინა, რომ ნისლიან ალბიონზე მცხოვრები დაახლოებით 26 მილიონი სუსტი სქესის წარმომადგენლიდან მხოლოდ 26 მათგანს შეუძლია მისი პოტენციური შეყვარებული გახდეს. გათვლებისას გამოყენებული იყო ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა ქალის ასაკი, საცხოვრებელი ადგილი და ოჯახური მდგომარეობა. ბაკუსის განცხადებით, მარტოხელა ადამიანებისთვის მისი გამოკვლევა, შესაძლოა, კარგი ახალი ამბავი აღმოჩნდეს, რადგან ის ადასტურებს, რომ მათი მარტოობა მხოლოდ მათი ბრალი არ არის.

შენდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!



სუდოკუმანია

ადვილი

		7			5	4		
	5		3					8
9	3							5
5				7	6	9		
				3				
		6	1	9				4
4							1	7
3					1		8	
		8	7			6		

სტანდარტი

						3		
			3	7	2			6
		2				5	4	
	8			2				
	7		5	8	3		9	
				6			3	
	5	3				1		
2			7	4	6			
		7						

რთული

1	8		5		9			
	5					9		
2				1				
9					4	6	2	
	2	6				4	8	
	3	8	2					9
				3				6
		3					4	
			7		8		9	5

ექსპერტი

		9						
7			4		1	3		
4				8	6		5	
3	4	1						
6		8	3		4	9		5
						4	8	3
	8		1	6				9
		6	7		9			2
						6		

სასტუმრო საზოგადოებრივ ტუალეტში გაიხსნა

იაპონიის ქალაქ ოსაკაში მდებარე ერთ-ერთი პარკის ტუალეტში ამიერიდან შეგიძლიათ მშვიდად და კომფორტულად გაათიოთ ღამე — აქ ეს საზოგადოებრივი დაწესებულება საკმაოდ ფეშენებელური სასტუმროს ერთოთახიან ნომრად არის გადაქცეული. 22 კვადრატული მეტრის ფართობის მქონე აპარტამენტები შხაპით, საწოლითა და საკუთარი სააბაზანო ოთახით კლიენტს დაახლოებით 130 დოლარი დაუჯდება დღეში. სასტუმროს ნომერი ტუალეტში პროექტ **Osaka Canvas**-ის ნაწილია და ის თანამედროვე მხატვარმა, ნიშინომ მოიფიქრა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი საპირფარეშო, როელშიც ეს ოტელია განთავსებული, მოქმედია და იქ ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შესული ადამიანების ხმა სასტუმროს კლიენტსაც კარგად ესმის.

იტალიელებმა ანტისტრესული გაჩერება მოაწყვეს

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სტრესულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ცელულოიდის ბუშტუკების გახეთქვა სიმშვიდეს ჰგვრის. ასეთი მასალისგან დამზადებულ პროდუქციას სხვადასხვა მტვრევადი ნივთების შესაფუთად იყენებენ. იტალიელმა ქუჩის მხატვარმა ფრა ბიანოჩოკმა მილანის ავტობუსის ერთ-ერთ გაჩერებაზე სწორედ ასეთი, ცელულოიდის ბუშტების ფურცლები დაამაგრა. ასე რომ, ტრანსპორტის მომლოდინე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ნერვები მათი გახეთქვით დაიმშვიდოს. შედეგად კი, ბუშტების ხეთქვით გართული ადამიანები უარყოფით ემოციას სხვების მიმართ აღარ გამოხატავენ და ნეგატიურ ენერგიას საკმაოდ სასიამოვნო და სახალისო საქმეში ხარჯავენ.

სექსი საშიში ყოფილა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად ჩვენს პლანეტაზე სექსის დროს 50 ათასი ადამიანი იღუპება. მთავარი მიზეზი კი საკუთარი ძალების გადაჭარბებული შეფასებაა. აშშ-ს კარდიოლოგიური საზოგადოების მკვლევართა განცხადებით, დაღუპულთა უმრავლესობას (90%) მამაკაცები შეადგენენ, ამასთან, მათი 75% სიკვდილის წინ საკუთარ მეუღლეს ღალატობდა. სტატისტიკის მიხედვით, ინტიმური ურთიერთობების დროს იმქვეყნად გასტუმრების შანსი მამაკაცებს 20-ჯერ მეტი აქვთ, ვიდრე სუსტი სქესის წარმომადგენლებს. ასეთ ვითარებაში გარდაცვალების მთავარი მიზეზები ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას, პირველ რიგში კი, გულსისხლძარღვთა მდგომარეობას უკავშირდება. სიამოვნების მიღების პროცესს, ძირითადად, საპატიო ასაკის მქონე ადამიანები ვერ უძლებენ. სექსი კი, როგორც ცნობილია, დიდი დატვირთვაა ორგანიზმისთვის. სიკვდილის მიზეზი ხდება ასევე, მომატებული წნევა, ჭარბი წონა, ნახშირწყლების გაცვლითი პროცესის დარღვევა, ალკოჰოლის ჭარბი დოზის მიღება, ასევე ვნებებისა და ემოციების მოზღვავება, რასაც ზოგჯერ ვერ უძლებს ადამიანი. სიკვდილის მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფაქტორები, არამედ გაუფრთხილებლობა ყველაფერში (შეუფერებელი ადგილი და სხვა მსგავსი). ზოგიერთი ისტორიული წყაროების ცნობით, სექსის დროს გარდაიცვალა ჩინგისხანი, იმპერატორი კარლ დიდი, ავიცენა და რომის პაპი ლევ VII, აღორძინების ხანის მხატვარი რაფაელი და პარიზის არქიეპისკოპოსი.

შამპანური გულისთვის სასარგებლოა

ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ყოველდღე ერთი-ორი ბოკალი შამპანური კი არ ვნებს ჩვენ ჯანმრთელობას, არამედ პირიქით, სასიკეთო გავლენას ახდენს გულისა და სისხლის მიმოქცევაზე. სწავლულებმა დაადგინეს, რომ შამპანური ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და თავიდან აგვარიდებს გულის შეტევებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა დაავადებებს. როგორც ბრიტანელი მკვლევარები ამტკიცებენ, სასარგებლოა არა მხოლოდ მაღალფასიანი შამპანური, არამედ სხვა, შედარებით იაფფასიანი შუშხუნა ღვინოებიც. ამის „მიზეზი" მათში არსებული პოლიფენოლებია, რაც სისხლში აზოტის ჟანგის დონეს ზრდის და სისხლძარღვებს აფართოებს. ჩასუნთქვისას ეს გაზი მომწამვლელად მიიჩნევა, ორგანიზმის შიგნით კი მას სისხლძარღვების წარმოქმნის ინიცირება შეუძლია.

სეირნობა სიცოცხლეს გიხანგრძლივებს

დღეში ერთი საათით სეირნობა ან ფიზიკური ვარჯიშები ადამიანს სიცოცხლეს 4,5 წლით უხანგრძლივებს, — ასეთი მონაცემები ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მკვლევარებმა გამოაქვეყნეს. მათ ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც მოხალისეები, წონის, ასაკისა და ფიზიკური დატვირთვის მიხედვით, ჯგუფებად დაყვეს. მერე მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადარეს და აღმოაჩინეს, რომ თუნდაც მცირე, მაგრამ რეგულარული ფიზიკური დატვირთვისას ადამიანი უფრო დიდხანს ცოცხლობს. ასე მაგალითად, კვირაში ერთხელ 75-წუთიანი გასეირნება 1,8 წლის სიცოცხლეს გვმატებს. ისინი, ვინც სპორტს კვირაში 2,5 საათს უთმობდა, საშუალოდ 3,4 წლით მეტ ხანს ცოცხლობდა, ხოლო ვინც კვირაში 7,5 საათი ვარჯიშობდა — 4,5 წელი ემატებოდა. აღსანიშნავია, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს შეუძლიათ გაცილებით დიდხანს იცოცხლონ, თუკი ყოველდღიურად ფეხით ისეირნებენ.

7-9 დეკემბერს თბილისი უმასპინძლებს ბიზნესფორუმს „ისრაელის ბიზნესი საქართველოში –2013“

ისრაელის მთავრობისა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერით, 7–9 დეკემბერს თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ბიზნესფორუმი „ისრაელის ბიზნესი საქართველოში —2013“ გაიმართება. საზეიმო ღონისძიებაზე, რომელიც 8 დეკემბერს, 19.30 საათზე გაიმართება, 50 საინვესტიციო პროექტის პრეზენტაცია შედგება, რომელსაც საქართველოში ისრაელის კომპანიები უძრავი ქონების განვითარების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, კომუნიკაციების, ავიაციის და სხვა სფეროებში ახორციელებენ.

ბიზნესფორუმთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველო–ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტმა იციკ მოშემ და პალატის წარმომადგენელმა ია ჩანტლაძემ განაცხადეს, რომ ბიზნესპალატისთვის ეს პირველი ფორუმი არ არის და წლევანდელი ფორუმი ემსახურება ახალი მთავრობისთვის ამ ორ ქვეყანას შორის განვითარებული ეკონომიკური ურთიერთობების წარდგენას და სამომავლო გეგმების განხილვას.

ია ჩანტლაძის თქმით, წლევანდელი ფორუმი დაემთხვა ებრაულ დღესასწაულ „ხანუქას“ და ფორუმის ფარგლებში, ის საზეიმოდ აღინიშნება. იციკ მოშემ საქართველოს და ქართველ ხალხს მადლობა გადაუხადა, ღაზას სექტორში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ორი კვირის წინ თბილისში ისრაელის მხარდამჭერი ღონისძიების ჩატარებისთვის და აღნიშნა, რომ „ამ სიტუაციამ იმოქმედა ფორუმის მომზადებაზე“.

„ჩვენ საქართველოში ვმოქმედებთ უკვე 15 წელია და ჩვენთვის საქართველო–ისრაელის ურთიერთობები არ არის მხოლოდ ციფრები. ჩვენთვის ეს არის ეკონომიკური ხიდის აშენება ორ ქვეყანას შორის. წელს ფორუმის ფორმატი განსხვავებულია: წარმოდგენილი იქნება 50 საინვესტიციო პროექტი, რომელიც საქართველოში უნდა განხორციელდეს. ეს არის, სავარაუდოდ, 250 მილიონი დოლარის მოცულობის ინვესტიცია. ისრაელიდან 2004 წლიდან 2008 წლამდე შემოვიდა 300 მილიონი დოლარის ინვესტიცია. ეს არის კერძო ინვესტიცია. რაც შეეხება პირად ინვესტიციებს, საქართველოში ისრაელი არის ლიდერი. ამაში არ შედის ტენდერები, არც დიდი თანხები, რაც შემოედინება მსოფლიო ბანკიდან და სხვა ინსტიტუტებიდან“, — განაცხადა იციკ მოშემ და დასძინა, რომ საქართველო–ისრაელის ბოლო 20-წლიანი ურთიერთობა მეგობრული კავშირებით დაიწყო; ეს იყო ქართველ ებრაელთა და ქართველების კავშირები და ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოში ისრაელის ფართომასშტაბიანმა მხარდაჭერამ განაპირობა ის, რომ ისრაელის მთავრობის ორივე ნაწილმა, მხარი დაუჭირა და გამოგზავნა მოლოცვა ბიზნესფორუმის მიმართ.

იციკ მოშეს თქმით, ფორუმი ბიზნესის სტიმულირების შესახებ საქართველოს მთავრობის განაცხადის ერთგვარი ხაზგასმა იქნება.

„ბიზნესს სჭირდება ბაზრის განვითარება. მსოფლიო კრიზისი სრულდება და თუ ამ ყველაფერს დაემატება ინვესტიციების გაზრდა და სტიმული, რაც საქართველოს მთავრობამ განაცხადა, ჩვენ გვჯერა, რომ მომავალ წელს იქნება პიკი ისრაელის ინვესტიციებისა საქართველოში. როდესაც ისრაელიდან ჩამოდის 100 ბიზნესმენი, ისრაელის მთავრობის ორივე მხარე მხარს უჭერს ამ ფორუმს, ეს ნიშნავს, რომ ლაპარაკია სხვა დონის ურთიერთობაზე“, — აღნიშნა იციკ მოშემ და განმარტა, რომ 100 ბიზმესმენიდან 70 პროცენტი არ არის საქართველოში დაბადებული. და ეს ფაქტი ადასტურებს იმას, თუ როგორ გადაიქცა ქართველი და ქართველ ებრალთა ურთიერთობები საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობად.

ფორუმი ფარგლებში 18 ლოკალური შეხვედრა ჩატარდება და როგორც საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტი იმედოვნებს, მთავრობასთან შეხვედრის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება ისრაელის ბიზნესინვესტიციები საქართველოში.

მან საქართველოში შარშან ისრაელელი ბიზნესმენების გახმაურებულ საქმეზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ საქართველოს შიდა პოლიტიკა ნაკლებად აქტუალურია უცხოელი ბიზნესმენებისათვის.

„ბედნიერი ვარ, რომ ბევრი რამ, რაც მოხდა, არის ჩვენს უკან. ჩვენ ორიენტირებულნი ვართ მომავალზე და გვჯერა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა არის ბუნებრივი ურთიერთობა და ბიზნესიც იქნება წარმატებული“, — აღნიშნა მან.

„მედიანიუსი“

ფუძნარის ღვთისმშობლის ტაძარს კონსტრუქციული პროექტით განადგურება აღარ ემუქრება

საგანგებოდ შექმნილმა ახალმა პროექტმა ძეგლი განადგურებისგან და გუმბათი ჩამოქცევისგან იხსნა. მიმდინარე ზამთარი ძეგლს საფრთხეს აღარ შეუქმნის, სარეაბილიტაციო სამუშაოები ძეგლის სრული აღდგენისთვის 2013 წელს გაგრძელდება და XIII საუკუნის ფუძნარს პირვანდელი სახე დაუბრუნდება.

2013 წელს პროექტის მიხედვით დაგეგმილია ტაძრის სრული აღდგენა: მოხდება კამარების გადაყვანა, კედლის საპირე წყობის აღდგენა და გუმბათქვეშა თაღების შექმნა და რაც მთავარია, ფუძნარის უძველესი გუმბათის საკუთარ ადგილზე დაბრუნება.

ფუძნარის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია XIII საუკუნის პირველ ნახევარშია აგებული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია და დუშეთის რეგიონში ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ გუმბათიან ტაძარს წარმოადგენს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

თუ დავბრუნდები, უნდა დავბრუნდე ახლებურად – რობერტ სტურუა

რეჟისორი რობერ სტურუა მიიჩნევს, რომ რუსთაველის თეატრიდან მისი წასვლა იდეალური იყო; **„იქიდან გამომდინარე, რომ რუსთაველის თეატრიდან ჩემზე დიდი რეჟისორები გაუგდიათ და დაუხვრეტიათ კიდეც, მე იდეალურად წავედი, რადგან მე მთავრობამ გამაგდო“,** — განაცხადა სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე რეჟისორმა. მისი თქმით, რუსთაველის თეატრში დაბრუნება „ცოტა რთული მომენტი იქნება“.

„თუ დავბრუნდები, უნდა დავბრუნდე ახლებურად. ძალიან რთულ ვითარებაში ვარ. თეატრში დაბრუნების შემთხვევაში, პირველად რომელ პიესას დავდგამ, ჯერჯერობით არ ვიცი. უბრალოდ დაბრუნება არაფერს ნიშნავს. უნდა გავაკეთო რაიმე ორიგინალური, რაც აბსოლუტურად ახალი იქნება“, — აღნიშნა სტურუამ.

პრესკონფერენციაზე სტურუამ იხუმრა კიდეც და განაცხადა, რომ ოცნებობს იმაზე, რომ კულტურის მინისტრმა მისი თეატრში დაბრუნების შესახებ ბრძანებულას ხელი არ მოაწეროს.

პრესკონფერენციას მოსკოვის თეატრ „ეტ სეტერას“ ხელმძღვანელი ალექსანდრე კალიაგინიც ესწრებოდა, რომლის თქმითაც, იმ შემთხვევაში, თუ რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში დაბრუნდება, ის „ეტ სეტერას“ მთავარ რეჟისორად მაინც დარჩება.

„ბედნიერები ვიქნებით, თუ რობერტი რუსთაველის თეატრში კვლავ დაბრუნდება. ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და მძიმე დაბრუნება იქნება. მან ყველაფერს უნდა გადახედოს. მან კარგად იცის, როგორ უნდა მართოს თეატრი“, — აღნიშნა კალიაგინმა.

სტურუას თქმით, რეჟისორებს ჰგონიათ, რომ მათ მსოფლიოს შეცვლა შეუძლიათ. **„ამ გასტროლებით ჩვენ მხოლოდ საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა შეგვიძლია. ამიტომ ეს გასტროლები რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენაში მხოლოდ ერთი წვეთია“,** — აღნიშნა სტურუამ თბილისში „ეტ სეტერას“ დასის გასტროლთან დაკავშირებით. კალიაგინის განცხადებით კი, ის დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა აღდგება და უკეთესობისკენ შეიცვლება.

„ჩვენი გასტროლები არ არის გადამწყვეტი და გლობალური ამ კუთხით, თუმცა ჩვენი გასტროლები ერთი წვეთია ამ ურთიერთობის გამოსწორებისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ სიყვარულით და შეთანხმებით შეიძლება ცხოვრება, რადგან ზიზღით დიდხანს ვერ ვიცხოვრებთ. ჩვენ პოლიტიკოსები არ ვართ. ამის მერე კიდევ სხვა თეატრები ჩამოვლენ საქართველოში, შემდეგ რუსთაველის თეატრი ჩამოვა ჩვენთან და ასე გაგრძელდება“, — აღნიშნა კალიაგინმა.

„მედიანიუსი“

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

იპოვეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით